ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

E-mail: roland_jalagania@yahoo.com

№146 (205) 22-29 ნოემბერი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

წინ წყალი, უკან მეწყერი...

ამ სიტყვებით აცილებდა ადამიანი მისთვის ყოველივე არასასიამოვნოსა და არასასურველს, ოთხფეხა ცხოველი იქნებოდა იგი, თუ ორფეხა.

ჩვენს შემთხვევაში, საქართველოში ეს ოდითგან წყევლად ქცეული ფრაზა, იმ ორფეხებს ეძღვნებათ, რომელთაც სიცრუის კორიანტელის დაყენებით სურთ ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებაში თავიანთი უბადრუკი არსებობის გახანგრძლივება. ჯერ-ჯერობით კი, წინ წყალი გაგვიძღოლა და უკან მეწყერი დაგვადევნა თბილისის მერმა გიგი უგულავამ, როცა სატანის კარნახით, ნაგვის გადასახადი დენისას მიაბა და ხალხს უკანასკნელი კაპიკები დასცინცლა.

ჩემს მეზობლად მარტოხელა მოხუცი პენსიონერი ქალბატონი ცხოვრობს, რომელსაც ზამთარში გათბობის ერთადერთი საშუალება – ელექტროენერგია გააჩნია. ზამთრის თვეებში დაახლოებით 600 კილოვატ ელექტროენერგიას მოიხმარს, რომელსაც ემატება ნაგვის ყოველთვიური გადასახადი 30 ლარი. უფრო დიდი აბსურდი ალბათ მართლაც წარმოუდგენელია; ასე რომ, სიცივეს თავი რომ არ მოაკვლევინოს, მოხუცი ადამიანი იძულებულია ზამთრის თვეები მშიერ-მწყურვალმა გაატაროს!

ახლა, ძნელი არ იქნება იმის გამოთვლა, თუ კიდევ რამდენ მოხუცი და უმწეო პენსიონერს აცლიან პირიდან უკანასკნელ ლუკმას, ეს მართლა მოძალადეები!

სულ მაინტერესებდა, რატომ მიიღეს ამგვარი, ვითომ **“უაზრო”** გადაწყვეტილება უგულავამ და მისმა **„თანამოაზრეებმა“**, რომელთაც ისედაც საკმაოდ დიდი ფული მიაქვთ, კომუნალური მომსახურეობის სახით, ჩვენი ჯიბიდან. რით იყო უვარგისი სულადობაზე ნაგვის გატანის ხარჯის დარიცხვა? მხოლოდ დიდი ხნის ანალიზის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ამ საქმეში ფულის შოვნის სურვილზე უფრო მეტი სიეშმაკე და დანაშაული იმალება. იმისათვის, რომ საარჩევნოდ ხმები გაეყალბებინათ, **“ნაციონალებმა”** ქალაქის ლამის ყველა ოჯახს თითო-ოროლა არარსებული პირი დაუმატეს და როცა თბილისის მოსახლეობას სულადობაზე გადასახადი მიუვიდათ, მათ ამ ზედმეტ პირებზე საკუთარი ჯიბიდან თანხის ამოღება გააპროტესტეს. ნაციონალები მიხვდნენ, რომ ამით შეიძლებოდა მათი უბინძურესი საარჩევნო წიაღსვლა გამოაშკარავებულიყო და ამიტომაც გადაწყვიტეს, რომ ნაგვის ხარჯი დენის მოსაკრებელზე მიებათ, რაც აშკარად უპრეცედენტოა მთელ მსოფლიოში. ახლა, როცა მიხვდნენ, რომ ზედმეტი მოუვიდათ, ალბათ ნაგვის გადასახადის თანხას შეამცირებენ, მაგრამ უკვე მიღებულ სისტემას ცოცხალი თავით არ შეცვლიან. ამით ისინი ქულას დაიწერენ საარჩევნოდ – აქაოდა კომუნალური ხარჯი შევამცირეთო, სინამდვილეში კი მიჩქმალავენ თავიანთ ვერაგულ ჩანაფიქრს.

მოკლედ, როგორც იტყვიან: **“არ გასწორდების კუდი ძაღლისა, არცა კირჩხიბი მართლად ვლის...”** ყოველგვარი სიბილწისა და უკანონობის შემოქმედი ნაციონალები ავკაცობას და სიყალბეს ვერასოდეს გაანებებენ თავს...

მოსახლეობას ახლა ერთადერთი გზა დარჩენია – ნაციონალთა ამ სიყალბის გამოაშკარავებლად ყველანი უნდა მივიდნენ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, გადაამოწმონ მათ საცხოვრებელში ჩაწერილი პირები და მათ შორის უცხოს აღმოჩენის შემთხვევაში კატეგორიულად მოითხოვონ მათი ამოწერა.

მხოლოდ ასე თუ მოვიშორებთ თავიდან თქვენს ოჯახებზე ყალბად მიწერილი პირებს და ნაციონალებსაც!

გარდა ამისა, არსებობს ერთი საკითხი, რომელიც მხოლოდ ახლა გამომზეურდა და საზოგადოება მასზე არგუმენტირებულ პასუხს ელის.

მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ გაიხსნა ის **“საიდუმლო”**, რომ, თურმე, ბიზნესმენი-მეცენატი საქართველოს ვეტერან სპორტსმენებს, მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის ღვაწლმოსილ წარმომადგენლებს საკმაოდ სოლიდურ თანხებს უხდიდა შემწეობის სახით, რასაც, რატომღაც **“სტიპენდიას”** უწოდებენ. მათ შორის არიან ნაციონალთა მხარდამჭერები, თვით ნაციონალები და მათი ოჯახის წევრებიც, რომელთაც ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლის შემდეგ უარი განაცხადეს ამ შემწეობებზე და თავიანთი საკრედიტო ხაზები დახურეს (უფრო სწორად – დაახურინეს) ხელისუფლებისაგან მოძულებულ და დატერორებულ **“ქართუ-ბანკში”**.

ამ პირთა დიდი ნაწილი, ვისაც ყველაზე მეტად ეხმარებოდა ივანიშვილი, ახლა ჩუმად სხედან სახლებში. მაგალითად, მეცნიერებათა აკადემიის წევრებმა, თავხედურად, ანგარიშები გაიტანეს **„ქართუ ბანკიდან“**, მაშინ როდესაც დღემდე ივანიშვილის **„სტიპენდიას“** იღებენ. იმის შიშით, ჩვენს დანაზოგს არაფერი დაემუქროსო, ფული გაიტანეს მაშინ, როდესაც საქართველოს უპოვარი მოსახლეობა რიგში დგას, რომ ანგარიში გახსნან **„ქართუ ბანკში“** ივანიშვილის მხარდასაჭერად. ასე რომ, საქველმოქმედო სიაში ბევრი ისეთი მოსარგებლე პირია, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ვერანაირ ზნეობრივ კატეგორიებს. ნამდვილი ქველმოქმედი კი შურს არ იძიებს. ეს, ბიძინა ივანიშვილის განუზომელ სიკეთეზე მეტყველებს, ყველაფრის მიუხედავად, არ ბრაზდება მათზე და ქველმოქმედებას ძველებური გულმოწყალებით აგრძელებს. შესაძლოა მათ უმადურობაზე გულიც წყდება, მაგრამ ნაკისრ ვალდებულებაზე მაინც არ ამბობს უარს.

ერთადერთი ნაციონალთაგანი, ვინც, ვაჟკაცურად, უარი არ თქვა ივანიშვილისაგან დახმარების მიღებაზე, გახლავთ პარლამენტარი, აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა, რომელიც, იმედია, უკანასკნელი **“ამბოხებული”** არ იქნება.

მიუხედავად ამისა, ივანიშვილს არავისათვის არ შეუწყვეტია აღნიშნული შემწეობის გაცემა, მაგრამ ამბობენ, რომ მომღერალმა ბუბა კიკაბიძემ, მოჭადრაკე ნანა ალექსანდრიამ (უშიშროების საბჭოს მდივნის გიგას ბოკერიას დედამ), სპორტული სფეროს წარმომადგენელმა პარლამენტარებმა გიორგი ასანიძემ და დილარ ხაბულიანმა და კიდევ ბევრმა სხვამ, თავად განაცხადეს უარი ივანიშვილის დახმარებაზე (თუმცა, მთლად დაზუსტებული არ არის, უარი თქვეს თუ კვლავაც იღებენ), რადგან ხელისუფლება **“ფულის ტომარად”** მოიხსენიებს ამ პიროვნებას. განვუმარტავთ უმეცრებს, თუ როდის და სად წარმოიქმნა ეს ეტიკეტი, რომელიც პირველად რუსეთის მეფე ივანე **“კალიტას”** უწოდეს. და იცით რატომ? იმიტომ, რომ დიდძალ ფულს რუსეთის მოსახლეობისაგან ძარცვისა და უმძიმესი გადასახადების დაწესებით, ცეცხლითა და მახვილით იღებდა.

რაც შეეხება ივანიშვილს, ფაქტია, რომ ეს ადამიანი საქართველოში არა ეკონომიკურ საქმიანობას, არამედ ქველმოქმედებას ეწეოდა. მან გადაწყვიტა სხვაგან ეშოვა ფული და თავის ქვეყანაში ძირითადად ქველმოქმედებაში დაეხარჯა. ის აფინანსებდა ხელოვნებისა და მეცნიერების, წარმომადგენლებს, თუ არ ჩავთვლით მის ღვაწლს სხვა საქმეშიც. ამიტომ, არ შეიძლება **“ფულის ტომარად”** მოვიხსენიოთ ერთ დროს რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი, რომელმაც მილიარდები მხოლოდ საკუთარი ჭკუითა და მძიმე შრომით მოიხვეჭა. ფულის ტომრებად იმ ხელისუფალთა მოხსენიება უფრო უპრიანი იქნებოდა, რომლებიც წლების განმავლობაში ხელაღებით ძარცვავენ სახელმწიფო ხაზინას და შემდეგ საქართველოს მოსახლეობის დატერორების ხარჯზე ახერხებენ მის შევსებას!

იმედია, გამიგებთ, ვინ მყავს მხედველობაში!

ახლა, რაც შეეხება იმ პირებს, ვინც უარი განაცხადეს ივანიშვილის შემწეობაზე იმ მოტივით, რომ თურმე ეს **“რუსული ფული”** ყოფილა.

ეს არ გახლავთ საკმარისი, ბატონებო და ქალბატონებო!

თუ ასეთი პატიოსნები და პრინციპულები ხართ და დაუძლეველი იდიასინკრაზია გაგაჩნიათ **“რუსული ფულის”** მიმართ, მაშინ, კეთილი ინებეთ და თქვენივე ნებით უკან დააბრუნეთ ივანიშვილის საქველმოქმედო ფონდიდან მიღებული თანხა, რათა იგი იმ მართლაც უმწეოებსა და მიუსაფრებს მოხმარდეთ, რომლებიც აშკარად საჭიროებენ ხელშეწყობას!

“სტიპენდიანტთა” სია საკმაოდ მრავალრიცხოვანია: ხელოვანები, მეცნიერები, სპორტსმენები და რიგითი ადამიანები. ფინანსური დახმარების ოდენობაც სხვადასხვაგვარია, ზოგს თვეში რამდენიმე ათასი ლარი ერგებოდა, ზოგსაც მხოლოდ რამდენიმე ათეული.

სამწუხაროდ, სტიპენდიანტთა სიაში ხომ ისეთებიც არიან, ვინც არც საჭიროებდა ამ დაფინანსებას. მაგრამ ჩვენ ხომ არ ვიცით, რა იდგა ამ დახმარების უკან, რა თხოვნა. ზოგჯერ სამწუხაროდ ისინი, ვინც არ საჭიროებენ დახმარებას, უფრო დაჟინებით ითხოვენ ამას და სხვადასხვა ტყუილ-მართალით ფუთავენ მოთხოვნებს. ამის უამრავი ფაქტი არსებობს. თუმცა, კონკრეტული თანხის უკან შესაძლოა დგას რაღაც ფორსმაჟორული ვითარება, ავადმყოფობა ან სხვა მიზეზი. მხოლოდ შემწეობის რიგში ჩამდგარი სამიათასკაციანი სიის მიხედვით მსჯელობა ძალიან რთულია. საზოგადოდ, დახმარების სამართლიანად განაწილებაც ურთულესი საქმეა. თუ ვინმემ დახმარება უსამართლოდ მიიღო, მიიღო იმაზე მეტი, ვიდრე სხვამ, ეს მის სინდისზე იყოს. მოდი, მივიჩნიოთ ეს ტექნიკურ ხარვეზად, რომელიც სამეურვეო საბჭომ დაუშვა.

თუნდაც გიორგი ასანიძე, რომელიც ბიძინა ივანიშვილის ფულს იღებდა, ხვალ შესაძლოა ვიხილოთ ტელეეთერში და საზოგადოებას აუწყოს, თუ როგორ იშოვა ივანიშვილმა რუსული **„ჭუჭყიანი ფული“** და პუტინის ბანაკშიც მოიხსენიოს. მაშინ, როდესაც წლების განმავლობაში გემრიელად იყენებდა მის ფულს.

ის, რომ მომღერლებს ბუბა კიკაბიძეს და ნანი ბრეგვაძეს, რომლებიც ივანიშვილის ფონდიდან თვეში თითოეული 5.000 ლარს იღებდა, ასეთი ტიპის ფინანსური დახმარების საჭიროება არა აქვთ, ცხადზე ცხადია. მათ ადგილას საერთოდ არ მივიღებდი ამ დახმარებას. თუ კაცს მეტ-ნაკლებად ნორმალური შემოსავალი აქვს, საქველმოქმედო ფონდის ბენეფიციარი არ უნდა იყოს. ეს მისი ღირსებისა და ზნეობის საკითხია უფროა, ვიდრე ფონდის სამართლიანად მუშაობის პრობლემა. როდესაც ადამიანი ხელმძღვანელობს ზოგადი პრინციპით, რომ ყველას აძლევს, ვინც ითხოვს, ამის გამო ხომ ვერ გავამტყუნებთ? მას უზარმაზარი თანხები აქვს სხვადასხვა პროექტში დახარჯული.

აი, თუნდაც საქართველოს პირველი ლედის ქალბატონ სანდრა რულოვსის მიერ დაფუძნებული რადიო **“მუზა”**, რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში ივანიშვილის ფონდიდან მიღებული აქვს ოთხი მილიონი ლარი. ან თუნდაც სიონის ტაძარი, ქობულეთის გასართობი ცენტრი **„ციცინათელა“**, სიღნაღის რეაბილიტაცია, საპატრულო პოლიციის ავტომობილების შეძენა და ქუთაისის ძველი უბნების რეაბილიტაცია...

ასე რომ, კეთილი ინებეთ, და ყველაფერი ეს დაუბრუნეთ იმ პიროვნებას, ვინ ეს სიკეთე გიწყალობათ, ახლა კი მისი თათხვით ვერ გიჯერებიათ გული! უფრო მეტიც – ხმა გავრცელდა, რომ **სოდ**-ის და **კუდ**-ის თანამშრომლებს უთხრეს თურმე, თუ ივანიშვილის ხალხისაგან ნებისმიერი გზით თანხებს ამოიღებთ, საჩუქრად დაიტოვეთო!

არც იმ ერთ მილიონ ევროს და ორ მილიონ დოლარს უბრუნებენ, ბანდიტურად რომ, წაართვეს ხელისუფლებმა ბანკ **“ქართუ”**-ს საინკასაციო მანქანას.

ნიშანდობლივია, და ნაციონალთა გაუმაძღრობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროს ტერიტორიული ორგანოს გამგებელი პაატა ნადირაშვილი და სპეციალისტი აკაკი ჭადალიძე სოციალურ დახმარებას იღებენ.

სოციალურ სააგენტოში ამ ფაქტთან დაკავშირებით სამსახურის უფროსი ზურაბ ნატროშვილი აღნიშნავს, რომ სამთაწყაროს გამგებელმა რამდენიმე დღის წინათ დაწერა განაცხადი და ქულები ჯერ არ არის ცნობილი, ხოლო სპეციალისტმა აკაკი ჭადალიძემ 75 000 ქულა მიიღო.

როგორც ცნობილია, არა მხოლოდ სამთაწყაროში უამრავი ოჯახია, რომელიც უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს, მათ შორის, მრავალშვილიანებიც. ამ ოჯახებს შეუჩერდათ დახმარება. დედოფლისწყაროს რაიონის ადმინისტრაციამ ისინი მხოლოდ იმისათვის დასაჯა, რომ საკუთარი პროტესტი გამოთქვეს რაიონში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ეს ხალხი არის უმუშევარი და არ აქვს არსებობისათვის აუცილებელი ელემენტარული საშუალება – მედიკამენტები, სასკოლო სახელმძღვანელოები და ა.შ. ამ ფონზე სამთაწყაროს გამგებელი, რომლის ხელფასიც 400 ლარს შეადგენს, ცდილობს, მიიღოს ის დახმარება, რომელიც სხვებს უკანონოდ წაართვა.

მართლაც წინ წყალი და უკან მეწყერი ასეთ დემოკრატიასა და პოლიტიკურ კულტურას!

თუმცა, უფრო მართებული იქნება, ვთქვათ: **“წინ ბერლუსკონი, უკან მიშა!”**

როლანდ ჯალაღანია,
“ფაზისის” აკადემიის ნამდვილი წევრი

არნო ხიდირბეგიშვილი: „საქართველოს გზა ევრაზიულ კავშირში მიდის“ („РИА Новости“)

2011 წლის 21-22 ნოემბერს ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში რუსეთის საერთაშორისო ინფორმაციის სააგენტო **„რია ნოვოსტი“ (РАМИ «РИА Новости»)** ატარებს ევროპული და აზიური მედიის მე-6 ფორუმს **(ФЕАМ)**, რომლის დევიზია **„მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დამოუკიდებლობის 20 წელი და საზოგადოება“**. ფორუმზე 250-ზე მეტი პოლიტიკოსი, მედიასაშუალებათა ხელმძღვანელი, ანალიტიკოსი და ბლოგერი მოიყრის თავს ევროპისა და აზიის 15-ზე მეტი სახელმწიფოდან. ფორუმზე, სადაც ახალი საზღვარგარეთის ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების სხვადასხვაობის მიუხედავად, პრაქტიკულად პოსტსაბჭოთა სივრცის ახალი ჟურნალისტური პული ყალიბდება, ამ წერილის ავტორიც – საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **„საქინფორმის“** მთავარი რედაქტორი **არნო ხიდირბეგიშვილი** გახლავთ მიწვეული (ფორუმის მასალებს დაწვრილებით მოგაწვდით ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში).

„ФЕАМ-2011“-ის საკვანძო თემები, ტრადიციულად, იქნება საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების პირობებში მედიის ფუნქციონირების თავისებურებები, გამოწვევები, რომლებსაც თანამედროვე მსოფლიო გვიყენებს, ერთიანი საინფორმაციო სივრცე. მაგრამ ამჯერად ყურადღების ცენტრში აღმოჩნდება, აგრეთვე, ეკონომიკური სახელმწიფოთაშორისი გაერთიანებების პერსპექტივები – საბაჟო კავშირის დინამიკური წინსვლა და ერთიანი ეკონომიკური სივრცის ამოქმედება.

ვისურვებდი, რომ ფორუმის მონაწილეებმა მაქსიმალურად გამოიყენონ შეხვედრისა და ერთად მუშაობის უნიკალური შესაძლებლობა, რომელიც **„რია ნოვოსტიმ“** მათ ესოდენ წარმომადგენლობითი ღონისძიების ორგანიზებით შეუქმნა. ამისათვის კი წინასწარ უნდა განვსაზღვროთ – რით მივდივართ **„ФЕАМ-2011“**–ზე, რით ვაპირებთ იქიდან დაბრუნებას და რა მთავარი ლაიტმოტივის ინტეგრირება უნდა მოხდეს დღეს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების არა მარტო ეკონომიკურ, არამედ საინფორმაციო ერთიან სივრცეში. ვფიქრობთ, ასეთ ლაიტმოტივად ვლადიმერ პუტინის მიერ შემოთავაზებული ევრაზიული კავშირის პროექტი უნდა გადაიქცეს, და აი, რატომ.

ვარშავის ხელშეკრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილი დისბალანსი დღემდე **„აზანზარებს“** არა მარტო ევროპას, არამედ სსრკ-ის ექსქვეყნებსაც: ეს არის ეკონომიკური კატაკლიზმები, რომლებიც ევროკავშირის დოტაციაზე შემსხდარი სახელმწიფოების – ეკონომიკური აუტსაიდერების გამო ხდება; და სამოქალაქო დაპირისპირების კრიტიკული ტემპერატურა არშემდგარ სახელმწიფოებში (**failed state**), რაც ხშირად შეიარაღებულ კონფლიქტებს იწვევს, ისინი კი ამ სახელმწიფოებს უფრო მცირე ტერიტორიებად აქუცმაცებენ. ამავე დროს, **აშშ**-ისა და ნატოში მისი ზოგიერთი პარტნიორისათვის კატეგორიულად მიუღებელია მსოფლიოში ნებისმიერი ახალი გაერთიანება – ისინი მათ საკუთარი ინტერესების, მათ შორის – ენერგეტიკული ინტერესების წინააღმდეგ გაერთიანებად აღიქვამენ.

ამაში გარკვეული ლოგიკა არის, რამეთუ ევრაზიის კავშირის მსგავს გაერთიანებებს მსოფლიოში სიტუაციის დაბალანსება და მე-20 საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფის (სსრკ-ის დაშლის) შემდეგ წარმოქმნილი დასავლური გადახრის აღმოფხვრა ძალუძთ. დააკვირდით – როგორც კი პოლკოვნიკი კადაფი აღმოსავლეთისა და აფრიკის მუსლიმანური ქვეყნების ახალ არაბულ ხალიფატში გაერთიანებას შეუდგა, მსოფლიო ტერორიზმთან ბრძოლაში ლიბიის გუშინდელმა მოკავშირეებმა **აშშ**-ის მეთაურობით ის თვითონ გამოაცხადეს ტერორისტად და ისევე გაუსწორდნენ, როგორც მანამდე – სადამ ჰუსეინს, უსამა ბენ ლადენს და ჰოსნი მუბარაქს. ამიტომ ახალი ევრაზიული გაერთიანება – ახალი **„ყელში გაჩხერილი ძვალია“** მისტერ ჯონებისთვის, რომელთა რუპორი, მარაზმში ჩავარდნილი სენატორი არიზონას შტატიდან მაკკეინი, შემთხვევით როდი დაემუქრა პუტინს კადაფის ბედის გაზიარებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, მოცემულ მომენტში პოსტსაბჭოთა სივრცის მედიის ამოცანა უნდა იყოს საზოგადოებისათვის ახალი ევროპული კავშირის პერსპექტივების, ერთიან ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინტეგრაციის სარგებლიანობის განმარტება, რუსეთის მიმართ მიკერძოებისა და ფობიების აღმოფხვრა. სწორედ ამაზე უნდა იფიქრონ მასმედიის ხელმძღვანელებმა, როდესაც ასტანაში **„ФЕАМ-2011“**-ზე შეიკრიბებიან, რადგან ზოგიერთი ქვეყნის ხელისუფალთა მიერ შექმნილი ინფორმაციული ვაკუუმი ანდა, უარეს შემთხვევაში, დეზინფორმაციული პროპაგანდა ხელს უწყობს სსრკ-ის ექს-რესპუბლიკების მოსახლეობაში პუტინის პროექტზე მცდარი წარმოდგენის შექმნას ან, სულაც, მის სრულ უმეცრებას ამ საკითხში!

კონკრეტულ მაგალითს მოვიხმობ: ინტერვიუში გაზეთ **„ასავალ-დასავალს“** (2011 წლის 4 ივლისი) და საინფორმაციო ანალიტიკურ სააგენტო **„საქინფორმს“** (2011 წლის 19 ივლისი) ამ სტრიქონების ავტორმა – საქართველოში პირველმა და, ჯერჯერობით, ერთადერთმა – განაცხადა, რომ:

– **„საქართველოს ბოლო ისტორიული შანსია, გამოიყენოს ახლო მომავალში პუტინის პრეზიდენტობა – ერთადერთი ადამიანის, ვისაც ქართველი ხალხის, მისი ისტორიის, რელიგიისა და კულტურის გადარჩენა შეუძლია“;**

– **„საქართველოს გაერთიანება რუსეთთან ერთ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში ევროკავშირის მაგალითით (ახალ შენგენის ზონაში, შიდა ვიზებისა და სასაზღვრო კონტროლის გარეშე, ერთიანი ვალუტითა და საბაჟო წესებით) გამოიწვევს საქართველოს გაერთიანებას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ფორმულით „საქართველო+რუსეთი = საქართველო+აფხაზეთი+სამხრეთ ოსეთი“.**

მაშინ მე კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციას და საბაჟო კავშირს ვგულისხმობდი, მაგრამ ვერაფრით ვივარაუდებდი, რომ სამი თვის შემდეგ, კერძოდ – 2011 წლის 3 ოქტომბერს, რუსეთის ფედერაციის მთავრობის მეთაური ვ. პუტინი გაზეთ **„იზვესტიასთვის“** დაწერდა სტატიას **„ახალი ინტეგრაციული პროექტი ევრაზიისათვის – მომავალი, რომელიც დღეს იბადება“**, სადაც ახალი ევრაზიული კავშირის პირველი ეტაპი – რუსეთის, ბელარუსისა და ყაზახეთის ერთიანი ეკონომიკური სივრცე (**„ЕЭП“**) წარადგინა. თავის სტატიაში პუტინი აღნიშნავს, რომ მისი რეალიზაციისას გამოყენებული იქნება **„შენგენის შეთანხმებების გამოცდილება... „ЕЭП“ დაეფუძნება საკვანძო ინსტიტუციურ სფეროებში შეთანხმებულ მოქმედებას... ერთიან სავიზო და მიგრაციულ პოლიტიკას, რაც შიდა საზღვრებზე სასაზღვრო კონტროლის მოხსნის საშუალებას მოგვცემს“.**

ამრიგად, პუტინმა შემოგვთავაზა ერთიანი ეკონომიკური სივრცის კონკრეტული მოდელი, რომლის წევრობა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნის აყვავების საწინდარია – მათთვის **„ЕЭП“**-ის წევრობა ძნელად მისაღწევი ევროკავშირის წევრობის ჯანსაღი ალტერნატივაა და სულაც არ არის გაერთიანება ევროკავშირის და აშშ-ის წინააღმდეგ. ერთიანი ეკონომიკური სივრცის პროექტი, როგორც ცნობილია, 2012 წლის 1 იანვარს იწყება, მაგრამ საქართველოს შეუძლია ცოტა მოგვიანებით შეუერთდეს მას – როდესაც მოლაპარაკებათა მაგიდის ერთ მხარეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი პუტინი დაჯდება, მეორე მხარეს კი – ხალხის მიერ პატიოსნად არჩეული საქართველოს პრეზიდენტი. ხოლო როცა საქართველო ახალ ევრაზიულ კავშირში შევა, მას **„ЕЭП“**-ის ფარგლებში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან გაერთიანების შანსი აქვს, რაზეც, ასევე, მოგახსენებდით ზემოთ ხსენებულ ინტერვიუებში.

ნუთუ რთული ფორმულაა?! განა საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა, რომელშიც პუტინს მაღალი რეიტინგი აქვს, არ ოცნებობს რუსეთთან ძველი მეგობრობის აღდგენაზე, უვიზო რეჟიმზე, როცა თავისუფლად იქნება შესაძლებელი რუსეთში ნათესავებსა და მეგობრებთან ჩასვლა? (სხვათაშორის, იმ ფაქტს, რომ პუტინი – უძლიერესი პოლიტიკოსია, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებიც აღიარებენ, ოღონდ მხოლოდ ძალზე ვიწრო წრეში და ბახუსის ზემოქმედების ქვეშ...). განა ქართველი მეწარმეები არ ოცნებობენ ხელსაყრელ ბიზნესზე – რუსეთის ბაზარზე დაბრუნებაზე? განა ქართველ ხალხს არ ენატრება ერთმორწმუნე რუსი ხალხი? მათზე ახლობელი ხომ არც გვყოლია ვინმე და არც გვეყოლება ოდესმე! ერთიანი რუსულ-ქართული სტრატეგიული, კულტურული, საინფორმაციო, ისტორიული და პოლიტიკური სივრცის აღდგენა – აი, ერთადერთი გზა საქართველოსთვის, რის შემდეგაც ჩვენს ქვეყანაში სტაბილურობით მოზიდული არა მხოლოდ რუსული, არამედ ევროპული და ამერიკული ინვესტიციებიც მოზღვავდება!

ჩემი ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ საქინფორმის რედაქციაში ცნობილმა მეცნიერებმა და სკოლის პედაგოგებმა, სტუდენტებმა და მშრომელებმა, საქართველოს სოფლების, რეგიონების მცხოვრებთ და თბილისელებმა, შემოქმედებითი ინტელიგენციის ცნობილმა წარმომადგენლებმა, დევნილებმა, პენსიონერებმა და დიდი სამამულო ომის ვეტერანებმა დარეკეს და მოგვწერეს. ისინი გულწრფელ მოწონებას გამოხატავდნენ, თუმცა მკითხველთა (ჩათვალეთ – ქართველი საზოგადოების) გარკვეულმა კატეგორიამ გადაწყვიტა, რომ მე მხარს ვუჭერ საქართველოს შესვლას რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებით. რა გასაკვირია, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხომ პარლამენტარებთან და მთავრობის უზრუნველყოფაზე მყოფ ექსპერტ-პოლიტოლოგებთან ერთად ყოველდღე, ყველა ქართული პროსახელისუფლებო არხის მეშვეობით ჩაგვაგონებს, რომ პუტინს სინამდვილეში სსრკ-ის აღორძინება სურს!..

ამიტომაც დღეს საქართველოს ფრიად მცირერიცხოვანი დამოუკიდებელი მასობრივი საინფორმაციო საშუალებების უპირველესი ამოცანაა – აუხსნას ამ ზომბირებულ და ამის გამო – აგრესიულ მოქალაქეებს (პოტენციურ ამომრჩევლებს), რომ:

1) გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის შემდეგ რუსეთის იმპერიამ ნაწილ-ნაწილ შეაკოწიწა დაცალკევებული ქართული სამთავროები საქართველოდ წოდებულ სახელმწიფოდ და ორი საუკუნის განმავლობაში მას, ისევე როგორც მის უფლებამონაცვლე რსფსრ-ს, საქართველოში არა მხოლოდ ინტერესები, არამედ მოვალეობებიც ჰქონდა;

2) საქართველოს შესვლა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში დღეს ისევე არარეალურია, როგორც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შესვლა საქართველოს შემადგენლობაში უწინდებური პირობებით;

3) იმგვარი **„ციური მანანა“**, როცა საბჭოთა საქართველო გაცილებით მეტს იღებდა ცენტრისაგან, ვიდრე აწვდიდა, მოსალოდნელი აღარ არის, მაგრამ თუკი საქმეს ხელს მოვკიდებთ – ავირჩევთ ეროვნულად ორიენტირებულ ღირსეულ ხელისუფლებას, ისევე მუხლჩაუხრელად ვიმუშავებთ დაზგასთან, მინდვრად და ლაბორატორიაში, როგორც ევროკავშირის ქვეყნებში მუშაობენ – მაშინ საქართველო შესაძლოა, მოხვდეს მისთვის გაცილებით უფრო ხელსაყრელ – ევრაზიულ კავშირში, ნაცვლად ევროპულისა, რომელშიც მაინც არავინ მიგვიღებს...

არნო ხიდირბეგიშვილი,
საქინფორმის მთავარი
რედაქტორი

წლის სკანდალი ზუგდიდში

ზუგდიდის მეოთხე საპყრობილესთან პროტესტის ნიშნად მოკლული პატიმრის ახლობლებმა მიცვალებულის ცხედარი დაასვენეს.

თბილისის ციხის საავადმყოფოში გადაყვანის დროს გზად – ქუთაისში გარდაცვლილი მურმან კალანდიას ოჯახი ციხის ადმინისტრაციის დასჯასა და საპყრობილის უფროსის გადადგომას მოითხოვდნენ. თუმცა მათ ციხის ადმინისტრაციიდან, მოთხოვნის მიუხედავად, არავინ შეხმიანებია.

გარდაცვლილის ოჯახი აცხადებს, რომ პატიმარს არაფერი აწუხებდა და ის მოკლულია. არადა, გამომძიებელმა გარდაცვლილის დას – მედეა კალანდიას განუცხადა, რომ პატიმარი ციხის საავადმყოფოში გადაყვანისას, ქუთაისის საპყრობილეში სხვა პატიმრების ასაყვანად შევლის დროს, მანქანიდან გადმოსვლისას მოულოდნელად გარდაიცვალა.

ოფიციალურ ვერსიას ოჯახი კატეგორიულად არ ეთანხმება. გარდაცვლილს სხეულზე მრავლობითი დაზიანებები აქვს. მას ჩამტვრეული აქვს შუბლი და ცხვირი, დაჟეჟილობები აღენიშნება ზურგსა და მკლავზე.

გარდაცვლილს სახელმწიფო ექსპერტიზის ბიურომ ექსპერტიზა ქუთაისში ჩაუტარა. ექსპერტიზის პასუხი 1 თვეში გახდება ცნობილი. ოჯახი სახელმწიფო ექსპერტს არ ენდობა.

საქინფორმი

გოროზიამ „სარაჯიშვილი“ გააფრთხილა - No Russian Market!

როგორც ცნობილია, ქართული ღვინის რუსულ ბაზარზე დაბრუნებასთან დაკავშირებით რუსეთის მთავარ სანიტარ გენადი ონიშჩენკოსთან მოლაპარაკებები თავის დროზე სერიოზულ ფაზაში შევიდა და გარკვეულ შედეგამდეც მივედით – ღვინის მწარმოებელმა რამდენიმე კომპანიამ რუსულ ბაზარზე დასაბრუნებლად შესაბამისი დოკუმენტების მომზადებაც დაიწყო. მათ შორის ერთ-ერთი პირველი კომპანია **„სარაჯიშვილი“** იყო, რომელმაც **„როსპოტრებნადზორს“** შესაბამისი თხოვნითაც მიმართა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, **„სარაჯიშვილმა“** რუსულ ბაზარზე დაბრუნება **„გადაიფიქრა“**.

კომპანიაში განმარტავენ, რომ, **„იმ შემთხვევაში, თუ საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობები არ დარეგულირდება, „სარაჯიშვილი“ რუსეთის ბაზარზე ცალკე არ დაბრუნდება“. მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიზეზი კი კომპანიის ხელმძღვანელობამ არცთუ დამაჯერებლად ახსნა: „საუბარი იყო იმაზე, თითქოს ბაზარი საერთოდ იხსნებოდა და ჩვენც ასე გვეგონა, მაგრამ სანამ ბაზარი ყველასთვის არ გაიხსნება, რუსულ ბაზარზე არც ჩვენ დავბრუნდებით“...**

ერთი შეხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთი კონკრეტული კომპანიის პოზიციაა, თუმცა საქინფორმისთვის ერთი მნიშვნელოვანი დეტალი გახდა ცნობილი, რომელიც **„სარაჯიშვილის“** პოზიციის თავისუფლების საკითხს ეჭვქვეშ აყენებს. საუბარია **„სარაჯიშვილის“** ქარხანაში სოფლის მეურნეობის ახლად დანიშნული მინისტრ ზაზა გოროზიას რამდენიმე დღის წინანდელ სტუმრობაზე. როგორც ცნობილია, მინისტრი გოროზია გუბერნატორობის პერიოდშიც საკმაოდ სკანდალური ფიგურა იყო და როგორც ამბობენ, მის კისერზე ბევრი დანაშაულია. როგორც ჩანს, საკუთარი **„სიძლიერის“** დემონსტრირება გოროზიამ ამჯერად სოფლის მეურნეობის მინისტრის რანგში გადაწყვიტა და დარტყმის პირველი ობიექტი სწორედ **„სარაჯიშვილი“** აღმოჩნდა. ყველასთვის ცნობილია, რომ ხელისუფლებას რუსული ბაზარი სძულს და ბუნებრივია, იმ მეღვინეებს არ გაახარებს, რომელთაც ამ დიდ ბაზარზე დაბრუნება სურთ.

საქმე ისაა, რომ მინისტრ გოროზიასა და **„სარაჯიშვილის“** ხელმძღვანელობას შორის გამართული შეხვედრის მთავარი თემა სწორედ რუსული ბაზარი იყო. როგორც საქინფორმს კომპანიიდან ინფორმირებულმა წყარომ აცნობა, გოროზიამ **„სარაჯიშვილის“** ხელმძღვანელობა მკაცრად გააფრთხილა, უარი ეთქვა რუსულ ბაზარზე დაბრუნებაზე და შესაბამისი პროცედურაც შეეწყვიტა. **„სხვა დეტალებზე ვერ ვისაუბრებ, თუმცა მოგეხსენებათ, რას შეიძლება ველოდოთ ხელისუფლების მხრიდან, თუ მათ მოთხოვნას არ დავაკმაყოფილებთ. ჩვენი ხელმძღვანელობაც ასე მოიქცა, რადგან დღეს ბიზნესის კეთება და შენარჩუნება ამ ხელისუფლების კეთილგანწყობის გარეშე ძნელია“**, – აცხადებს წყარო.

გარდა ამისა, **„სარაჯიშვილში“** განმარტავენ, რომ **„გოროზიასთან შეხვედრაზე საუბარი ახალი ბაზრების ათვისებას შეეხო და რუსულ ბაზარზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა“**, თუმცა, ჩვენი წყაროს ინფორმაციას სიზუსტეს, ალბათ, ეს განმარტებაც ჰმატებს.

ჭეშმარიტება და მხოლოდ ჭეშმარიტება

გაზეთ "ილორის" მთავარ რედაქტორს

ბატონო როლანდ!

უღრმეს მადლობას მოგახსენებთ პირადად თქვენ, გაზეთ „ილორის“ რედაქციას და მკითხველებს, ენის წარმოშობის საკითხზე, საერთოდ ენის ფენომენზე ჩვენი ნაშრომებით დაინტერესებისათვის, მათი პოპულარიზაციისა და ჩვენდამი კეთილი სურვილების გამოხატვისათვის.

სასიხარულოა, რომ თქვენი და ზოგი სხვა ჟურნალ-გაზეთები გარკვეულ ადგილს უთმობენ საკითხებს საერთოდ ენის ფენომენისა და, კერძოდ, ქართველური ენების შესახებ.

ამასთან, შეიმჩნევა აზრთა სხვადასხვაობა ქართულ-ქართველურ ენებთან დაკავშირებით. ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ, ვფიქრობთ, სიცხადეა შესატანი ზოგ საკითხში.

მოგეხსენებათ, ენა ყოვლად წმინდა და სათუთი ფენომენია. მასზე მსჯელობისას უნდა ვემყარებოდეთ ობიექტურ მონაცემებს და არა უბრალო პირად შეხედულებებს, ვარაუდებს, რაც ზოგჯერ ჭეშმარიტებას მოკლებულია.

განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ ათ წელზე მეტია, რაც ცალკეულ ჟურნალ-გაზეთებში, ასევე ინტერნეტში ქვეყნდება ზოგიერთი „სპეციალისტის“ პირად ამბიციებზე დამყარებული ანტიმეცნიერული და ანტისაზოგადოებრივი ხასიათის კორესპოდენციები მეგრული, ლაზური და სვანური ენების შესახებ. აშკარად ხდება ამ ენების დისკრედიტაცია და წაბიძგება გადაშენებისაკენ, რაც, რასაკვირველია, ამ ენების მატარებელი ხალხების გადაშენებას ნიშნავს. პირდაპირ უნდა ითქვას: ზოგიერთი ფსევდოპატრიოტი კვაზიმეცნიერის აშკარად იმპერიულ, შოვინისტურ და ფაშისტურ ქმედებას საზღვარი არა აქვს, იმის გამოც, რომ მათ ყოველივე ეს აქამდე შერჩათ.

ასეთ პირობებში, აუცილებელია, ამგვართა მიერ საზოგადოების დეზინფორმაციის დაუჯერებლივ აღკვეთა და ქართველური ენების დაცვის უზრუნველყოფა ევროსაბჭოს მოთხოვნათა მიხედვით.

ჩვენს საენათმეცნიერო ნაშრომებზე, გამოკვლევის ობიექტის – მეგრული ენის, სხვა ქართველური ენებისა და საერთოდ ენის ფენომენის შესახებ, – როგორც ამას საკითხით დაინტერესებული ცალკეული ადამიანები პირადი წერილით თუ სატელეფონო საუბრით გვატყობინებენ, მკითხველთა ძალზე მცირედ ნაწილს მიუწვდა ხელი. ეს ნაშრომების მცირე ტირაჟით არის განპირობებული.

აღნიშნული და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, სასურველია და აუცილებელიც, თქვენს გაზეთში გამოქვეყნდეს გარკვეული ციკლი ჩვენი კორესპონდენციებისა, საერთო სათაურით: „ჭეშმარიტება და მხოლოდ ჭეშმარიტება“ (რასაც აქვე გაახლებთ), მათ შორის, ანოტაცია ჩვენი შვიდტომეულისა: „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“. ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ 2008 წლის თებერვალში პოეტი-აკადემიკოსის ვაჟა ეგრისელის მიერ გამოქვეყნებულ იქნა მისივე ლიტერატურული გაზეთ „ამაღლებას“ სპეციალურ ნომერში, რითაც მეტად კარგი საქმე გაკეთდა, მაგრამ მცირეტირაჟიანი გაზეთი, ცხადია, მკითხველთა ფართო წრის მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებდა. ამიტომ, თუ თქვენი მოსაზრება დაემთხვევა ჩვენსას, დიდად კმაყოფილი დავრჩებით. ვფიქრობთ, ეს გარკვეულად შეუწყობს ხელს ჭეშმარიტების წარმოჩენასა და ზეობას.

დიდი პატივისცემით

მამანტი ძაძამია,
პროფესორი, აკადემიკოსი,
ცირა ძაძამია,
პროფესორი, აკადემიკოსი.

მოკლე შესავალი

ენის წარმოშობის საკითხით, საერთოდ ენის ფენომენით ადამიანი ოდითგანვე იყო დაინტერესებული. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ენათმეცნიერებაში დამკვიდრდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ **„ენის წარმოშობის საკითხის შესწავლა შეუძლებელია“**, – ასეთი შეხედულება კი საუკუნენახევარია, რაც აქ არსებობს, – მის შესახებ ინტერესი შენელდა.

საბედნიეროდ, მას შემდეგ, რაც ჩვენს მიერ, თანაავტორ ქალიშვილ ცირა ძაძამიასთან ერთად, წარმოჩენილ იქნა ენის წარმოშობის საფუძვლები, მისდამი ინტერესი გაღვივდა.

ამის დასტურია ის ფაქტი, რომ ჩვენს საენათმეცნიერო ნაშრომებზე მიღებული გვაქვს 200-მდე რეცენზია-შეფასება და მიძღვნა, – ლექსების, სამახსოვრო წიგნებზე წარწერების და სხვათა სახით, რაც ერთად გამოცემისას ერთ დიდ წიგნს შეადგენს. ამასთან, მიღებული გვაქვს გამოხმაურებანი: ესპანეთიდან, საფრანგეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, შვეიცარიიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან, ავსტრიიდან, თურქეთიდან, ნორვეგიიდან და, ამ უკანასკნელად, რუსეთიდან. მათ შორის, შინ გვსტუმრობდნენ საკითხით დაინტერესებული სპეციალისტები: ინგლისიდან (ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტიდან), გერმანიიდან. თურქეთიდან (სამჯერ), ავსტრიიდან (ორჯერ) და ნორვეგიიდან (ევროკავშირის წარმომადგენლის სახით). ესპანეთიდან და გერმანიიდან მიწვევაც მივიღეთ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ყველანი დაბეჯითებით გვთხოვენ ნაშრომების უცხო ენებზე თარგმნასა და გამოცემას, რის შესაძლებლობას ჯერჯერობით მოკლებული ვართ. ამასთან, სამწუხაროდ, ჩვენს ნაშრომებზე, მათი ძალზე მცირე ტირაჟის გამო, მკითხველი საზოგადოების მეტად მცირე ნაწილს მიუწვდა ხელი.

სასიამოვნოა, რომ ენის წარმოშობისა და საერთოდ ენის ფენომენის შესახებ ჩვენი ნაშრომებით ინტერესდებიან ჟურნალ-გაზეთები, კრებულები. მათში ქვეყნდება წერილები ამ ნაშრომების შესახებ, ასევე, საერთოდ ენის ფენომენისა და, კერძოდ, ქართველური ენების შესახებ.

ასეთ პირობებში, აშკარად ჩანს აზრთა სხვადასხვაობა ქართულ-ქართველურ ენებზე. ასე, მაგალითად: ზოგიერთები გამოხატავენ მოსაზრებას, რომ ქართველური ენები – მეგრული, ლაზური და სვანური – წარმოშობილია ქართული ენიდან. სხვები, პირიქით, – მიიჩნევენ, რომ ქართული და სხვა ქართველური ენები წარმოშობილია კოლხური ანუ იბერიული ენიდან, ანდა, მეგრული ენიდან. ამ ათიოდე წლის წინ კი გამოჩნდნენ ერთეული **„სპეციალისტებიც“**, რომლებიც ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მეგრული, ლაზური და სვანური ქართული ენის ისეთივე დიალექტებია ანუ კილოებია, როგორიც ქართლური, კახური, იმერული, გურული, ფშავური და სხვა (სულ 16 ერთეული).

ისეთი წარმოდგენა იქმნება, გარკვეული შეჯიბრებაც კი გაუმართავთ, სპეციალისტებს თუ არასპეციალისტებს, თავთავიანთი მოსაზრებების თუ შეხედულებების დასამტკიცებლად.

შეჯიბრება, ყველაფერში, მათ შორის მეცნიერებაში, და კერძოდ, ენათმეცნიერებაშიც, დასაშვებია, იმის გათვალისწინებით, რომ, ჯერ ერთი, ჭეშმარიტება პაექრობაში უკეთ ვლინდება, და მეორეც, საკუთარი მოსაზრების გამოხატვის უფლება ყველას აქვს. მაგრამ, ჩვენის აზრით, შეჯიბრება მიზნად უნდა ისახავდეს სწორედაც ჭეშმარიტების წარმოჩენა-აღიარებას, მის ზეობას, და არა ავტორის მოსაზრების უთუოდ მტკიცების ცდას, მიუხედავად იმისა, მართებულია იგი თუ არა. მით უმეტეს დაუშვებელია ცდა, შეგნებულად მივმართავდეთ ისეთი რამის დამტკიცებას, რაც არარეალურია, ანტიმეცნიერულია, მით უმეტეს, რაც ანტისაზოგადოებრივია და ამაში თვითონაც კარგად ვართ გარკვეული.

როგორც ენციკლოპედიებშია განმარტებული, **„მეცნიერება – ეს არის საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმა; სისტემა სარწმუნო ცოდნისა ბუნებისა და საზოგადოების კანონების შესახებ“.**

სხვაგვარად რომ ვთქვათ, **მეცნიერება – ეს არის ჩვენი გონების შეთანხმება ჭეშმარიტებასთან.**

მეცნიერება ავლენს ბუნების ობიექტურ სინამდვილეს, რაც მანამდე უცნობი იყო და მის შესახებ მიღებულ ცოდნას აქცევს საზოგადოების კუთვნილებად. ამიტომაც დიდი პასუხისმგებლობა აკისრია მეცნიერს, მკვლევარს საკითხის, ჭეშმარიტების კვლევა-ძიებისას. **ჭეშმარიტება მიგნებამდეა ძნელი. მიგნებული ჭეშმარიტება იოლია.**

კვლევა-ძიების ნებისმიერი შედეგი, რაც მოკლებულია რეალობას ანუ არ გამოხატავს ჭეშმარიტებას, არამეცნიერულია და მეცნიერულად მისი გამოცხადება, ასეთად მისი მტკიცების ცდა, უმართებულოა და უშედეგოც.

ამიტომაც, **ჭეშმარიტმა მეცნიერმა არასოდეს არ უნდა მოიტყუოს. მან უნდა წარმოაჩინოს მხოლოდ და მხოლოდ სინამდვილე, არსებული ფაქტები, რეალობანი, ისევე, როგორც ის ბუნებაშია წარმოდგენილი.**

ცხადია, ეს არ გამორიცხავს შეცდომას, უზუსტობას მეცნიერული კვლევა-ძიებისას, მაგრამ სულ სხვაა უნებლიე შეცდომა, უზუსტობა, და სულ სხვაა შეგნებულად დაშვებული სიყალბე, ანდა, თვალის დახუჭვა ჭეშმარიტების მიმართ, მისი მიჩქმალვის მიზნით. ის, ვინც ასეთს უშვებს, ღალატობს თავის პროფესიას, მეცნიერულ და ადამიანურ სინდისს და ფარატინა ქაღალდად აქცევს მოცემული სამეცნიერო ტიტულის შესახებ ბეჭდით დამოწმებულ დოკუმენტყოფილს. სხვა რომ არა იყოს რა, სიცრუისმოყვარულობა სხვა არაფერია, თუ არადა საკუთარი ავტორიტეტის ფეხქვეშ გათელვა, ნულამდე დაცემა. დაბოლოს, სწორად არის ნათქვამი: **„ისტორიკოსი, რომელიც ჭეშმარიტებაზე დუმს, არანაკლებ ტყუის, ვიდრე ის, ვინც მას აყალბებს“.** ეს, ცხადია, არა მხოლოდ ისტორიკოსს ეხება.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ზემოთადნიშნულ არასასურველ გამოვლინებებს ადგილი აქვს ჩვენშიც, კერძოდ, ენათმეცნიერებაში.

ამიტომაც, ასეთ ვითარებაში, ვფიქრობთ, მიზანშეწონილია, მკითხველ საზოგადოებას წარედგინოს ჩვენი ცალკეული სტატიები: უწინარეს ყოვლისა, – სტატია: **„ცალკეული სპეციალისტების მიერ ქართველური ენების უგულებელყოფის ცდის – როგორც არამეცნიერულის, ანტიეროვნული აქტის – აღკვეთისა და ევროსაბჭოს კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად ამ ენების დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ“**, შემდგომ ამისა, – **ანოტაცია ჩვენი შვიდტომეულისა: „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“** (თბ., 2007), და ბოლოს, – სტატია: **„შტრიხები სამტომეულიდან: „საინტერესო მონაცემები ცალკეულ საენათმეცნიერო და ზოგადსამეცნიერო საკითხებზე ზოგადსაკაცობრიო პრობლემათა ჭრილში (ფაქტები, ჰიპოთეზები, დასკვნები)“**, მისი ცალკეული მოკლე ქვესაკითხებით.

ცხადია, აღნიშნული სტატიებით მკითხველს მხოლოდ გარკვეული წარმოდგენა შეექმნება ჩვენი საენათმეცნიერო ნაშრომების შესახებ, ვინაიდან ჩვენი (მამა და შვილის – მამანტი და ცირა ძაძამიების) ერთობლივი **3200-მდე საენათმეცნიერო ნაშრომის** საგაზეთო სტატიებით მკითხველი საზოგადოებისათვის სათანადოდ გაცნობა ყოვლად შეუძლებელია. აქედან: 2600-მდე ნაშრომი თუ საკითხი წარმოდგენილია (ასახულია) შვიდტომეულში: **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“**; 400-ზე მეტი საკითხი მოცემულია გამოსაცემად მომზადებულ ნაშრომში: **„მეგრული ენა (ლექსიკოლოგია, ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, სიტყვათწარმომავლობა)“**, 200-მდე საკითხს მოიცავს დამთავრების პროცესში მყოფი დასახელებული სამტომეული.

ამათ საფუძველზე, შედგენილია მოკლე (200-გვერდიანი) ქართული ტექსტი, ხუთ ენაზე სათარგმნელად და ექვსივე ენაზე ერთტომეულის სახით გამოსაცემად, ნაშრომზე, სახელწოდებით: **„ენის წარმოშობის საფუძვლები“.**

დაბოლოს, აღნიშნული ნაშრომების საფუძველზე მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა **ოცტომეულზე,** სახელწოდებით: **„მეგრული ენა – ენის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ცოცხალი მატიანე“.** იგი ძირითადად დაემყარება შვიდტომეულს, ოღონდ მეგრულის ლექსიკა მასში სრულად იქნება მოხმობილი. ამასთან, ზმნური ფონდი, მისი კოლოსალური მოცულობის გამო, აქაც, ზმნურ ფუძეთა ლექსიკონის სახით იქნება წარმოდგენილი. ცხადია, ოცტომეულში შევა რიგი ახალი საკითხებისა ზემოთ დასახელებული ერთტომეულებიდან და სამტომეულიდან, რომლებიც ჯერჯერობით გამოუქვეყნებელია.

ამჯერად, წარვუდგინოთ მკითხველს შეპირებული სტატიები, რათა თავად განსაჯოს ყოველივე.

კონდოლიზა რაისი მემუარებში სააკაშვილსა და რუსეთზე წერს

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი ქალბატონი კონდოლიზა რაისი ამბობს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სამხრეთ ოსეთში ომის დაწყებისთვის რუსეთს მისი პროვოცირების საშუალება და უფლება მისცა. „eurasianet.org“-ის ცნობით, რაისი ამის შესახებ მემუარებში „No Higher Honor: A Memoir of My Years in Washington“ წერს.

კონდოლიზა რაისი აღნიშნავს, რომ **„ერთი მხრივ, იმპულსური სააკაშვილის დაწყნარებას ცდილობდა, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთარი ადმინისტრაციის მებრძოლი წევრების შეკავება უწევდა“.**

მემუარებში რაისი თავდაპირველად 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებამდე თბილისში გამართულ ვიზიტს აღწერს: **„იგი [მიხეილ სააკაშვილი] იყო ამაყი და, შეიძლება ითქვას, იმპულსურიც. ჩვენ ყველა ვშიშობდით, რომ მას შესაძლოა, მოსკოვისთვის მისი პროვოცირების საშუალება მიეცა, რათა ძალა გამოეყენებინა. ფაქტობრივად კი, მან, მანამდე, რამდენიმე წლით ადრე, წარმატებულად მოახერხა კონფლიქტის პროვოცირება საქართველოს კიდევ ერთ ამბოხებულ რეგიონში – აჭარაში და მოიგო იმით, რომ ამ რეგიონის საქართველოში რეინტეგრირება მოხდა. პრეცენდენტს, ჩვენ ვშიშობდით, შესაძლოა, მისთვის მიეცა საშუალება, ეფიქრა, რომ იმავე წარმოდგენის გამეორებას შეძლებდა პუტინის საყვარელ სოჭთან სიახლოვეს მყოფ ტერიტორიაზე“.**

კონდოლიზა რაისი წერს, რომ მოუწოდებდა მიხეილ სააკაშვილს, ხელი მოეწერა ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმებისთვის, თუმცა, მემუარების მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივნის შემოთავაზებას უარყოფდა.

„ბატონო პრეზიდენტო, რაც გინდათ, ის გააკეთეთ, თუმცა ნუ მისცემთ რუსეთს უფლებას, რომ თქვენი პროვოცირება მოახერხონ. გახსოვდეთ ის მომენტი, როცა პრეზიდენტმა ბუშმა თქვა, რომ მოსკოვი ცდილობს, გაგაკეთებინოთ რაღაც სულელური. არ ჩაერთოთ რუსეთის სამხედრო ძალასთან დაპირისპირებაში. არავინ მოვა თქვენს დასახმარებლად და თქვენ უეჭველად დამარცხდებით“, – წერს კონდოლიზა რაისი საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის შესახებ.

კონდოლიზა რაისი ჯერ კიდევ სამხედრო კონფლიქტის მიმდინარეობის დროს თბილისში გამართულ ვიზიტსა და მიხეილ სააკაშვილთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე წერს: **„შეწუხებული ვიყავი ჟინიანი, ემოციური და გადაღლილი საქართველოს პრეზიდენტის გამო... „ბატონო პრეზიდენტო, მადლობა გადაუხადეთ ევროპელებსა და ამერიკელებს თქვენთან დგომისთვის. თქვით რაიმე წამახალისებელი თქვენი ხალხისთვის ომის დასრულების შესახებ, ხოლო რუსებზე კომენტარს მე გავაკეთებ“, – ვუთხარი მე. დაგეგმილი პრესკონფერენცია მძიმედ დაიწყო... მიხეილ სააკაშვილი ინგლისურად შესანიშნავად საუბრობს, ვიცოდი, რომ ეს არ შეიძლებოდა, პრობლემა ყოფილიყო, თუმცა მოულოდნელად მისი ტონი მკვახე და აგრესიული გახდა. იგი რუსებს ბარბაროსებს უწოდებდა და ტანკების უკან გაბრუნებისკენ მოუწოდებდა. სააკაშვილი არ ჩერდებოდა. კარგი, გავიფიქრე, ისედაც ველოდი მკაცრ სიტყვებს რუსებთან მიმართებაში. შემდეგ მან დაიწყო ევროპელებზე საუბარი, მიუნჰენის კონფერენციისა და რუსების დაშოშმინების შესახებ... სააკაშვილის გამო გაგიჟებული ვიყავი, საუბარიც აღარ შემეძლო“,** – წერს რაისი.

საქინფორმი



ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სერგეი კრემლიოვი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

სტალინს ალბათ განზრახული ჰქონდა რომ გაეტანა მეორე წინადადება – განთავისუფლებულიყო სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან. არის ამის სერიოზული მტკიცებულებები, თუმცა, სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ლავრენტი ბერიას კანდიდატურა არ განიხილებოდა, და ყველასათვის მოულოდნელად, ამ თანამდებობაზე განიხილებოდა პონომარენკოს კანდიდატურა. მაგრამ, ასეა თუ ისე, სტალინი მაინც დარჩა სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე. და მას თურმე მხოლოდ სიცოცხლის ოთხი თვედა რჩებოდა.

პატივცემულო მკითხველო! ჩემი წიგნი საკმაოდ დიდი მოცულობისაა, მაგრამ ეპოქა, რომელსაც მე აღვწერ, ბევრად უფრო დიდი მოცულობისაა. მაგრამ მას ხშირად ძალზე შეკვეცილად აღწერენ, და რაც მთავარია – ტენდენციურად და არაობიექტურად... აი, ნიკოლოზ ზენკოვიჩი **"აანალიზებს"** 1952 წლის უკანასკნელ და 1953 წლის საწყის პერიოდებს და **"ავტორიტეტულად"** აცხადებს, რომ სტალინის მკვლელად ბევრნი მიიჩნევენ ლავრენტი ბერიას. და შემდეგ ვიღას მონაცემებს აღარ ეყრდნობა: ავტორხანოვის, სვეტლანა ალილუევას, ვ.ფ. ალილუევის **"არგუმენტებს"**, რომელიც ასევე ამტკიცებდა: საკმარისი იყო სტალინს ვინმე შეექო, რომ იგი შემდეგ სწრაფად გაქრებოდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური არენიდან, იმიტომ, რომ ბერია ორგანულად ვერ იტანდა **"კონკურენტებს"**.

მოკლედ, მოსკოვი კი არა, წმინდა წყლის სიცილიაა!

ამასთან, **"მამხილებელი"** სვამს საკრალურ შეკითხვას: სად არიან ვოზნესენსკი, კოსაჩოვი, კუზნეცოვი, რა დაემართათ ჟდანოვს, ორჯონიკიძეს?

რა, ზენკოვიჩმა არ იცის, რომ ბერია ამ შემთხვევაში მართლაც არაფერ შუაშია? სხვა ადგილას, ზენკოვიჩი, პირდაპირ მიანიშნებს, რომ სტალინი ნიკიტა ხრუშჩოვმა მოკლა, მაგრამ – ეს წიგნის სხვა ადგილას! მაგრამ, ისინი, ვინც ლავრენტი ბერიამ დახოცა...

სერგო ორჯონიკიძემ 1937 წლის 18 თებერვალს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა (მრავალი რამ ამ საქმეში გაუგებარია, ისევე, როგორც ბევრ რამეში გაუგებარი იყო თვით ორჯონიკიძის ქმედებები)... ბერია ამ დროს ჯერ კიდევ თბილისში იმყოფებოდა.

კოსარევი დააპატიმრეს 1938 წლის 29 თებერვალს. ბერია ჯერ კიდევ არ იყო სსრკ სახალხო კომისარი, მიუხედავად იმისა, რომ ეჟოვი უკვე განთავისუფლებული იყო თანამდებობიდან. მაგრამ, რაში უშლიდა საბჭოთა კავშირის მთავარი კომკავშირელი ხელს ბერიას? კოსარევი 1939 წლის თებერვალში დახვრიტეს. სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ, მისი რეაბილიტაცია, **"პარტიული წესით"** მოხდა სკკპ მოსკოვის ქალაქკომის მიერ 1989 წლის 27 აპრილს, ესე იგი, ფაქტიურად, მისი რეაბილიტაცია არ მომხდარა. ჟდანოვს მაშინ მოუდეს ბოლო კრემლის ექიმებმა, როცა ბერია ჯერ კიდევ არ ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურს.

ვოზნესენსკი და კუზნეცოვი?

რა გაეწყობა. აი, ციტატა **"სსრკ კომპარტიის უწყებების"** 1989 წლის №2-დან:

"შეგნებულად გაბერა რა სრულიად რუსეთის საბითუმო ბაზრობის უკანონოდ ჩატარების საქმე (რომელიც მართლაც უკანონოდ ჩატარდა – ს.კ.), გ.მ. მალენკოვმა გამოიყენა სხვა საბაბიც ლენინგრადის ხელმძღვანელობის დისკრედიტაციისათვის <...>

1949 წლის 21 თებერვალს მალენკოვი პარტიული მუშაკების ჯგუფთან ერთად გაემგზავრა ლენინგრადში რათა ჩაეტარებინა საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის გაერთიანებული პლენუმი, სადაც განაცხადა, რომ ლენინგრადში არსებობდა ანტიპარტიული ჯგუფი <...>

1949 წლის 13 მარტს, მოსკოვში, გ.მ. მალენკოვის კაბინეტში... დაპატიმრებულ იქნენ ა.ა. კუზნეცოვი, პ.ს. პოპკოვი, მ.ნ. როდიონოვი, პ.გ. ლაზუტინი, ჰ.ვ. სოლოვიოვი.

ამავდროულად დაიწყო მოსამზადებელი ეტაპი... პ.ა. ვოზნესენსკის წინააღმდეგ. ამ მიზნით გამოყენებულ იქნა სსრკ მთავარმომარაგების თავმჯდომარის მ.ტ. პომაზნიოვის მოხსენებითი ბარათი, სადაც იგი საგეგმო კომიტეტს სთხოვდა საწარმოო გეგმის შემცირებას I კვარტლისათვის.

ჩვენებების მიღების მიზნით... მალენკოვი პირადად ხელმძღვანელობდა გამოძიებას და დაკითხვებში უშუალოდ იღებდა მონაწილეობას..."

რა შუაშია აქ ბერია?

მაგრამ, განა ამ კონკრეტულ **"ბრალდებებზე"** არ არის აგებული ლავრენტი ბერიას, როგორც **"მონსტრის"** პორტრეტი? ეს ბრალდებები ერთ მწკრივადაა დალაგებული, დაწყებული მუსავატური ბაქოდან, ვიდრე ლავრენტი პავლეს ძის დაპატიმრებამდე.

სამწუხაროდ, ასევე დამაჯერებლად გადმოსცა **"ტირან"** სტალინის სახე თავის **"მოგონებებში"** სერგო ბერიამ (შესაძლოა, ეს მისი ნაშრომის **"პოლიტკორექტორების"** გაკეთებულიც იყოს). სერგო ლავრენტის ძე ამტკიცებს, თითქოს სტალინს განზრახული ჰქონდა თანამებრძოლთ **"ძველი გვარდიის"** თავიდან მოშორება: მოლოტოვის, მალენკოვის, ხრუშჩოვის, ბერიას და სხვების, რათა შემდეგ ისტორიას შერჩენოდა როგორცა სუფთა ხელების მქონე ადამიანი, რომელმაც მოიგო ძნელი ომი და შექმნა უძლიერესი სახელმწიფო.

მე ამ აზრს იმიტომ ვაუღერებ, რომ იგი თანხვდება კ. ზალესსკის მტკიცებულებებს იმის თაობაზე, რომ სტალინს **"ძველი გვარდია"** თავიდან რომ მოეშორებინა, მაშინ, მისი სიკვდილის შემდეგ, ნიკიტა ხრუშჩოვი უმაღლეს ხელისუფლებაში ვერ მოვიდოდა და იქ გზას გაიკაფავდნენ **"ბრეჟნევის ეპოქის"** წარმომადგენლები, რომელთაც მხოლოდ 1964 წელს მოიპოვეს ძალაუფლება. ამ თეზისის, როგორც უვარგისის, სრულიად უარყოფა მე არ შემიძლია, რადგან სტალინის მიერ ნომენკლატურული **"განახლების"** ჩაფიქრება მართლაც შესაძლებელი იყო, თანაც, თუ ეს ცვლა ჩატარდებოდა ყოველგვარი **"სისხლისღვრისა"** და დავიდარაბის გარეშე. საკავშირო კომპარტიის ცეკას 1952 წლის ოქტომბრის პლემუმზე სტალინმა ღიად განაცხადა, რომ აუცილებელი იყო ახალგაზრდა კადრების დაწინაურება, განსაკუთრებით სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და მინისტრების მოადგილეების თანამდებობებზე. მან ხაზი გაუსვა, რომ მინისტრის სამუშაო **"ვაჟკაცური საქმეა"** და მას შესაშური ჯანმრთელობა და ენერგია ესაჭიროება. იგივე გაიმეორა მან 1952 წლის 20 ოქტომბერს, კრემლში, საკუთარ კაბინეტში გამართულ თათბირზე.

წარმოიდგინეთ ერთი წამით – სტალინს რომ მართლაც განზრახული ჰქონოდა ამგვარი **"სისხლის გამოშვება"**, იგი ამას ძველი თანამებრძოლების თანდასწრებით ნამდვილად არ იტყოდა. და თუ მან საუბარი დაიწყო საკუთარი გადადგომით, როგორც ჩანს, საკადრო გადაადგილებები ან ცვლილებები მართლაც იგეგმებოდა. ამასთან, სტალინს, ალბათ, საკუთარი ხედვით, სურდა, რომ ამ ძველი კომპარტიის **"არეოპაგის"** ძალისხმევა მიემართა საზოგადოებასთან იდეოლოგიური მუშაობის ფრონტზე, სახალხო მეურნეობის დარგები კი ჩაებარებინა ახალგაზრდა, ენერგიული კადრებისათვის, მაგრამ გამოცდილი მეურნეობის ხელმძღვანელობითა და მათი უშუალო მეთვალყურეობით.

ერთი რამ, აქ, მართლაც ცუდია – სტალინი ალბათ ვერ ხედავდა ბერიაში იმ გამოცდილ ლიდერს, რომელსაც შეეძლო ხელმძღვანელობა გაეწია სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდა კადრებისათვის. ასეთი ლიდერი კი მხოლოდ ბერია შეიძლებოდა ყოფილიყო. და ეს ასე რომ მოხდარიყო, სოციალისტური სამშობლო აუცილებლად წავიდოდა განვითარების გზით, სოციალისტური დემოკრატიისაკენ.

მაშ რატომ მოხდა სხვაგვარად?

ამ შეკითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა იოლი საქმე არ გახლავთ, იმიტომაც, რომ არაპროფესიონალი ისტორიკოსების მიერ საშინლად იქნა დამახინჯებული ომისშემდგომი პერიოდის საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესები, და ახლა, პროფესიონალი ისტორიკოსების წყალობით, იგი კვლავ იბრუნებს ობიექტურ სახეს. მით უმეტეს, რომ, მართლაც საშინლად აბურდული და გაყალბებულია იოსებ სტალინის სიცოცხლის უკანასკნელი ოთხი თვის ამბები.

ამ ტყუილების ლაბირინთებში გზის გაკვლევა ჩემს ამოცანას არ წარმოადგენს, მათ გამოააშკარავებას ამ წიგნში მე ისედაც დიდი დრო და ადგილი დავუთმე. მაგრამ არსებობენ ფაქტები და სიტუაციები, რომელთა დაკავშირებითაც კამათი ნამდვილად არ შეიძლება (თუნდაც ის, იოსებ სტალინის გარდაცვალების თარიღი რომ 1953 წლის 5 მარტია). ასეთ ურყევ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ სკკპ ცეკას პრეზიდიუმის ბიუროს 1953 წლის 9 იანვრის სხდომა.

ბიურო თითქმის სრული შემადგენლობით შეიკრიბა: **ბერია, ბულგანინი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, მალენკოვი, პერვუხინი, საბუროვი, ხრუშჩოვი,** ესწრებოდნენ ცენტრალური კომიტეტის წევრები **არისტოვი, ბრეჟნევი, იგნატოვი, მიხაილოვი, პეგოვი, პონომარენკო, სუსლოვი,** პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე **შკირიატოვი,** გაზეთ **"პრავდის"** მთავარი რედაქტორი **შეპილოვი,** სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილეები **გოგლიძე** და **ოგოლცოვი.**

ხაზგასასმელია, რომ მოწვეულთა შორის არ იმყოფებოდა სახელმწიფო უშიშროების მინისტრი იგნატიევი. არ ესწრებოდა თვით სტალინიც. ჩვენთვის კარგად ცნობილი გ. კოსტრიჩენკო მინიშნებას აკეთებს **"დიქტატორის ბიზანტიურ"** მიდრეკილებებზე, რომელიც პასუხისმგებლობისაგან თითქოს განზე დგებოდა მაშინ, როცა რაიმე საბედისწერო საკითხი წყდებოდა, მაგრამ იმ დროისათვის სტალინი მართლაც ავადმყოფობდა და ხშირად გრძნობდა ხოლმე თავს შეუძლოდ.

უეჭველი ფაქტია ისიც, რომ 9 იანვარს განხილული იქნა **"მავნებელი ექიმების"** საქმე, რომლის თაობაზეც საკავშირო სატელეგრაფო სააგენტომ **(TACC)** გაავრცელა შესაბამისი განცხადება. განცხადების სათაური ასე ჟღერდა: **"ნამდვილი ჯაშუშები და საზიზღარი მკვლელები, რომლებიც პროფესიონალთა ნიღაბს იყენენ ამოფარებულები"**. და ეს ყოველგვარ მითქმა-მოთქმას აქარწყლებს იმის თაობაზე, თითქოს სტალინი თავიდან ირიდებდა პასუხისმგებლობას ამგვარ გადაწყვეტილებებზე – ნათელი იყო, რომ ამგვარ ღონისძიებას ყველა **"სტალინურად"** ჩათვლიდა (თუმცა, ზემოთთქმული განცხადების სტილისა და შინაარსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საეჭვოა, რომ ეს მართლაც **"სტალინური"** ღონისძიება ყოფილიყო).

კოსტრიჩენკო კი (საკმაოდ გათვითცნობიერებული ავტორი) გვაუწყებს, რომ **"გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს სტრუქტურის მე-2 სამმართველომ ჩამოაყალიბა მე-13 ("ანტისიონისტური") განყოფილება, რომლის ძირითადი ამოცანა გახლდათ ქვეყნის შიგნით მოქმედი ებრაელური "მეხუთე კოლონის" წინააღმდეგ ბრძოლა".** და ის, რომ ამგვარი განყოფილება შეიქმნა სწორედ წითელარმიულ სპეცსამსახურში, და არა ზოგადსახელმწიფოებრივ სტრუქტურაში, ე.ი. სახელმწიფო უშიშროების მინისტრ იგნატიევის უწყებაში, ფრიად ნიშანდობლივია. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ იოსებ სტალინი უკვე არ ენდობოდა არც სსრკ უშიშროების სამინისტროს და არც პირადად მინისტრ იგნატიევს. ხოლო, რაც შეეხება განყოფილების **"სატანურ"** ნომერს (13!), იგრძნობოდა, რომ სტალინმა კარგად იცოდა მასონების **"თამაშის"** წესი, და, როგორც ამბობენ, ამ ნომრის მინიჭებით თავიდანვე **"დაწყევლა"** ებრაელი **"თეთრწინსაფრიანები"**.

სსრკ **TACC**-ის მიერ საგანგებო განცხადების გაკეთების დღეც – 1953 წლის **13** (!) იანვარი – სავარაუდოა, რომ შემთხვევით არ იყო შერჩეული.

ამის შემდეგ სრულიადაც არ არის გასაკვირი რომ იოსებ სტალინს დარჩენილი ჰქონდა მხოლოდ რვა კვირაზე ნაკლები სიცოცხლის დღეები.

ამასთან ერთად, საბჭოთა კავშირში **"ატომური"** საქმე თანდათან მიიწევდა წინ. მხოლოდ 1953 წლის 8-დან 12 იანვრამდე სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ იქნა ხუთი ვრცელი დადგენილება და განკარგულება სხვადასხვა საკითხებზე: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ატომური ინსტიტუტისათვის ჰიდროტექნიკური ლაბორატორიის გამოყოფის შესახებ, 1953 წელს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ურანის მოსაპოვებელი სარევიზიო-საძიებო სამუშაოების ჩატარების შესახებ და ა.შ.

ეს მასალები **"სსრკ ატომური პროექტის მასალებში"** იბეჭდება სსრკ მინისტრთა საბჭოს საოქმო ნაწილის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ასლების მიხედვით. აღნიშნულ ასლებში არსად სჩანს იოსებ სტალინის ხელმოწერა, თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ დედნებზე სტალინს ხელი არ ჰქონდეს მოწერილი.

1953 წლის 15 თებერვალს ასაფლავებდნენ მეხლისს, რომელიც მძიმედ ავადმყოფობდა და 13 თებერვალს გარდაიცვალა. ურნა მისი ნეშტით კრემლის კედელში დაკრძალეს დიდი პატივით. მაგრამ იოსებ სტალინი დაკრძალვის ცერემონიას არ ესწრებოდა, ისევე, როგორც მას არ ესწრებოდნენ ბერია და მალენკოვი. სხვათა შორის, 17 თებერვალს, სტალინმა მიიღო ინდოეთის ელჩი საბჭოთა კავშირში კ. მენონი და საკმაოდ დიდ ხანს ესაუბრა მას. კენონის სიტყვების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ სტალინი უკვე სამოცდაცამეტი წლის იყო, იგი სავსებით მხნედ იყო და ჯანმრთელ ადამიანად გამოიყურებოდა.

მაგრამ, სამწუხაროდ, სტალინი უკვე არ იყო ასეთი **"ჯანმრთელი და მხნე"** – თუ 1953 წლის 6 თებერვალს სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილებას №4 კომბინატის 814-ე ქარხნის სამუშაო რეჟიმის თაობაზე ზამთრის პერიოდში, ხელს აწერდა სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სტალინი, შედარებით უფრო მნიშვნელოვან დადგენილებას – კომბინატში ერთ-ერთ ქარხანაში საგამოცდო ატომური რეაქტორის დაყენების თაობაზე, რომელიც მიღებული იქნა 1953 წლის 14 თებერვალს, უკვე ხელს აწერდა სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლავრენტი პავლეს ძე ბერია.

აი, ახლა მივედით კიდევ ერთ სარწმუნო – თუ წინასწარ არ გავაკეთებთ რაიმე დასკვნებს, – საინტერესო ფაქტამდე! როგორც აღნიშნულია **"საბჭოთა კავშირის ატომური პროექტის"** მეორე წიგნის მეხუთე ტომში (ტექსტი – 505-ე გვერდზე), ფაქსიმილე – 506-ე გვერდზე, 1953 წლის 28 იანვარს სკკპ ცეკას საიდუმლო ბლანკზე დაბეჭდილია ფრიად გასაოცარი და არანაკლებ ბრივი შინაარსის ტექსტი:

"№ბპ7/217

ამხანაგებს ბერიას, მალენკოვს, ბულგანინს

28 იანვარი 1953 წელი.

ამონაწერი 1953 წლის 26 იანვარს ჩატარებული ცეკას პრეზიდიუმის ბიუროს №7 ოქმიდან.

სპეციალურ სამუშაოებზე მეთვალყურეობის დაწესების საკითხი.

დაევალოს სამეულს ამხ. ბერიას (თავმჯდომარე), მალენკოვის და ბულგანინის შემადგენლობით, საგანგებო საქმეთა სპეციალური ორგანოების ხელმძღვანელობა.

სკკპ ცეკას პრეზიდიუმის ბიურო.

მე მხოლოდ ვარაუდი შემიძლია გამოვთქვა ამ საინტერესო საბუთის თაობაზე. ვარაუდის გამოთქმა კი ნამდვილად შემიძლია!

საბჭოთა კავშირში თავდაცვითი დარგის ყველა სამუშაო თავისი რიგით მიდიოდა და მათზე განსაკუთრებულად გაძლიერებული (ისიც მალენკოვით და ბულგანინით) მეთვალყურეობის დაწესება საჭირო ნამდვილად არ გახლდათ!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ვოეტიის კუთხე

ივანე (ვანიჩკა) ნიქტარის ძე შონია

დაიბადა სოფელ დარჩელში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ – 1941 წელს მოხალისედ წავიდა დიდ სამამულო ომში. მდინარე დნეპრის მისადგომებთან მძიმედ დაიჭრა, საიდანაც დემობილიზებულ იქნა. 1953 წელს შევიდა ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობაზე. შემდეგ, როგორც დიდი სამამულო ომის მონაწილე, უკონკურსოდ ჩაირიცხა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, ჯერ ბუღალტრის მოადგილედ, შემდეგ კი მთავარ ეკონომისტად. სამუშაოს პარალელურად ეწეოდა შემოქმედებით საქმიანობას – წერდა ლექსებს ქართულ და მეგრულ ენებზე.

ივანე შონია გარდაიცვალა 2009 წლის 23 ოქტომბერს.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ ივანე შონიას მეგრულენოვან ლექსებს.



ახალგაზრდეფ თქვან კლუბირე

გლეხკოჩ მუშობაშ ქერქილი,
მინდორც წუმოჭვილი, უჩა,
ათაშ უშიბ მუშოთ ფუჩხა
დო ორინჯშოთ ჭა დო ფურჩა.
ყვანაშე გიშელენდესდო
მიანჭუაფდეს ყუჩა,
ბრელშა ვართ იჩოლუანდეს
ოჭკუმალიშ ოჭკომუშა,
ეთეშ მიშეს არძაართო
შულადირი გლეხ დო მუშა,
კლუბშა მეუღუდეს დუდი
შურიშ გინართუაფუშა.
მიშეს გახარებულ კათა
ყოროფა დო ხათრით ეფშა,
შულადა თექ ოჭყორდუდეს
თიზმა ხიოლიში გეშა.
მოხუცებულ კათა ხოლო
მიშეს მუნეფიშ გემოშა
ირ ონჯუას კონცერტ მიშუ
ირორდ მაჯინეფით გობშა.
ასე ართ დღას მირე თქუანც
შურო ქორდას ოშა-გოშა,
ოღონდ ექ იშენ ვემნირთე
ჩხოუშ წვირეთ გოხოლ მობშა.
ახალგაზრდეფ თქვან კლუბირე
ონჯღორე გიჩქუდან თეშა,
დუდ ვეგიდგე თი შენობა
კლუბი რე დო ვარი ჩეჩმა.
ირფელ ძალა-უფლებეფი
თქვა ხომ ქაშეყოთით ხეშა,
ეცადით დო ვეკაწყინდათ
ხალხი ვეგნიყუნათ ნეშა.
ჯვეშკათაშო მუ იყუაფ
თეშე უმოს-უნწარაში,
სოდეთ თქვა ვეგეტყყვებუნა
შურო მუთუნ კოჩანაში.
თქვანდე მეტი მუს გეგონე
ბებ დო დიდაშ გორაფაში,
ათეცალეფით იძირე
დონე თქვანი კულტურაში.
გინიღით დო გიმირინეთ
ირფელ ჯგირი შხბადოშხვაში,
დარიგებეფ ირო რშუდან
თქვან დიდა დო თქვან მუმაში.
შურო წიმი ქიჯინეთდა
ოკო ქოქიმინათ თაში,
თიდროს იყით საიმენდო
თქვა ერი დო ქიანაში.

ივანე შონია

ფარული გენოციდი ჯანდაცვის სახელით?!

ჯანდაცვის სფეროში რომ უმძიმესი ვითარებაა, ეს დიდი ხანია სადავო აღარ არის. ალბათ, დადგა დრო, საზოგადოებამ და შესაბამისმა ორგანოებმა გააანალიზონ და გამოიძიონ, რატომ ჩავარდა ჯანდაცვის ყველა რეფორმა და რატომ მოიშალა მთლიანად სისტემა. ამ საკითხზე მუშაობისას აღმოვაჩინეთ, რომ ყველა გამომძიებელი, რომელიც ჯანდაცვის სფეროში არსებულ დარღვევებს იძიებდა და არაერთი სიყალბე აღმოაჩინა, სამსახურიდან გაათავისუფლეს. მათი შედგენილი სკანდალური საქმეები კი სეიფებში ინახება.

ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა ქალაქ რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობის სამედიცინო მომსახურებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის საბუღალტრო რევიზიის აქტი, რომელიც 2006 წლის 25 დეკემბრით არის დათარიღებული. რევიზია 1997 წლიდან 2006 წლამდე პერიოდს მოიცავს. მასში დაფიქსირებულია თანხების გაფლანგვის, არამიზნობრივად ხარჯვისა და დანაშაულებრივი ქმედების ამსახველი ფაქტები. ამ აქტს, თავის დროზე, რეაგირება არ მოჰყოლია, – პირები, რომელთაც პასუხი უნდა ეგოთ აქტში მოყვანილ დანაშაულებრივ ქმედებებზე, დღეს ან პარლამენტის წევრები არიან, ან აღმასრულებელ ხელისუფლებაში მაღალი თანამდებობები უჭირავთ.

ტარიელ ლომინაშვილი, რუსთავის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამხარეო ცენტრის დირექტორის ყოფილი მოადგილე: პროფესიით ეკონომისტი ვარ, რამდენიმე წელი ქვემო ქართლის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე ვიყავი და როცა ამ სფეროში ჩავიხედე, ადამიანობაზე წარმოდგენა დავკარგე. ეს არ იყო მხოლოდ ფულის გაკეთება, ეს იყო ერის ფარული გენოციდი! გიამბობთ, რა ხდებოდა ამ წლებში ჯანდაცვის სისტემაში! ეს არის მკვლელობათა სერიალი. ჩემი სიტყვები ლაბობად რომ არ მოგეჩვენოთ, ფაქტებით დავიწყებ. მაგალითად, 6 რუსთაველი მხოლოდ იმიტომ გაწირეს სიკვდილისთვის, რომ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ სახელმწიფო პროგრამით გამოყოფილი 104 ათასი ლარი არამიზნობრივად გახარჯეს. ეს 2005 წელს მოხდა. ექვს რუსთაველ ავადმყოფს, რომლებიც დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში იყვნენ ჩართული, ჯანდაცვის სამინისტრომ 104 ათასი ლარი რუსთავის თვითმმართველობაში გადაურიცხა. ნაცვლად იმისა, ფული მათ მოხმარებოდათ, თანხა ხელფასებსა და პრემიებზე გაწერეს. შედეგად, ვერც ერთი დიალიზის პროგრამაში ვერ ჩაერთო და ექვსივე გარდაიცვალა. კარგად მახსოვს, ერთი მათგანი გვარად კუსიანი იყო, 21-22 წლის ბიჭი. მოსახლეობის ნელი გენოციდი შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაიწყო და სააკაშვილის მთავრობამ უმაღლ ეს რანგში აიყვანა!

დოკუმენტებში რომ ჩავიხედე, აღმოვაჩინე აბსტრაქტულ პროფილაქტიკურ პროგრამებში გაწერილი სრულიად კონკრეტული, სოლიდური თანხები. ცხადი გახდა, რომ დიდძალი საბიუჯეტო თანხები იფლანგებოდა რამდენიმე კარგად დამუშავებული სქემით.

სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე რიცხავდნენ ფულს კონკრეტული მომსახურებისთვის, რაც სინამდვილეში არ ხდებოდა. ფულს კი საავადმყოფოს დირექტორი და იმ ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი იყოფდნენ, რომელიც ბიუჯეტიდან თანხებს გამოყოფდა.

მოკლედ, მოქალაქე იქსს გაუწევდნენ არასრულყოფილ სამედიცინო მომსახურებას, ძირითად ხარჯებს ავადმყოფი იხდიდა, მაშინ როცა მისი მკურნალობის ხარჯებს ცენტრალური სახელმწიფო პროგრამა და მუნიციპალური ფონდი დუბლირებულად აფინანსებდა. სინამდვილეში გამოყოფილი თანხის მეასედიც კი არ მიდიოდა ავადმყოფამდე და ჩინოვნიკები ითვისებდნენ ან საარჩევნო ყულაბაში იყრებოდა. დოკუმენტების შესწავლის შემდეგ გაირკვა ისიც, რომ სამსახურს არ გააჩნდა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. პრეზიდენტის 1997 წლის ბრძანებულების მიხედვით, რუსთავში უნდა შექმნილიყო საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი. ნაცვლად ამისა, იმდროინდელმა მერმა, მერაბ ტყეშელაშვილმა, გამოიგონა ეგრეთ წოდებული სპეცპროგრამების ბიურო მხოლოდ იმიტომ, რომ საბიუჯეტო თანხები, რომელიც უნდა გამოყოფილიყო ჯანდაცვითი პროგრამების დასაფინანსებლად, თავად ეკონტროლებინა.

როგორც კი ამ თანამდებობაზე დამნიშნეს, მაშინვე პირდაპირ და მოურიდებლად დაიწყო ჯანდაცვის პროგრამებისთვის გათვალისწინებული თანხებიდან "ატკატების" მოთხოვნები. ფულს ითხოვდნენ როგორც რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობის ჩინოვნიკები, მაგალითად, მაშინდელი ვიცე-მერი თემურ დალაქიშვილი, ისე ჯანდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები.

– **"ატკატი"** როგორ უნდა გაგეთეთრებინათ?

– ბუღალტერიაში უნდა მომეხერხებინა რაღაც-რაღაცები და გამეწერა შესრულებულ სამუშაოებში, შემდეგ რაღაც უნდა შემესყიდა, ორგანიზაციებს ან სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებს გავრიგებოდი, რომ თითქოს შევასრულე სამუშაოები, მაგალითად, ჩავატარე საბავშვო ბაღის ან სკოლის დეზინფექცია, ინფექციური კერების ლოკალიზაცია და ა.შ. არჩევნების წინ კი საარჩევნო ყულაბაში თანხების მობილიზებასაც ითხოვდნენ. ეს კატეგორიული მოთხოვნა იყო, უფრო მეტიც, პირობა სამსახურის შენარჩუნებისა. არადა, შეუფასებელია ამ თანხების გაფლანგვით გამოწვეული შედეგის სიმძიმე, საქმე გვაქვს სიცოცხლისათვის საშიში გარემოს ხელოვნურად შექმნასთან. ამის თაობაზე ყველა შესაბამისი ორგანოსთვის მაქვს ოფიციალური წერილი მიწერილი. ყველა წერილი რეაგირების გარეშე დარჩა, პირიქით, მტრები შევიძინე.

დაიწყო ჩვენი დევნა, მოსყიდული ჟურნალისტების მეშვეობით აკეთებდნენ სიუჟეტებს, აწყობდნენ პროვოკაციებს, თითქოს აქეთ ვითვისებდით საბიუჯეტო სახსრებს. ვითომ მოქალაქეთა საჩივრები შედიოდა ჯანდაცვის სამინისტროში, პროკურატურაში, კონტროლის პალატაში. კომისია კომისიაზე მოდიოდა ჩვენს სამსახურში. ორჯერ დაიწყეს წინასწარი მოკვლევა, მაგრამ, რადგან კვალი ჯანდაცვის სამინისტროსთან, კლინიკების ხელმძღვანელებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის უმაღლეს ეშელონებში მოკალათებულ პირებთან მიდიოდა, გამოძიება იძულებული გახდა, ორჯერვე არაღძვრის დადგენილება გამოეტანა. კომისიებს, რომელთაც გზავნიდნენ, ჰქონდათ მითითება, რომ პროგრამული თანხების მიზნობრივ ხარჯვაზე ჩაეტარებინათ რევიზია, მაგრამ პარადოქსი ის იყო, რომ პროგრამის თანხები მიზნობრივად რომ დახარჯო, უნდა არსებობდეს თავად პროგრამა. როცა კომისია მოდიოდა, ვთხოვდით, თან მოეყოლებინა ის პროგრამა, რომლის ფინანსების მიზნობრივი ხარჯვა უნდა შეემოწმებინათ, მაგრამ ასეთი პროგრამა არ არსებობდა და რას შეამოწმებდნენ?

რაკი ჩვენი სამსახურიდან გათავისუფლება ვერ მოხერხდა, ბევრი იფიქრეს და ჯერ დაწინაურება შემოგვთავაზეს, ბოლოს ჯანდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანმა პირდაპირ გვითხრა, ან იცურებთ მდინარის მიმართულებით, ან ციხეში წახვალთო.

იმ პერიოდში ქვემო ქართლის პროკურორი სიმონ მაჭავარიანი იყო. როცა მეორედ აღძრეს სისხლის სამართლის საქმე, მაჭავარიანმა რეალურად შეაფასა ვითარება და როგორც კი ჩვენს წინაადმდეგ დაწყებულმა გამოძიებამ საპირისპირო მიმართულება მიიღო, სასწრაფოდ მოაშორეს თანამდებობიდან, – ის გენერალურ პროკურატურაში დააწინაურეს!

რადგან ვერ გადაგვიბირეს, სამსახურის ლიკვიდაცია გადაწყდა. გვაიძულებდნენ, არარსებული რუსთავის ჯანდაცვის ცენტრის სალიკვიდაციო აქტზე მოგვეწერა ხელი და ქონება, რომელიც ქვემო ქართლის ჯანდაცვის ცენტრს ეკუთვნოდა, ახალშექმნილი სამსახურისთვის გადაგვებარებინა. ამ ფარსში მონაწილეობა არ მივიღეთ და დღემდე არ არის სალიკვიდაციო აქტი შედგენილი, მაგრამ იმას, რაც ვერ შეძლეს კანონით, მიაღწიეს სპეცრაზმის გამოყენებით. ამ ცენტრის უკანონო ლიკვიდაცია 2003 წელს მოახერხეს, ამასობაში **"ნანატრი" "ვარდების რევოლუციაც"** მოხდა. ვიფიქრე, ახლა კი ყველა აგებს პასუხს-მეთქი, მაგრამ ახალი ხელისუფლება ძველის ცოდვების ჩაფარცხვითა და უფრო დახვეწილი კორუფციული სქემით მოგვევლინა! ყველაფერი გავაკეთე, რომ ეს საქმე არ ჩაფარცხულიყო და 2004 წლის მარტში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და გამომძიებელ ალექსი შარიაშვილის ხელში მოხვდა. სწორედ მან გაშიფრა დანაშაულებრივი სქემა,- შეამოწმა გარდაბნის რაიონი, რუსთავი, რამდენიმე სამედიცინო დაწესებულება, მარნეული და კვალმა დაავადებათა ეროვნულ ცენტრსა და ჯანდაცვის სოციალურ ფონდთან მიიყვანა. მაშინ ჯანდაცვის სამინისტროში იყო სადაზღვევო ფონდი, რომლის ყოფილი ხელმძღვანელი იმ დროისთვის, როცა ეს დანაშაულები დაიშიფრა, ლადო ჭიპაშვილი გახლდათ. შარიაშვილმა ფონდში შესვლა მოიწადინა. ამისთვის კი საჭირო იყო სპეციალური უფლებამოსილება, მაღალი თანამდებობის პირის მხარდაჭერა ან პოლიტიკური ნება, რომ ამ დანაშაულებს დღის სინათლე ეხილა. ჭიპაშვილთან ახლო ურთიერთობა მქონდა და ჭიპაშვილისა და შარიაშვილის შეხვედრა მოვახერხე. გამომძიებელმა ჭიპაშვილს მთელი სქემა გაუშიფრა.

შარიაშვილმა პირდაპირ უთხრა ჭიპაშვილს, რომ ამ საქმეში გარეული იყვნენ სამედიცინო დაწესებულებების თითქმის ყველა ხელმძღვანელი, საკრებულოების თავმჯდომარეები, გამგებლები და ქალაქის მერები. ლადო ჭიპაშვილმა დიდი მადლობა გადაგვიხადა, დახმარება აღგვითქვა და... გამომძიებელი ალექსი შარიაშვილი ორ კვირაში გაათავისუფლეს თანამდებობიდან როგორც წესრიგის დამრღვევი(?!).

საკ. ინფ.

დიმიტრი ლორთქიფანიძე: "საქართველოში მრავალშვილიანობა სასჯელია"

დიმიტრი ლორთქიფანიძის შეფასებით (ფრაქცია **"ერთობა სამართლიანობისთვის"**) საქართველოში მრავალშვილიანობა სასჯელია. ამის შესახებ დიმიტრი ლორთქიფანიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მას შემდეგ განაცხადა, რაც მომავალი წლის ბიუჯეტის განხილვის დროს ვერ მოისმინა კითხვაზე პასუხი, თუ რატომ არ ითვლება 5- და 6-შვილიანი ოჯახები მრავალშვილიანად და რატომ არ არის გათვალისწინებული მათი მატერიალური დახმარება.

ლორთქიფანიძის განცხადებით, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში მრავალშვილიანად აღიარებულია მხოლოდ 7-შვილიანი ოჯახი და დახმარება თითოეულ ბავშვზე 5 ლარია გათვალისწინებული, თანაც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ოჯახი სიღატაკის ზღვარს მიღმაა.

„მრავალშვილიანობა უკვე სასჯელია საქართველოში და ეს საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი. რამდენ ხანს უნდა იყოს ეს საკითხები პასუხგაუცემელი?!“ – განაცხადა ლორთქიფანიძემ.

ლორთქიფანიძის შეფასებით, მომავალი წლის ბიუჯეტი აბსოლუტურად გაუმჭვირვალეა და არავითარი სოციალური მიმართულება არ გააჩნია.

ინფორმაცია

შემოვლითი რკინიგზა და შეწყვეტილი დაფინანსება



ამ ბოლო ხანს შემოვლითი რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით სკანდალური ინფორმაციები ვრცელდება.

ორიოდ დღის წინათ თბილისის საკრებულოში ქრისტიან-დემოკრატების ინიციატივით სხდომა გაიმართა, რომელსაც თბილისის მერიის არქიტექტურისა და ეკოლოგიის სამსახურების წარმომადგენლები და დაინტერესებული მოქალაქეები ესწრებოდნენ. განიხილებოდა საკითხები, თუ რამდენად უსაფრთხო იქნება ახალი რკინიგზა მოსახლეობისათვის, მოახდენს თუ არა რაიმე სახის გავლენას სარკინიგზო ხაზის მშენებლობისას წარმოქმნილი ვიბრაცია ტერიტორიის ირგვლივ არსებულ ინფრასტრუქტურაზე, რა მექანიზმები იქნება გამოყენებული დასახლების ხმაურისგან დასაცავად, რა გზით მოხდება გამოთავისუფლებულ ტერიტორიებზე დაბინძურების საფრთხის თავიდან აცილება, რა ზომები იქნება მიღებული თბილისის ზღვის, როგორც ძირითადი სასმელი და სარწყავი რესურსის, დასაცავად და რა სახის კომპენსაციით იქნება დაკმაყოფილებული ის მოქალაქეები, რომელთაც საკუთარი განსახლების ადგილების დატოვება მოუწევთ. თუმცა როგორც ქრისტიან-დემოკრატმა ზაზა გაბუნიამ აღნიშნა, მერიის წარმომადგენლებისგან მათ ამომწურავი პასუხები ვერ მიიღეს.

მსჯელობდნენ არა მხოლოდ თბილისის საკრებულოში, არამედ ევროპის ბანკებშიც. როგორც ახლახან საქინფორმისთვის გახდა ცნობილი, ევროპის ბანკებმა **„თბილისის შემოვლითი რკინიგზის“** პროექტის დაფინანსება შეწყვიტეს.

შპს **„საქართველოს რკინიგზამ“ „თბილისის შემოვლითი რკინიგზის“** პროექტის განსახორციელებლად დაფინანსების ძირითადი ნაწილი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან და ევროპის საინვესტიციო ბანკისგან მიიღო. პროექტის ღირებულება თავდაპირველად 300 მლნ ევროს შეადგენდა, თუმცა 2010 წელს ევროპის საინვესტიციო ბანკმა 100 მლნ ევრო კრედიტის სახით დამატებით გამოყო პროექტის დასაფინანსებლად. პროექტი გულისხმობდა რკინიგზის შემოვლითი ხაზის აშენებას თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე. თუმცა ამ ეტაპზე ევროპის ბანკებმა პროექტის დაფინანსება შეაჩერეს. ამის მიზეზად კი სახელდება შპს **„საქართველოს რკინიგზის“** მხრიდან კორუფციული საქმიანობა, რის შესახებაც ცნობილი გახდა პროექტის სპონსორებისთვის. კერძოდ, საუბარია ხარჯების ხელოვნურად გაზრდაზე და ამ გზით მილიონობით ევროს მითვისებაზე.

იციან ბიჭებმა, მალე რომ უნდა დაახვიონ საქართველოდან და ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ფული გააყოლონ ხელს!

საქინფორმი

ინფორმაცია

მიხეილ სააკაშვილი: ყველაზე მეტად პენსიონერების დახმარება და ეკონომიკის განვითარება მსურს

საქართველოს პრეზიდენტმა მთავრობის წევრებთან ერთად პენსიის ზრდისა და პენსიონერთა დაზღვევის საკითხი განიხილა. მისი განცხადებით, პენსიის ზრდის პოლიტიკა, დაპირებისამებრ, გრძელდება და საპენსიო პაკეტი მომავალი წლიდან 140 ლარს შეადგენს.

მიხეილ სააკაშვილმა ნიკა გილაურს, ანდრია ურუშაძესა და დიმიტრი გვინდაძეს კონკრეტული დავალებები მისცა და აღნიშნა, რომ პენსიების გრძელვადიანი ზრდა და სადაზღვევო სისტემის დახვეწა, განსაკუთრებით, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის, საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტი და 2012 წლის ბიუჯეტის მთავარი მიმართულებაა.

მიხეილ სააკაშვილმა პრემიერ-მინისტრისგან დეტალური ინფორმაცია მოითხოვა იმის თაობაზე, თუ რა რესურსი აქვს ქვეყანას იმისათვის, რომ პენსიონერებს 140-ლარიანი საპენსიო პაკეტი შესთავაზოს. როგორც ნიკა გილაურმა განაცხადა, სადაზღვევო პაკეტის ფარგლებში 15 000 ლარამდე გეგმური ოპერაცია 20-პროცენტიანი თანადაფინანსებით ანაზღაურდება, ხოლო გადაუდებელი ოპერაციები ულიმიტოა და ამ შემთხვევაშიც სახელმწიფოს მხრივ დაფინანსება 80 პროცენტს შეადგენს. რაც შეეხება წამლების ანაზღაურებას, დაზღვევის ფარგლებში, ლიმიტი 200 ლარით განისაზღვრა და სახელმწიფო მათი ღირებულების 50 პროცენტს დაფარავს.

„მომავალ წელს პენსიების ზრდის ტენდენცია გაგრძელდება, მაგრამ ჩემი დაპირება არ დამვიწყებია. როგორი კრიზისიც უნდა იყოს, ჩემი პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე პენსიების ზრდა ეტაპობრივად უნდა გაგრძელდეს. ჩვენ მაქსიმალურად უნდა დავუახლოვდეთ და შევასრულოთ ის დაპირება, რომელიც 2008 წლის იანვარში მივეცით მოსახლეობას. ჩვენ ყოველთვის ვამბობთ, რომ ჩვენი საზოგადოების ყველაზე დამსახურებული და, ამავე დროს, დაუცველი ნაწილი არიან ჩვენი პენსიონერები. ამიტომ, რა თქმა უნდა, მათთვის ორი საკითხია მთავარი – ჯანდაცვა და დაზღვევა“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და დასძინა – **„ყველაზე მეტად პენსიონერების დახმარება და ეკონომიკის განვითარება მსურს“.**

ასეთ შემთხვევაში ამბობენ ხოლმე: **“ნაცარქექია კერიას ძირში გახელდაო!”**

მოკლედ, ვერ გაძღა ტყუილებით ეს მართლა ქოსატყუილა. მოუჭირა ახლა არჩევნების წაგების შიშმა და ლამის უკან დაუბრუნოს გაჭირვებულ ადამიანებს ჯიბიდან ძალითა და თაღლითობით ამოღებული მილიონები.

რად გინდა, მერე, სააკაშვილმა თუ გაჭირვებული ხალხისათვის რაიმე გროშები გაიმეტა მისაცემად, მისი მოურავი გიგი უგულავა წამსვე ამოგაცლის ჯიბიდან სოციალური და კომუნალური მომსახურეობისათვის გამოყოფილ თანხებს რაიმე ახალი თაღლითობის გამოყენებით!

საქინფორმი

ინფორმაცია ინფორმაცია ინფორმაცია

ილია მეორე - „ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა აუცილებლად უნდა მიენიჭოს“

„სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს მიაჩნია, რომ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა აუცილებლად უნდა მიენიჭოს“.

ამის შესახებ პატრიარქმა დღეს, სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგებისას განაცხადა.

„დღეს ბევრი საუბარია იმასთან დაკავშირებით, ბიძინა ივანიშვილი უნდა იყოს თუ არა საქართველოს მოქალაქე. ის უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, რა თქმა უნდა, რადგან ის ქართველია. ვფიქრობ, ყველა ქართველი ადამიანი, დაბადებული საქართველოში თუ უცხოეთში, რომელსაც ქართული სული და ხორცი აქვს, უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე. მე მაწუხებს, რომ ასეთმა უბრალო საკითხმა გამოიწვია ასეთი არასასურველი კამათი. დარწმუნებული ვარ, რომ პრეზიდენტი გაითვალისწინებს ამას და მას საქართველოს მოქალაქეობას მიანიჭებს“, - ბრძანა ილია მეორემ.

ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა მას შემდეგ შეუწყდა, რაც მან განაცხადა, რომ რუსეთისა და საფრანგეთის პასპორტებსაც ფლობს. საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა ივანიშვილის მეუღლე ეკატერინე ხვედელიძესაც.

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, იგი ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის შესახებ პატრიარქის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე კომენტარს არ აკეთებს. **„ვადასტურებ სრულ პატივისცემას საქართველოს პარტიარქისადმი, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ კომენტარისგან თავს ვიკავებთ“,** – განაცხადა პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ დღეს გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე.

ნუთუ ოდნავ მაინც ვერ ერკვევა თეოლოგიის საკითხებში ბატონი ბიძინა და არ იცის, რომ მონოფიზიტ-სომეხ მიხეილ სააკაშვილისათვის მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქი ილია მეორე სულიერი მოძღვარი ვერ იქნება და არც მისს ღაღადისს გაუწევს ანგარიშს. ამიტომ, ვურჩევთ ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომ სთხოვოს სომეხ მონოფიზიტ სააკაშვილის სულიერ მამას, ასევე მონოფიზიტს, სომხური ეკლესიის კათალიკოსს გარეგინ მეორეს, რათა მან უშუამდგომლობს სააკაშვილთან საქართველოს მოქალაქობის აღდგენის თაობაზე. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ სააკაშვილი საკუთარ სულიერ მოძღვარს ამ თხოვნაზე უარს ვერ ეტყვის. რაც შეეხება **“სრული პატივისცემის დადასტურებას პატრიარქისადმი”**, ეს **“სრული”** სიცრუე გახლავთ, რადგან სააკაშვილის (ისევე, როგორც გარეგინის) უაპელაციო, ლამის **“ჰავლაბრულ-ძმაბიჭური”** დამოკიდებულება პატრიარქისადმი კატეგორიულად გამორიცხავს ამ მართლაც პირწავარდნილი სომეხის მოწიწებასა და პატივისცემას ქართული ეკლესიის მხცოვანი საჭეთპყრობელის მიმართ.

ასე რომ, სხვა გზას უნდა დავადგეთ, ბატონო ბიძინა, სულ სხვა გზას, რადგან ქართული საზოგადოება დიდი ხანია დარწმუნებულია, რომ მოძალადე გადამთიელების საქართველოს ხელისუფლებიდან ჩამოცილება მშვიდობიანი არჩევნების გზით პრაქტიკულად შეუძლებელია. ეგენი საქართველოს ნაწილ-ნაწილ დაგვამხობენ თავზე, მაგრამ ძალაუფლებას მშვიდობიანად არ-ავითარ შემთხვევაში არ დათმობენ! მაგათ იმდენი დანაშაული აქვთ ჩადენილი საქართველოსა და ქართველი ერის წინაშე, რომ არჩევნების წაგების შემთხვევაში (რაშიც უკვე ეჭვი აღარავის ეპარება) ყველანი განსასჯელთა სკამზე აღმოჩნდებიან!

ეს კი ის შიშია, რომელიც **“სიყვარულს ვერ შეიქმნის!..”**

სააკაშვილი ჩვენს ბავშვებს კოსმონავტებად აქცევს...

სააკაშვილი ყვარლის მეორე საჯარო სკოლას ესტუმრა, სადაც ულტრათანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი **„ჯეოსელის“** კლასი გახსნა. ამ საკლასო ოთახში გაკვეთილები თანამედროვე, ინტერაქტიური ტექნიკის საშუალებით იმართება, რომლის მიმდინარეობის პროცესი პრეზიდენტმა პირადად შეაფასა.

„საქართველოში ყველა საკლასო ოთახი ასეთი არ არის – ბოლომდე ჯერ ყველა სკოლაც არ გაგვირემონტებია, მაგრამ ის, რომ ქვეყანაში მსგავსი სტანდარტი დაინერგა, იმის მაჩვენებელია, რომ ეს თაობა 10 თავით მაღლა იქნება, ვიდრე ჩემი, ან ნებისმიერი მათზე ადრე დაბადებული. ჩვენი თაობის დამსახურებაა ის, რომ შემდეგ თაობებს მსგავს პერსპექტივას ვუქმნით. ინფორმაციის, ცოდნის, მსოფლმხედველობის თვალსაზრისით, ეს ბავშვები იმაზე მეტს შეძლებენ, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. ვფიქრობ, მომავალ წელს ასეთივე კლასი ასამდე სკოლაში გვექნება, ხოლო 2015 წლის მოდერნიზაციის გეგმის მიხედვით, საქართველოს ყველა ძირითადი ცენტრის, ქალაქის, რაიონისა და დიდი სოფლის სკოლებში გავხსნით მსგავს საკლასო ოთახებს – ყველა სკოლაში ერთიანი სტანდარტი უნდა შეიქმნას“, – განაცხადა სააკაშვილმა.

იგი მოსწავლეებთან ერთად პირველი ექსპერიმენტული სკოლის **„ჯეოსელის“** კლასს ონლაინრეჟიმში ჩაერთო და თბილისელ მოსწავლეებსაც გაესაუბრა. პრეზიდენტის განცხადებით, ეს არის არა მხოლოდ კონკურენცია, არამედ ის, რაც სამყაროს ახლებურად აღქმას შეუწყობს ხელს. **„ჯეოსელის“** ოთახში ინტერაქტიული სმარტდაფა და ცამეტი მონიტორია დამონტაჟებული, რაც ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებასა და სასწავლო პროცესში მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართულობას უზრუნველყოფს.

ამ შემთხვევაში შეკითხვას არ იწვევს თვითონ ამ კლასების გახსნის ფაქტი, რადგანაც, როგორც გვარწმუნებენ, მათი მოწყობა და აღჭურვილობა ფიჭური კავშირის კომპანია **„ჯეოსელს“** დააკისრეს (როგორც ადრე ბევრი სახელისუფლებო პროექტი – მაგალითად, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟების კავშირის უზრუნველყოფა და სხვ.). არც ისაა გასაკვირი, საქართველოს მმართველები რატომ აკეთებენ აქცენტს სკოლების საყოველთაო **„კომპიუტერიზაციასა“** და ინგლისური ენის პრიორიტეტის გამოცხადებაზე – იმ დროს, როცა საქართველოში, ახალგაზრდა თაობაში რუსული ენა თითქმის არავინ იცის, მოზარდები იძულებული იქნებიან, ინფორმაცია მარტო ინტერნეტის მეშვეობით, ანუ ქართულ და ინგლისურ ენაზე მოიძიონ. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ინტერნეტში ქართულ ენაზე ინფორმაციის განთავსება სწორედ რომ ამ ხელისუფლების დროს დაიწყო, ანუ იქ ხვდება მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებისთვის ხელსაყრელია, ახალგაზრდა თაობა მიიღებს ზუსტად იმ მონაცემებს, რომლებიც ხელისუფლების ინტერესებში შედის.

არ დავიწყებთ დავას იმის თაობაზე – რამდენად მიზანშეწონილია სწავლების ტრადიციული მეთოდებისა და წერა-კითხვის მაგივრად ე.წ. ჭკვიანი დაფების მეთოდით სწავლება – ეს გამოცდილ ექსპერტებს, მეცნიერებსა და პედაგოგებს მივანდოთ. გასაკვირი სხვა რამაა – ჟურნალისტები თბილისის რამდენიმე სკოლას ესტუმრნენ, სადაც მათ სიცივე, ზოგჯერ კი ამ სიცივის გამო ჩაშლილი სასწავლო პროცესი დახვდათ.

გათბობისა და კიდევ ბევრი სხვა პრობლემა გამოიკვეთა კერძო სკოლების ხელშეწყობის მიზნით ამ ზაფხულს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საჯარო სკოლების სასწრაფოდ აუქციონზე გატანისა და კერძო სკოლებად ქცევის შემდეგ. კერძო სკოლის ხელმძღვანელობა კი, რომელმაც ყოფილი საჯარო სკოლის მოწესრიგებული შენობა-ნაგებობა ჩაიბარა მოსწავლეთა კონტინგენტით და აქვს ვალდებულება – გადასახადები **„მასპინძელ“** მოსწავლეებს არ შეეხოს, რადგან სამინისტროდან ამ მოსწავლეთათვის კუთვნილი საგანმანათლებლო პროგრამებით უზრუნველყოფისა და სკოლაში სწავლებისათვის ნორმალური პირობების შექმნაზე გათვლილი ვაუჩერების თანხა ერიცხება, თითოეულ მოსწავლეს გათბობის საფასურის გადახდას სთხოვს მთელი სეზონის განმავლობაში (?!).

ხომ არ აჯობებდა, როგორც პრეზიდენტი სააკაშვილი იხსენიებს, კომპიუტერიზებული კლასების გახსნამდე, რომლებიც **„კოსმოსური ხომალდის მართვის კაბინას“** ჰგავს, გათბობისა და სკოლების ძველი შენობების შეკეთების პრობლემები გადაეწყვიტა?

P.S. როგორც გვაცნობეს, საქართველოში მკვეთრი აცივების მიუხედავად, საჯარო სკოლებში გათბობის სისტემა არ ჩართულა. ჩვენ დავინტერესდით **„აღნიშნული ფაქტით“** და გადავამოწმეთ ინფორმაციის სიზუსტე 33, 173, 116 და 79 საჯარო სკოლებში. აღმოჩნდა, რომ მოსწავლეები გაყინულ კაბინეტებში ქურთუკებით სხედან. სკოლების ადმინისტრაცია კი საქართველოს განათლების მინისტრის ბრძანებას ელოდება, რათა გათბობის სისტემა აამუშაოს.

მანამდე კი მოსწავლეები და პედაგოგები საკლასო ოთახებში სხედან ქურთუკებსა და პალტოებში, სწორედ ისე, როგორც კოსმონავტები სკაფანდრებში.

საქინფორმი

განცხადება

2011 წლის 26 ნოემბერს, დღის 14 საათზე, შედგება შელიების რიგით მეოთხე საგვარეულო შეკრება.

მისამართი: გიორგი ახვლედიანის ქუჩა №11 (ეზოში), ყოფილი პეროვსკაიას ქუჩა.

რეგისტრაცია ყოველდღე – 13 საათიდან.

საგვარეულოს პრეზიდენტი კლიმენტი შელია.

ყვარყვარეს დუქანი

ცხოვრების ჩარხის უკუღმა ბრუნვა რომ გვახვევს თავბრუს, საით გაექცეს ქართველი კაცი ყბადაფჩენილ გაჭირვებას, საშველი დღემდე არ გამოჩენილა, მაგრამ ყეინობა არ გვაკლია. ნაციონალთა ცელქობა თუ ნაცრის ამტვერება ფარეხში აჩხავლებული კატასავით გვართობს. მერე რა, რომ თვალებს ნაცრით გვიბრმავებენ, სამაგიეროდ უფსკრულში როგორ გადავიჩეხებით ხომ ვერ დავინახავთ.

მთელი კახეთი გააოგნა თელავში მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნებზე ნაციონალთა თავგამოდებულმა აქტივობამ, თითქოს მათ კანდიდატს ვინმე ეცილებოდა. **"ქრისტიან-დემოკრატების"** და **"მრეწველების"** კანდიდატები კი ამ ერთ-პარტიული არჩევნებისათვის დემოკრატიულობის ჩამოხეული ნიღბის დასაკემსად როკავდნენ მხოლოდ. ზედმეტად აყვირეს თელავის თეატრში დაპროგრამებული გუნდი **"მიშა, მიშა!"** და აფრიალეს ხუთჯვრიანი დროშები, მათ კანდიდატს უმუშევრობის დაძლევა თავისი თანაკლასელების დახმარებით რომ გადაუწყვეტია, პარლამენტარობას არავინ ეცილებოდა. არჩევნებზე მისვლითაც არავის შეუწუხებია თავი, თუ არა ნაციონალების მიერ მანქანებით დაპროგრამებულთა მოგროვება. ანდა, რა მნიშვნელობა აქვს მაგათ საინდაურე პარლამენტში ერთი ინდაურით მეტი იქნება თუ ნაკლები; მიშას დასტვენაზე ყაბულ, ყაბულს მაინც რიხიანად ჩააინდაურებენ. ასე რომ, თელაველ ნაციონალებს თავისუფლად შეუძლიათ მიშას უპატაკონ: **ჰაილ, მიშა, თელავიდან, ვირი ხეზე ვერ ავიდა!**

თუმცა, შორს არ მოუწევთ წასვლა. სააკაშვილი, აგერ, ყვარლის მამულში, თუ ყვარყვარეს დუქანში სატელევიზიო თათბირებს ენერგიულად მართავს და სტუდენტებს ღორის ხორცის შამფურზე წამოგების პრაქტიკულ მეცადინეობას უტარებს. მაინც როგორ შთამბეჭდავია – თორმეტი კაცი მინდორში, მაგიდასთან, ყველა თავისი მიკროფონით! თითქოს ამ ცოცხალ დეკორაციებს ლაპარაკის უფლება ჰქონდეთ. ამ დროს, შორიდან, მწვანე ბალახზე მოშლიგინებს მიშა, რათა ტელევიზიისათვის ფიურერის მორიგი მონოლოგით და ნაცრის ფრქვევით ააყვაოს სოფლის მეურნეობა და რუსეთის ჩამოშლის პერსპექტივით გული გაუხეთქოს პუტინს. ამის მნახველს ლადო ასათიანის ლექსი გახსენდება:

აგიაშვილსა ნიკასო,
არ ნაყვარება პიკასო,
გადარეულა პიკასო,
რა ვაწყენინე ნიკასო.

ვარყვარეს დუქანში, ამგვარი ნაცრის ქექვით, იმდენი სიმინდი მოიყვანეს, რომ უხორბლო და უსიმინდო საქართველოდან სიმინდის ექსპორტით გადარევენ მსოფლიოს. აქვე კარგად მოაგვარეს რთველის საკითხი. თურმე ოცდაოთხი საათი მუშაობს ცხელი ხაზი; ნეტა რისთვის?! მარნის მფლობელს ვენახიც აქვს. რაში სჭირდება საწყალი გლეხის ორი ან სამი ტონა ყურძენი, როცა თავისაში მთავრობის შეპირებულ დანამატსაც მიიღებს. გლეხს კიდევ შაქრიანობას, ან ხარისხს დაუწუნებს და მარნამდე ჭაპან-წყვეტით მიტანილ ყურძენში ოცდაცხრა თეთრს შესთავაზებს. ჰოდა, დგას საწყალი გლეხი შარაგზაზე და ელოდება მუშტარს. ქართველ კაცს როგორ უნდა გაუხარდეს იმერეთში ვენახის გაბერწება. არადა, ეს რომ არ ყოფილიყო, გაუსაძლისად გაძვირებული წამლობის ფასსაც ვერ ამოიღებდნენ.

ყვარყვარეს დუქანში კი მიშა და მისი წარმატებული სოფლის მეურნეობის მინისტრი თათბირობენ, ყურძნის დიდი მოსავალიაო კახეთში. მინისტრი კონკრეტულ ციფრებს სთავაზობს და თან ასახელებს კახეთში რამდენი კომლი ცხოვრობს. ციფრს ხელად ამრავლებენ ყურძნის ღირებულება-ტონებზე, ყოფენ კომლთა რაოდენობაზე და ღებულობენ თითოეული კომლის მიერ მიღებულ თანხას. ხელად გაასწორეს მთა და ბარი. თითქოს ასობით მფლობელი თავის მოხვეტილ ფულის კახელების ოჯახზე გადანაწილების ფიქრით იფრთხობდეს ძილს.

სოფლებში არსებული ვეტსამკურნალოები გააუქმეს, შენობები გაყიდეს და პირუტყვი რომ მომსახურეობის გარეშე დატოვეს, ეს კიდევ არაფერი; გლეხმა ძროხის დაკვლა თუ გადაწყვიტა, გრძელ გზას უნდა დაადგეს ლაგოდეხში ან ბადიაურში წასაყვანად. თუ პირუტყვის ასაკი, ან ტყავი დაიწუნეს, არ დაუკლავენ. დაკვლის შემთხვევაში, ტყავი, თავ-ფეხი და ჯიგარი თავად უნდა დაიტოვონ და კილოგრამ ხორცში ლარი გადაახდევინონ; ნახეთ, როგორ ზრუნავენ გლეხზე. ასეთი თავდადება გლეხისათვის ძროხის შეძულებაზე მონღოლებსაც კი არ გამოუმჟღავნებიათ. ამგვარი ილეთით აცუნდრუკებულმა მსოფლიოში პირველმა რეფორმატორმა ნაციონალებმა შეიძლება ასე დააწერონ თავიანთი საყასბოს შესასვლელს:

მტკვარს და არაგვს,
ვირს რძე არ აქვს;
როცა გიჭირს – დოც წვენია,
მოვსპობთ კარაქს,
გავრყვნით ქალაქს;
ნუ ყაყანებთ, დრო ჩვენია.
შეგვერგება ღორის მწვადი.
ზაქია თუ ბოცვერია,
ხალხისთვის კი ნაცისტები
მამალ ძროხებს მოწველიან.

მალე ქათმების, ბატებისა და მათი ჭუკების სასაკლაოსაც მოიგონებენ და ვაი იმის ბრალი, ვინც ამათი ხახამის გარეშე ქათამს დაკლავს.

თუ ქვეყნის გადაშენება გინდა, სოფელში გლეხი უმიწოდ უნდა დატოვო. მთელ მსოფლიოში გაუგიათ, ისედაც მცირემიწიან საქართველოში მიწებს წადმა-უკუღმა ანიავებენო და დაიძრა ბუზი ბაღდადიდან. ნაციონალების ყბამოთქლეშილმა ტელევიზიებმა როგორი სიამაყით გვამცნეს ბურების ოჯახის მიერ შესყიდული მიწის ფართობზე, მათი გეგმების შესახებ და ნიჩბებით მომუშავე ქართველ გლეხებზე. მოკლედ, ათასი ჯურის მტაცებელია დასეული ქართულ მიწას, რომელიც მხოლოდ იმ გლეხს ეკუთვნის, მონებივით რომ ამუშავებენ და თან ტრაბახობენ – დავასაქმეთო!

მძიმე დღე ადგას ქართულ სოფელს, მაგრამ გაზულუქებულ მტაცებლებს ავიწყდებათ, რომ უარეს დღეში იყო კახეთი ოთხმოცი ათასი ელის ტომის თურქმანები რომ ჩამოასახლეს და გადაშენება დაუპირეს ქართველობას. გაიშალა მოთმინების ზამბარა და იმ თურქმანების ხსენებაც გაქრა. გაფრთხილდეს ყველა, ვიღაც ფულიანი სოფლის მიწას რომ დაპატრონებია, ხალხის მოთმინების ზამბარა იკუმშება და მის გაშლას რაც მოჰყვება, თავიანთ გაუმაძღრობას დააბრალონ.

სოფლის მშენებლები კი თათბირობენ ყვარყვარეს დუქანში და ქექავენ ნაცარს. დადის მიშა სოფელ-სოფელ, დაჰყვება ლუკმაზე დახარბებული ბრბო **"მიშა, მიშა"**-ს ძახილით და ამ ყეინობით თავს ირთობს ლაქუცა ტელევიზია. თვითონ უკრავენ, თვითონ მღერიან და ცეკვავენ; ქვეყანა მოსთქვამს. იქნებ გაიხსენონ – მუსოლინი იმ ხალხმა დაკიდა ფეხებით, ადრე მიტინგებზე **"დუჩე, დუჩე"**-ს რომ გაჰყვიროდა.

ასე როგორ იმსგავსა ნაციონალები მათმა ეზოს მოძღვარმა, თეორ, ახლა გაქუცულ მელად მონათლულმა გავარდნაძეობით დამთავრებულმა შეფარდნაძემ, ბებერი კინტოს ყოველკვირეული ინტერვიუებით რომ ცდილობს უზარმაზარი ცოდვების ტვირთის საფლავში არ ჩატანებას. ის ბრეჟნევთან ლაქუცით ითხელებდა ენას და მასთან პომპეზური შეხვედრის მოწყობით ანცვიფრებდა საღ აზრს.

მიშაც ხომ დახვდა თავქარიან ბუშს ტაშფანდურით და ხალხის ნახირით. ახლა სარკოზი ჩააგდეს საგონებელში, ნეტა რა უნდა მთხოვონ, ეს ამოდენა ხალხი რომ შეკრებილა ჩემს სადიდებლადო. თუმცა, საიდან ეცოდინებოდა, რომ რაიონებიდან მუქარით ჩამორეკილი სამიტინგე ხორცის უკან გაგზავნა არც კი გახსენებიათ. სარკოზიმ კი სულ დაივიწყა, ლისაბონის სასტუმროში ნაციონალთა სამთავრობო დელეგაციამ, მეძავებთან მოწყობილი ღრიანცელით, როგორ გაუფრთხეს ძილის მყუდროება. დააჯილდოვა მიშა ლეგიონერის ორდენით, რომელიც იმ ნაპოლეონმა დააარსა, მოსკოვიდან პარიზამდე უკანმოუხედავად რომ ირბინა; მიშამაც ხომ მოკურცხლა ცხინვალიდან წითელ ხიდამდე. თუმცა დისტანცია ძალიან მცირეა, სამაგიეროდ, სისწრაფეა გამაოგნებელი. ამ ჯილდოს კი ნამდვილად იმსახურებდა ავღანეთის ავანტიურაში ნატოს გვარიანად ჩაფლული სამხედრო მანქანის ქართველი მეომრების სისხლით შეზეთვისათვის. ყბამოთქლეშილ ტელევიზიებს თუ დავუჯერებთ, მიშამ კიდევ ერთი ტიტული მიიღო. მის ტიტულებს კი რა დათვლის საქართველოს და ქართველი ხალხის დაკნინება, დაბეჩავება, გადაგვარების საქმეში.

სამამულო ომში დაღუპულთა წმიდათაწმიდა ობელისკებს ვანდალებიც კი არ ახლებდნენ ხელს. ამათ კი ერის სიამაყე ღიმილის ბიჭების ობელისკებს ბუარა-ბუური აუტეხეს. ვანდალები უცხო ტომის დამპყრობლები იყვნენ. ესენი კი ქართველი ერის სხეულში ჯანმრთელ უჯრედებზე მონადირე საზარელი სიმსივნის მეტასტაზები არიან, წინაპართა მიერ დღემდე მოტანილ საამაყო ეროვნულ სიწმინდეებს რომ ურქენენ.

სექსუალური გაუკუღმართების, გარყვნილების, უზნეობის საჯარო პროპაგანდა; ამათ მიერ ჩატარებული ქვეყნის დამაქცევარი რეფორმების წარმატებულად წარმოჩინებით ტრაბახი; ქართველი ერის გაუსაძლის გაჭირვებამდე მიყვანის ფონზე ბიუჯეტის განიავებით უამრავი შოუების და გასართობი ღრიანცელით თავის მოწონება; ცხინვალის სამარცხვინოდ წაგებული ავანტიურის ბრწყინვალე გამარჯვებად წარმოჩინება და ყოველივე ამის სიყალბით გაუღენთილი ფილმის გადაღებით დაგვირგვინებას ბარონ მიუნჰაუზენის ფანტაზიაც ვერ შესწვდებოდა. ამაზეა ნათქვამი: უნამუსო ვირზე შესვეს, ნეტა ერთი გამაჭენაო. თუ სინდისის ძარღვი გაგიწყდა, ან შენში გამძლავრებულ უსინდისობას შეაჭამე იგი, მაშინ იჯირითე ცოდვებით გაპოხილი სიცრუით და სამოთხედ გაასაღე შენგანვე ჯოჯოხეთად ქცეული დღეანდელობა.

ცხონებული გურამ შარაძე ჯვაროსნების ხუთჯვრიან დროშაზე ქვეყანას ყრიდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ქართული ყოფილიყო და კიდევაც გამოუძებნეს ისეთი მკვლელი (თანაც, მათსავით სომეხი – **"ილორი"**), რომ ვერაფრით ვერ დაიხსომა, რომელ ქუჩაზე უნდა ეთქვა, მოვკალიო. მოვა დრო და ამ შეუპოვარ მებრძოლ მამულიშვილს ქართველი ერი წმინდანად შერაცხავს, მისი მკვლელობის ორგანიზატორებს კი სამაგიეროს მიუზღავს.

ჯვაროსნებმა კი დაუნდობლობით, სისასტიკით, კაცთმოძულეობით და ვერაგობით დასვრილი დროშის ფრიალით მეოთხე ლაშქრობა მართლმადიდებლობის დარბევას მიუძღვნეს. გამოჩენილი ფილოსოფოსი და ასტრონომი ნიკიფორ გრიგორიასი წერდა: როცა კონსტანტინეპოლი ჯვაროსნებმა აიღეს, ბიზანტიის იმპერიის მძვინვარე ქარიშხალში მოხვედრილი დიდი ხომალდივით ნაკუწ-ნაკუწ დაიმსხვრა და ნამსხვრევები ხელადვე დაიტაცეს. ჯვაროსნული ლაშქრობები ქრისტეს საფლავის გამოხსნის მიზნით დაიწყეს და მართლმადიდებლობის დარბევით დასვარეს ისედაც ცოდვიანი ხუთჯვრიანი დროშა, რომლის ცნობა იმ ჯვაროსნული დასავლეთ ევროპელ ხალხთა შთამომავალთაგან არავის არ უფიქრია. სამაგიეროდ უძველესი მართლმადიდებელი საქართველოდან ნაციონალები ამ დროშის თავაწყვეტილი ფრიალით და **"მიშა, მიშა"**-ს ძახილით ისე ანცვიფრებენ ამის მაყურებელს, როგორც ფაშისტები სვასტიკიანი დროშებით და **"ჰაილ, ჰიტლერ"**-ის ღრიალით თავზარს სცემდნენ კაცობრიობის სიმშვიდეს.

არადა, ევროპელობაზე და ნატოში შესვლაზე გადარეულმა ნაციონალებმა ლამის ქართველობაზე და ქართულ ენაზე უარი თქვან; გზაც იქით ჰქონიათ. მძლავრსა და კაცობრიობის სათავეებიდან ფესვებგადგმულ ტრადიციებს, კულტურას, ენას, უფროსი თაობის და წინაპართა უსაზღვრო სიყვარულის გრძნობას ვერაფერს მოაფხვნიან. თვითონ კი უკვე ევროპელები არიან ღამურად ქცეული თაგვებივით. საწყალმა ჟვანიამაც წაუინგლისურა, მე ქართველი ვარ ე.ი. ევროპელი ვარო და გაგუდეს კიდეც, ევროპული მეთოდით, მისივე ევროპელობას დანატრებულმა ღამურებმა.

უმუშევრობით, საშინელი გაჭირვების გამო სამშობლოს მოწყვეტილი ქართველები კი უცხოეთში ყოველგვარი სამუშაოს კადრებით ცდილობენ ოჯახის წევრების შიმშილის ყბიდან დახსნას. რაოდენ გულსაკლავი და დამაღონებელი იყო მიშას **"სტრატეგიულ პარტნიორ"** თურქეთიდან ბორკილდადებული ამ საცოდავების სარფის საბაჟომდე კინწისკვრით მორეკვა. ამ დროს მიშა ბათუმის თეატრში პიარკონცერტს კმაყოფილებით უყურებდა და სულაც არ აწუხებდა ამ საცოდავთა მოთქმა. ეს რომ რუსეთში ჩაედინათ, მაშინ გენახათ სახღვართან მრავალათასიანი სამიტინგე ხორცის მოგროვება და მიშას მიერ ოკუპანტი რუსეთის თავაწყვეტილი ლანძღვა.

ჯერ კი დარბის თავის მაქებარი ამალით, საქართველოს აყვავება-დაყვავებაზე და დიდ წარმატებებზე ნაცრის ქექვის დროს მოყოლილ ზღაპრებს სინამდვილედ აბოლებს ლუკმის მიგდების მოლოდინით ნერწყვით დამთვრალ მსმენელს. ასე ირბინა ნერონმა, საბერძნეთში, თავისი მსახიობური ტალანტით, შეშინებული ბერძნების მიერ ქება-დიდებას რომ იმკიდა, რაიმე არ ეწყინოს და უბედურებას არ შეგვყაროს ამ მანიაკმაო. მლიქნელები კი აფრთხილებდნენ, როცა სულეთში გადაბარგდები, სამყაროს ცენტრში მოთავსდი, თორემ დედამიწა შენი სიმძიმით შეირყევაო. ამგვარი ქებით მართლაც შერყეული, რომში დაბრუნებული, კატის კნუტივით ათრიეს. კალიგულამაც დაადგა ყველა ძეგლს თავისი თავი, სანამ თავიც არ დაკარგა და ტანიც.

ამათაც ხომ ენერგიულად მილეწ-მოლეწეს რაც წმინდა და სპეტაკი იყო. არადა, ახალი ხომ უნდა ააშენონ. აგერ, სიღნაღის შესასვლელში მადალ გორაზე, ბრწყინვალე ამირანის ძეგლი რომ იდგა და საინგილოდანაც ჩანდა ქართული გენის სადიდებლად, ახლა იმ მონგრეულ კვარცხლბეკზე მოუხდება მიშას ძეგლის დადგმა ჰალსტუხის ღეჭვით და ლეგიონერის ორდენით, თან შიშისგან გაოგნებული ცხვირით როგორ ხნავს მიწას.

ამჟამად საქართველო და ქართველი ხალხი უმძიმესი განსაცდელის დაფჩენილ ხახასთან დგას. ადრე უცხო ტომის დამპყრობლები უპირებდნენ მოსპობას. დღეს უცხოელთა მიერ დაქირავებულ მარიონეტს მწვანე შუქი აქვს ანთებული დემოკრატიის ნიღბით ქართველი ხალხის ძარცვა-გადაგვარება-დაბეჩავებაზე.

ქვეყნის სასიკეთოდ ვინც გაიბრძოლა, მოდალატედ მონათლეს. ბადრი პატარკაციშვილს შეეძლო განცხრომით და უზრუნველად ცხოვრება. დაბეჩავებული ხალხის თავისი ფულით დახმარება და ხსნა გადაწყვიტა და შეეწირა კიდეც ნაციონალთა ღვარძლს; რაღა ხალხს ეხმარები, ფული ჩვენ მოგვეცი და ქვეყნის ძარცვაში ხელს ნუ გვიშლიო.

ალექსანდრე ებრალიძემ გაუსაძლის გაჭირვებაში მყოფი მწერლების, ხელოვნების და მეცნიერთა დახმარების და წახალისების ღონისძიებისათვის ღვარძლი, ცილისწამება და მუქარა დაიმსახურა.

ახლანდელი გაჭირვების, უიმედობის და ქვეყნის დამაქცევართა პარპაშის პირობებში ქართველ ხალხს ბაზალეთის ტბის ოქროს აკვანში გაზრდილი ყმასავით მოევლინა ბიძინა ივანიშვილი. იმედის სხივით გაათბო ქართველთა საშინელი მომავლის მოლოდინით გათოშილი დღევანდელობა. ახლა ხალხს ვერავითარი ბოროტი ძალა ვეღარ შეაჩერებს გაერთიანებისა და ბედნიერი ცხოვრების მოპოვებისათვის ბრძოლაში, რამეთუ უკვე ჰყავს საოცნებო მამულიშვილი, პატიოსანი, ნიჭიერი, მართალი და შეუპოვარი ყრმა, რომელმაც უზრუნველ და ნებიერ ცხოვრებას ხალხისათვის თავდადება არჩია. სერიოზულად შეშფოთდა ქვეყნის დამაქცევართა ხროვა და პირველი რაც მოიფიქრა მათმა ბოროტებით გამოტენილმა თავმა, ბიძინა ივანიშვილისათვის საქართველოს მოქალაქობის ჩამორთმევა იყო. ამგვარ თავხედობას რაფინირებული თაღლითიც კი მოერიდებოდა. ის კი ვერ მოტვინეს, რომ ბიძინა ივანიშვილს ყველა ქართველი მამულიშვილის გულში აქვს ბინა და მის საქართველოს მოქალაქეობას მოღალატე მარიონეტები კი არა, ქართველი ხალხი წყვეტს.

ახლა დაიწყეს ბიძინა ივანიშვილზე კომპრომატების ძებნა, მაგრამ რა უნდა მოუჩხრიკონ სპეტაკი სინდისს, რეპუტაციის და საქმის ქართველ მამულიშვილს, თუ არა ბინძური ცილისწამება. ჰოდა, რაღა მოძებნა უნდათ, ქუთაისში ხომ სამშობლოს საამაყო ღიმილის ბიჭების ობელისკი ბიძინა ივანიშვილმა დაანგრია, რომლის დროს დედა-შვილის უმანკო სისხლიც დაიღვარა და ამ ცოდვიან ადგილზე ქვეყნის დასაქუცმაცებლად საინდაურე პარლამენტს აშენებს; ქართველი მეცნიერების, განათლების, კულტურის, ხელოვნების და ქვეყნის დამაქცევარი უამრავი რეფორმა გაატარა; დააქცია ქართული სოფელი და მოსპო მრეწველობა; შემოგვთავაზა სამარცხვინო ჰიბრიდული სიმინდის თვალთმაქცობა; თბილისში უცებ გაორმაგა სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის ფასი, რათა რომელიღაც მის ბღენძს უფრო მეტი ფული მოეხვეჭა. სათქმელი ბევრია, მაგრამ რაღა მე შეგახსენოთ, როცა ნაციონალების ყველა ნაბიჯი ღალატის ღვარძლით არის გაჟღენთილი. ჰოდა, გადააბრალეთ ბიძინა ივანიშვილს. ხალხი დაგიჯერებთ თუ არა, ამას რა მნიშვნელობა აქვს, როცა თქვენი დამრიგებელი დოლარით მკვებავი მფარველები სიამოვნებით დაგიჯერებენ.

საქართველოში კი ქართველი ერის ხსნის და გადარჩენის ვარსკვლავი უფრო მკაფიოდ კაშკაშებს. გაფრთხილდით, თანამედროვე ბერბიჭაშვილებო! ბიძინა ივანიშვილს ერთი ღერი თმაც რომ ჩამოუვარდეს, ქართველი ხალხის რეაგირება უკიდურესად მკაცრი იქნება!

ცხოვრების წაღმა აბრუნების იმედით გამოფხიზლებული ქართველი ერის დღევანდელი განწყობილება მინდა ამ ლექსით გამოვხატო:

უფალს არ ვავიწყდებოდით,
როცა ძალიან გვიჭირდა,
ყოფნა, არყოფნის შავ დღეში
დახმარების ხელს გვიწვდიდა.
დავითს, ერეკლეს, ილიას
მოუხდათ თხოვნის მწარედ თქმა:
ერის მოსპობის დემონი
საქართველოდან წაეთრას!
მამულიშვილნო აღსდექით!
ვიხსნათ ბარი და ჩვენი მთა!
სადაც მუხთლობა იკნავლებს,
იქ შურისგება ჩვენიც თქვან!

გივი სომხიშვილი,
მწერალი, სიღნაღი

როცა გაჩუმება სულს ანაგვიანებს, ანუ ვავაშო დადრა!..

(დია წერილი გიორგი ბარამიას)

„ბოროტსა იტყოდი და ძისთვის დედისა
შენისა დასდვი
საცდური... გამხილო და წარმოვადგინნე
ცოდვანი შენნი
წინაშე პირსა შენსა“.
ფსალმუნი 49

„...ბევრს ეშინოდეს
ჩემი სასტიკი, ულმობელი გამოღვიძების,
ვით გათენებას,
მე ვხედავ სიზმარს არათქვენებურს“.
გალაკტიონი

„ქალაქი გავს მორიელს
(ახლა რა დროს ძილია).
აქ მარხია ორივე -
აკაკი და ილია“.
ტერენტი გრანელი

ცხადია, ყველა საქმეს, რომლის მესაჭეობასაც ბედისწერა გაგიპიროვნებს, პასუხისმგებლობით უნდა მიუდგე. სწორედ პასუხისმგებლობის ხარისხი ადგენს უფლებისა და მოვალეობის ოდენობას.

ბატონო გიორგი, პირდაპირ უნდა გკითხოთ, ხომ არ აიწყვიტა თქვენმა უფლებამ კაცღმერთობისკენ, ხოლო მოვალეობა ჯუჯად ხომ არ ჩაისხეულეთ თქვენს პასუხისმგებლობაში?!

მე ვერ დამწამებთ ჩასაფრებასა და არაკეთილმოსურნეობას, სწორედ ამიტომ ვშიშობ, ზნეობაში წამგაელვების შემდეგ არ გაიშურდულოს წინგაუხედაობის წყვდიადმა.

როდესაც სახალხო თანადგომა დაგჭირდათ, მიუკიბ-მოუკიბავათ დაგიდექით გვერდში, რასაც წინ უძღოდა აფხაზეთიდან სჩინო ხალხის არაერთი საუბარი ჩემთან იმაზე, რომ თუ აფხაზეთის ა/რ-ის დევნილ მთავრობას ჩაუდგებოდით სათავეში, თქვენს გარშემო თავს მოიყრიდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის ბერკეტები, აქედან გამომდინარე ჩავიკრიალოსნე ჩემს თვალსაწიერში თქვენი ჭაბუკური აღმართ-დაღმართები, ასევე გავეცანი, ასე ვთქვათ, თქვენეულ სააფხაზეთო ძეგლისდებას, საიდანაც ისე გამოჩნდა, რომ აფხაზეთის დეოკუპაციის სტრატეგიას საფუძვლად უნდა დადებოდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ისტორიის გაჭეშმარიტება, უცხო ძალების დივერსიული ეთნოფაბრიკაციათა შედეგების გაუვნებელყოფა, ძუძუმტეობა – სახლიკაცობის აღორძინება ქართველ – აფხაზთა სახალხო ურთიერთობაში და, რაც მთავარია, ამისათვის ისტორიული, პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიური, კულტურულ-საგანმანათლებლო, ადათობრივ-ტრადიციული ანუ სახლიკაცურ-ძუძუმტეობითი, სამართლებრივ-ძალისმიერი და ა. შ. ასპექტების სახელმწიფო პოლიტიკად ჩამოყალიბება. ეს კი სწორედ ის ცნობიერი სვლაგეზი გახლდათ, რაზედაც მთელი ჩემი სიცოცხლე ვიხარჯები.

აი, ამ მხარის შვილი ბრძანდებით – თქვენ-მეთქი, ბატონო გიორგი, აფხაზეთის შერიგებისას ყველაფერში შეიძლება კომპრომისი, დათმობა, მაგრამ არ შეიძლება გააკეთო ეს შენი ვინაობის ხარჯზე.

ვერ ვიტყვი, რომ ამ მხრივ პირველი ძალისხმევები ფუჭი გამოდგა, მაგრამ სულ მალე, საგამოცდოდ თქვენდა, თქვენს წინაც ჩამოიმეწყრა კორუფციული ზღუდე, რომელიც დღემდე გამუხრუჭებთ და ცრუქაქუნში გითრევთ. მერე რა თუ თქვენ არა ხართ მისი თანამოსაქმე, ვერაფერი შედავათია, რამეთუ, წაყრუება ბოროტმოქმედებისადმი, უკვეა თანამონაწილეობა მასში.

ასეთ დროს არ უნდა დაგავიწყდეს მთავარი, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის სტრატეგია ვერ განხორციელდება იმ ხელებით, რომელთაც პარტოკრატიული ნაოცდაათვერცხლარი ზედ დღემდე აჩნია დაღად: სამწუხაროდ, 1991 წელს აფხაზეთში პარტოკრატიისა და ეროვნულ მოძრაობაში (შესაბამისად ეროვნულ ხელისუფლებაში) შეღწეული კოლაბორაციონისტების გარიგების შედეგად, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს სადეპუტატო მანდატების ის კვოტა, რომელიც ქართულ მხარეს ეკუთვნოდა, ბევრად დიდი ნაწილით მიითვისა აფხაზეთის ე. წ. ქართულმა პარტოკრატიამ, საიდანაც მისგან მართვად სამ ხელისბიჭსაც ერგო სამოგებო, რომელთაც შემდგომში არათუ უღალატეს საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას, არამედ დაუპირისპირდნენ კიდეც და ზურგში მოხალისედ ჩასცეს მახვილი საქართველოს, ამდენად აფხაზეთის ეროვნულ-სახალხო ნებას, დადასტურებულს 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმით.

ეს ის ხალხი გახლავთ, რომელთაც უცხო ძალის თითისქნევათა თანახმად, აგრესიულ სეპარატიზმთან ერთად **„მსოფლმხედველობრივად“** მოახერხეს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს **„გასხვაქვეყნება“** და საბჭოთა დივერსიული ტერმინოლოგიითა თუ სტერეოტიპებით უზრუნველყვეს მისი **„არაქართულ მიწად“** წარმოჩენა მსოფლიოსათვის. ამავე დროს მათ იმპერიათა მეგზურის ე. შევარდნაძის ქართველთსპობით ექსპედიციებში საოცარი შთაგონებით გაიპიროვნეს ლეღვის ფოთლობა.

კი ბატონო, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში არის მაღალმოქალაქეობრივი შეგნებით მოღვაწე რამოდენიმე პიროვნებაც, მაგრამ ინსტიტუციაში, სადაც ხმათა უმრავლესობით წყდება საკითხები, ისინი, გასაგები მიზეზის გამო, ვერ დადგინდნენ აქ მძვინვარე განუკითხაობათა აღმკვეთ საპირწონედ. არადა, ეს პარტოკრატიული ხროვა ბაცაცობაში ტოლს არ უდებს ჯიბგირს, უკაცრავად, ჯიბგირი ქურდულ მოწესეობას ექვემდებარება, რითაც რაღაც ზღვრის დაღმა არ ეშვება, ესენი კი დროსა და სივრცეში მოთარეშე ცოდვისკითხვად ექცნენ უბედურებაში მგმინავ დევნილებს აფხაზეთიდან.

ბატონო გიორგი!

სანამ ჩემს მიერ წაყენებული ბრალდებებით გავასახეზოგადებდე ამ პარტოკრატთა ჯოგურ ფეხაყობას და დავასაბუთებდე, რომ **„გუგულის“** კვერცხებიდან გამოინკუბატორებულთა წინამდებარე ძალისხმევა საუკუქცევოა, კიდევ ერთხელ უნდა შეგახსენოთ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების მიერ გასაჯარისებული (მათ შორის თქვენი მისამართითაც) მხილებითი საბუთები. ცნობისათვის: ამ ხალხს (მათ შორის მეც) არ დაზავება აქაურთა ოჯახურ კორუფციასთან სამსახურიდან დათხოვნად დაუჯდათ. ის კი არადა, შარაგზის გამოჭენებულმა ამნაირმა ვათანძარებმა, აგერ უკვე თითქმის წელიწადია, ცილისწამებებით, ცინიკური რეპრესიებითა და საგაზეთო ლაფის სროლით ააყროლეს გარემო, უფრო მეტიც, მთელი ეს ხანი თავზე თივის ზვინს მაწვავენ, მაგრამ როგორც ბუმბერაზისგან ითქვა, **„ტყუილად ცდილობთ, ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა...“**

ასეთ დროს ქვეყნის ხელისუფლების განცხადება **„ქვეყანაში კორუფცია მოისპო“**, ნურავის ჰგონია ხელშეუხებელი დებულება და ამ საბაბით ნუ ცდილობს, ხელი დააფაროს გ. გვაზავასა და ა. წოწონავას კოლექტიურ კორუფციას აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში, თანაც ხელისუფლების ზემოხსენებული განცხადების სახელით, – ეს გახლავთ სახელმწიფოებრივი გადაძახილი იმაზე, რომ არ უნდა წახალისდეს არანაირი ხელმრუდობა არც ერთ დონეზე, ამიტომ, როდესაც ასეთი სახელმწიფოებრივი სახმობის ქვეშ ისეთი სახელისუფლებო რგოლი, როგორიცაა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო, ჩაფლულია კოლექტიური კორუფციის ლაფში, ეს არამარტო ქვეყნის დაღალატება, არამედ უკიდეგანო ბოროტმოქმედებაა როგორც სახელმწიფოს, ასევე და ამდენად დევნილი მოსახლეობის წინაშე. აქ ბუნებრივია ისმევა კითხვა, – კანონზომიერია თუ არა ოჯახური (კოლექტიური) კორუფცია აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში?! გპასუხობთ – კანონზომიერია, რადგან პარტოკრატის ანუ კოლაბორაციული ელიტის (ზეპურობის) ბუნებაა სულიერად ხრწნადი.

ჯერჯერობით კი, რას იზამ, როგორც ხედავთ, გარკვეულ ზღვრამდე, ძალა მართლა ხნავს აღმართს, თუმცა, რაც უფრო გუბდება სახალხო რისხვა, მით უფრო წამლეკავია იგი!

წუთშესვენება: ეჰ, ჩემო მრავალტანჯულო სახლიკაცებო, თქვენი საქმის გუთნისდედებო, დღეს რომ გარემოვაჭრეებად დგახართ საუკუნის ღალატის გამო, თქვენ, რომლებიც თქვენი შურობუმუ აფხაზეთისთვის დაუფიქრებლად გაწირავთ თავს, – ნუ გაიხეთქავთ გულს, როცა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ამჟამინდელი პრეზიდიუმის კორუფციულ სივრცეს მოავლებთ თვალს ან გაისიგრძეგანებთ მათ ყოფით ყოველდღიურობას თქვენგან განსხვავებით არა საველე-სასანგრო მდგომარეობაში, რადგან წმინდა წერილი გვასწავლის ასე: **„...და შენ კაპერნაუმ, თვით ზეცამდე ამაღლებულო, ჯოჯოხეთამდე დაემხობი შენ!..“** ეს კი იმაზეა დამოკიდებული თუ რამდენად ავიწყობთ ფეხს უფლის მონიშნული ნიშანსვეტისაკენ.

ბატონო გიორგი,

შეგახსენებთ, რომ 2010 წლის 16 სექტემბერს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს აპარატის ყოფილმა უფროსმა ო. ჩარკვიანმა ქვემოთ გასაჯარისებელი განცხადებით მიმართა პრეზიდიუმის წევრებს, ხოლო მისი ასლი გადმოგეცათ თქვენ (იგი ინახება როგორც პრეზიდიუმის წევრებთან, ასევე ჩემთან):

„პატივცემულო პრეზიდიუმის წევრებო, ჩემი თქვენდამი მომართვა განპირობებულია რიგი გარემოებებით, რომლებიც არ მაძლევს უფლებას, არ ჩაგაყენოთ აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში ამ ბოლო პერიოდში განვითარებული და დამკვიდრებული არანორმალური ვითარების საქმის კურსში“.

შემდეგ აპარატის აწ უკვე ყოფილი უფროსი თავისი განცხადების ოთხ გვერდზე დაწვრილებით აღწერს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ელგუჯა (გია) გვაზავას ბოროტმოქმედებებს, ფინანსურ თაღლითობათა ხერხებსა და მეთოდებს, თანამშრომელთა ორგანიზებულ დანაშაულში ჩათრევის ილეთებს, მიწერებს, ფულის გათეთრებებს და ა. შ. ამ ამაზრზენ დაცემათა ნუსხაში ჩამოთვლილია თუ როგორი უტიფრობით მიყიდა მან აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს საკუთარი ამორტიზებული ა/მანქანა უახლესი ა/მანქანაზე აღმატებულ ფასად, როგორ არ დაერიდა იგი მწყობრიდან გამოსული თავისი საოჯახო კონდიციონერის შემოსაღებას უმაღლესი საბჭოსთვის სამმაგ ფასად, რა გზით ცდილობდა იგი პირადი ვალის სახელმწიფო ხაზინიდან გასტუმრებას და ა. შ. (როგორც შემდგომ გაირკვა, ე. გვაზავამ თავის დანაშაულებრივ საქმია-ნობაში ჩაითრია ა. წოწონავა (მოადგილე), დ. გვაძაბია – საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, თ. მჟავია – ფრაქციის თავმჯდომარე, მ. კვარაცხელია, რ. ქარაია, რ. შამუგია, ნ. მგალობლიშვილი, გ. კალანდია, გ. ფაცაცია და ა. შ.

ასეთმა ერთსულოვანმა თანამოსაქმეობამ ბოლო წლების მანძილზე მიიღო კოლექტიური კორუფციის ხასიათი, მაგრამ ამაზე ქვემოთ ვისაუბროთ, ახლა კი დავუბრუნდეთ ო. ჩარკვიანის განცხადებას: (პირადი) **„...ხარჯების დასაფარავად უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ გამოცემულ იქნა აპარატის რამოდენიმე მუშაკის დასავლეთ საქართველოში ყალბი მივლინების განკარგულება, რომლის გასანაღდებლად თანხა თავმჯდომარის დავალებით გადავეცი სამეურნეო დეპარტამენტის უფროსს ზ. ზარანდიას თავმჯდომარისვე ავტომანქანის რემონტის ვალის დასაფარავად, თუმცა ამ ოპერაციის არამართლზომიერების შესახებ მე და ზ. ზარანდია შევედით უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან და ვუთხარით, რომ ამგვარი პრაქტიკა დაუშვებელია, მაგრამ მან გვიპასუხა, რომ არის აუცილებლობა და გააკეთეთ ისე, როგორც მე გეუბნებითო“...** ა. შ. და ა. შ.

განცხადების ბოლოს ამ ფინანსური განუკითხაობითა თუ თანმიმდევრული თაღლითობებით გვარიანად გულშეღონებული ო. ჩარკვიანი დღემდე ყურდახშობილ პრეზიდიუმის წევრებს საშველად შეჰღაღადებს: **„...გაცნობებთ რა ყოველივე ზემოაღნიშნულს, მინდა გაუწყოთ, რომ კარგად მომეხსენება ის ჩემი წილი პასუხისმგებლობა, რომელიც მაკისრია მე, როგორც უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს საფინანსო სამეურნეო საქმიანობის წარმოებისას, მაგრამ ამავე დროს უნდა მოგახსენოთ, რომ ზემოაღნიშნულ ფაქტს ადგილი არ ექნებოდა, რომ არ ყოფილიყო უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბ-ნ გ. გვაზავას მხრიდან უმაღლეს საბჭოში მანკიერი პრაქტიკის დანერგვის მცდელობები“...**

ვერაფერს იტყვი!.. ან რა უნდა ვთქვა აპარატის უფროსზე უკეთესად... ამის მიუხედავად, ჯერ კიდევ სადა ხარ თურმე!

როგორც ო. ჩარკვიანისა და სამეურნეო დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ზ. ზარანდიას სხვადასხვა დროს პრეზიდიუმის წევრთა თუ კონტროლის პალატის სახელზე დაწერილი მრავალგზისი განცხადებებიდან ირკვევა, რასაც ეს უკანასკნელი პირდაპირ ასაჯაროებს გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკის“** (2011 წ. 11 მარტი) ფურცლებზეც, ე. გვაზავასთვის სახელმწიფო ხაზინა ანუ დევნილთათვის განკუთვნილი ორიოდე სამათხოვრო გროში, პირადი მოხმარების საშუალება გახდა. ამას იგი შუბლის ძარღვგაუწყვეტლად და ხელებაუკანკალებლად აკეთებს, უფრო მეტიც, ამ საქმეში საკუთარი ოჯახიც ჩაითრია. ამდენად, სახეზეა ოჯახური კორუფცია, ის კი არადა, ეს ბოროტმოქმედებები გასცდა კერძო ხასიათს და მან მიიღო მამითადური (კოლექტიური) დანაშაულის ხასიათი, კერძოდ, როგორც უკვე მოგახსენეთ, ე. გვაზავას მოადგილე ა. წოწონავა, პრეზიდიუმის წევრები თ. მჟავია, დ. გვაძაბია, აპარატის ამჟამინდელი უფროსი რ. გერგედავა დასაქმებულია არიან როგორც ფულის მოტეხვა-გათეთრებით, ასევე ამ თაღლითობათა საბუთობრივი **„გამართლებით“**. ეს საქმე უფრო ზუსტად კი ე. გვაზავას თაღლითობათა გამართლება, მათზე ცრუმოწმეობა და ყალბი დოკუმენტების შედგენა რ. გერგედავას სულიერი მოთხოვნილება გახდა. აქვე უნდა ითქვას, რომ იგი ამას არა მხოლოდ შთაგონებით აკეთებს, არამედ შესაშური **„დამარწმუნებლობითაც“**. დიახ, დიახ, არანაკლები ოსტატობით, ვიდრე 1989 წელს ჩაიდინა მსგავსი რამ, როცა იყო რა საქართველოს კპ ტყვარჩელის ქალაქკომის მეორე მდივანი, ქ. ტყვარჩელში მოსახლეობის საკავშირო აღწერის დამაჯამებელ ოქმში ქართველი მოსახლეობის რაოდენობას მოაკლო.

ის თუ როგორ უპატრონა მან ქ. ტყვარჩელის ქართველ მოსახლეობას შემდგომ, ეს სხვაგან და სხვა დროს სამსჯელოა: ცხოვრებაში საზურგე ბებუთმომარჯვებულის მეტი რა მინახავს, მაგრამ ამ მხრივ რ. გერგედავა საოცრად თვითნაბადი საგანია, რომლისთვისაც ისეთი ცნებები, როგორიცაა ზნეობა, დირსება, სიმართლე და სამშობლო – ძალზე ყავლგასული რამაა, თუ მას დასჭირდა, შეუძლია დიდების ჰიმნი შაჰ-აბას პირველის ხსოვნასაც უმღეროს!

კი ბატონო, პარტოკრატისა და ამდენად, კოლაბორაციონისტის სახეზოგადობა ნამდვილადაა საქართველოს კპ ტყვარჩელის ქალაქკომის ყოფილი მეორე მდივანი რ. გერგედავა, მაგრამ ის ნამდვილად პოლიტიკური ბიჭუნაა იმავე საქართველოს კპ გულრიფშის რაიკომის ყოფილ პირველ მდივანთან – დ. გვაძაბიასთან. ყოვლისმკადრებლობითა და თავხედური უტიფრობით, საერთოდ მედროვეული უძღომლობით მარტო წინამდებარე ეს ფინანსური **„გაიმასაქნება“** რად ღირს, როცა დღისით, მზისით, ბატონო გიორგი, თქვენს გვერდით, ცხვირწინ კი არა, თქვენს ცხვირზე შემოშხლართულმა არად ჩააგდო საზოგადოებრივი აზრი და კინაღამ სამიათას ლარს გატოლებული საყოველთვეო ხელფასის კაცმა რაღაც 400 ლარისთვის ისტორიას საძრახად შემოუნახა თავი, არადა, არც მთლად ასეა საქმე, 400 ლარს თქვენ, ჩემო გიორგი, იმავე დ. გვაძაბიას შვილის ხელებით, რომელიც ასევე თქვენს ცხვირს წინ **„იღვწის“** ლტოლვილთა ე. წ. აღმოსავლეთ მიმართულების წარმომადგენლობაში, აძლევთ შემწეობად ორ კუდის რიკამდე გატყავებულ დევნილს მას შემდეგ, რაც ის ამისათვის საჭირო საბუთების შედგენას თითქმის ას ლარს დაახარჯავს და წარმოგიდგენს:

აქტი

2010 წ. 20 ოქტომბერი

მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს, სამეურნეო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტისათვის ი/მ **„თეიმურაზ ცხომარია“**-ს მთავარი ბუღალტერისგან ცნობილი გახდა, რომ ა/მანქანა **„ნისანი“** სახელმწიფო ნომრით (**CAA**-104), რომლის რემონტზე გადაირიცხა 590 ლარი, არ გარემონტებულა პროფილაქტიკაში და ამ თანხიდან 400 ლარი წაიღო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დ. გვაძაბიამ.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი ზ. ზარანდია

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის მოადგილე ი. ფარფალია

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ბ. ლომია

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ბ. კოკაია

ერიჰაა, წამოცდება ზოგიერთ გულუბრყვილოს, – რას ჩააცივდით ამ კაცს, იქნებ იმ დღეებში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წინ მიმდინარე გაუბედურებულ დევნილთა აქციის მონაწილეებს მიუტანაო სახარჯოდ ეს თანხა. არა მგონია, რადგან, როდესაც თითქმის იმავე დღეებში ამ აქციის მონაწილე ერთმა უმწეო და სულში ჩაფურთხებულმა ქალბატონმა ბენზინი გადაისხა და თავი დაიწვა, მის პანაშვიდზე წასაღები გვირგვინი აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ბიუჯეტში ფული არააო და რომ არა თანამშრომელთა ანაგროვი, დ. გვაძაბიას იმედად უგვირგვინოდ მიუწყობრდებოდნენ ამ სახალხო გლოვას.

თქვენს თვალწინ ხდება ეს ყველაფერი!.. თუ ეს იცით და ითმენთ, თქვენ ამათზე უარესი ხართ მაშინ, ხოლო თუ არ იცით, მით უარესი...

სერგი საჯაია

(გაგრძელება მე-10 გვერდზე)

“გალმოხდილი აღმსარებელი ამბროსი”

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ამბროსის ხსოვრება და მოღვაწეობა. ჯუბლიკატნიკ ხორხილოდეებ საქართველოს საპატრიარქოს ჟყონდიდის ეპარქიის მიტაგარეპისკოპოსის მეუფე პეტრეს თანადგომით. მიძღვნილი პატრიარქ ამბროსის დაბადების 150 წლისთავისადმი.

„1995 წლის 18-19 სექტემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქოს ტაძარში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული საეკლესიო კრება, რომელიც გახსნა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. პატრიარქმა კრების მონაწილეებს ამცნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის ისტორიული გადაწყვეტილება ერისა და ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი შერაცხილ იქნა წმინდანთა დასში “ამბროსი აღმსარებლის” სახელით და მისი ხსენების დღედ დაწესდა 16 (29) მარტი“.



საქართველოში კარგად უწყოდა, რომ ავტოკეფალიის გაუქმებისთვის საჭირო იყო საქართველოსა და მსოფლიო საეკლესიო კრებების თანხმობა, რაც არ არსებობდა.

ამიტომ ხმამაღლა ამბობდნენ:

„ავტოკეფალია, ანდა კათოლიკოსობა – ეს პურია არსობისა, რომლის გარეშე, როგორც ასეთი მას (ე. ი. საქართველოს) არსებობა არ შეუძლიან... აქ საქმე ეხება არა დოგმებსა და წეს-ჩვეულებებს, არა ღმერთმაძიებლობასა და საეკლესიო მოდერნიზმს, სიახლეებსა და ახალმიმდინარეობებს, საეკლესიო თუ პოლიტიკურ „სეპარატიზმს“ არამედ ლაპარაკია მხოლოდ ქართული კანონიკურ მართვის აღდგენაზე, მართლმადიდებლურ, ბერძნულ-აღმოსავლური საეკლესიო კანონმდებლობისა და პრაქტიკის საფუძველზე, იმ სახით, რომლითაც იგი იმართებოდა 1811 წლამდის“.

ამ რთულ და დაძაბულ პერიოდს ემთხვევა ეპისკოპოს კირიონის სოხუმის ეპარქიაში გადმოყვანა. სოხუმის ყოფილმა ეპისკოპოსმა სერაფიმმა ძალიან მოინდომა კირიონისათვის გაეცვალა ადგილი და მიაღწია კიდეც. კირიონი წინააღმდეგი არ ყოფილა შემოთავაზებისა. თუმცა მას პეტროგრადში ანერებდნენ დიდი ხანი იმ მოტივით, რომ უწმინდეს სინოდს სურდა საქართველოს ავტოკეფალიის საკითხის განხილვა. ამასობაში ინიშნება საქართველოს ახალი ეგზარქოსი ვლადიმირისა და სუზდალის მთავარეპისკოპოსი ნიკონი.

11 აგვისტოს რუსეთის იმპერატორმა გასცა ბრძანება საქართველოს ეკლესიის საკითხი განეხილათ რუსეთის მომავალ საეკლესიო კრებაზე.

იმხანად, გამოდის თედო ჟორდანიას წიგნი რუსულ ენაზე **„მოკლე ისტორიული ცნობარი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ“**. წიგნი მკითხველს განუმარტავდა რეალობას, ქართული ეკლესიის წარსულისა და ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობაზე.

ამბროსი აღტაცებული შეხვდა თ. ჟორდანიას წიგნის გამოცემას, დიდი ინტერესით გაეცნო მას და ლოცვაში მოიხსენიებდა მის სითამამესა და ღვაწლს.

ნიშანდობლივია, რომ აქამდე და შემდეგაც საქართველოს ავტოკეფალურ დამოუკიდებლობას აქტიურად უჭერს მხარს წერილობით და საჯარო გამოსვლებში, დიდი რუსი სწავლული დურნოვი. მისი აზრით რუსებს არანაირი საფუძველი არ აქვთ მართლმადიდებლური დამოუკიდებლობის გაუქმებისა საქართველოში.

ეგზარქოსი და რუსეთის სინოდი აცხადებს, რომ ამიერკავკასიაში მცხოვრებ მორწმუნე რუსებს უნდა ჰყოლოდათ საქართველოს კათალიკოსისგან დამოუკიდებელი, სინოდის განკარგულების ქვეშ მყოფი ეპისკოპოსი.

საკითხის განხილვას შედეგი არ მოჰყოლია. ა. ცაგარელი წერს **„ივერიის ეკლესიას ავტოკეფალია არ დაუკარგავს, რადგან დღემდე არ არსებობს ქართველ სამღვდელოებათა კრების გადაწყვეტილება. მათი ეკლესიის რუსული ეკლესიისადმი შეერთებაზე, იგი ახლაც ითვლება ავტოკეფალურად. აქედან გამომდინარე, ჩვენს მმართველს სინოდს არ აქვს კანონიკური უფლება მართავდეს ქართულ ეკლესიას“.**

წმ. სინოდი იჩენს გარკვეულ დათმობას. მან შეისმინა არქიმანდრიტ ამბროსის თხოვნა და მისცა უფლება სამშობლოში დაბრუნებისა.

უსტმედვედიცაში მსახურობის ერთი წელი მიიწურა, როცა ამბროსს სასიხარულო ცნობა ეუწყა.

იმ დღეს შინაგან სიხარულს ვერ მალავდა. მისი თვალები გასცემდა იმ ღელვაფორიაქს, რასაც განიცდიდა.

სამშობლოდ ბრუნვა. ეს, იქნებ, ბევრი, რასაც მის სულში მყარად გაედგა ფესვები.

ამ სამ ფენომენს, ერთმანეთს ვერ დაა-შორებდა. მათ იმ თანმიმდევრობითა და ერთგულებით აფასებდა, როგორც ამას უფალი ჩააგონებდა.

გამოეთხოვა მასწავლებლებს, ნოვიკოვთა ოჯახს და სამხრეთისაკენ მქროლავ მატარებელში აღმოჩნდა.

უპირველესად რას მოიმოქმედებს საქართველოში ჩამოსული?

ილორის წმინდა გიორგის ეკლესიაში კესარიას სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს დაესწრებოდა, შემდეგ უფალს შვილების ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას შეევედრებოდა, მერე მოვალეობის შესრულებას შეუდგებოდა.

საოცნებო საქართველო

თბილისში ჩამოვიდა თუ არა ამბროსი, კვლავ აქტიურად ჩაება ქართული ეკლესიის ცხოვრებაში. იგი სინოდის კანტორის წევრად დანიშნეს.

კირიონი როგორც კი სოხუმში ჩამოვიდა, დაიწყო აქტიური საქმიანობა. უპირველესად მან უარყო რუსი ეპისკოპოსების მიერ დანერგილი მცდარი პრაქტიკა აფხაზების იძულებით გაქრისტიანების შესახებ. იგი მთელს ყურადღებას მრევლთან შეხვედრაზე და ქადაგებებზე ამახვილებდა.

სოხუმის ეპარქიაში ასზე მეტი მღვდელი მსახურობდა, მათგან 65 ქართველი იყო, 14 ბერძენი და 23 რუსი. ეს იყო კირიონის დამსახურება.

1905 წლამდე ვიდრე ეპისკოპოსი არსენი მოღვაწეობდა სოხუმში, მისი წარდგენით სინოდმა ჯილდო გადასცა 39 მღვდელს, რომელთაგან ქართველი მხოლოდ სამი იყო, ორი აფხაზი და დანარჩენი რუსები.

კირიონი აკვირდებოდა აფხაზეთში შექმნილ მდგომარეობს. 1906 წლის აგვისტოში იგი წერს **„ყველაზე გამჭრიახიანი აღებ-მიცემობაში მეგრელები არიან, ამიტომ ცოტა არ იყოს კარგი თვალით არ უყურებდენ მათ; აქ რომ მომავალი მეგრელებს ეკუთვნით, ეს ეჭვსგარეშეა, მხოლოდ სამწუხარო ის არის, მეგრელებისგან აქამდის დიდი ვაჭარი, რომელსაც ევროპულ ყაიდაზე დაეყენებინოს აღებ-მიცემობა, არ გამოსულა“.**

ასეთ დროს გაზეთ **„კოლოკოლში“** იბეჭდება **„რუსის“** ფსევდონიმით წერილი **„ხმა სოხუმიდან“**, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ (სექტემბერი) იმავე გაზეთში **„კავკასიელის“** ფსევდონიმით მეორე წერილი „ Скоро ли конец“ პირველი წერილი ეხებოდა კირიონის დანიშვნას სოხუმში, მეორე კი მის უარყოფით მოღვაწეობას აფხაზეთში.

წერილები იმდენად ცილისმწამებლური იყო, რუსი სწავლულების აღშფოთება გამოიწვია. **„მოკოვსკოე ვედომოსტში“** 1906 წლის №№65-67 დაიბეჭდა მ. ბოგოიავლენსკის წერილები, რომელიც ამხელდა პროვოკატორ **„გრუზინოფობიით“** შეპყრობილ ადამიანებს.

მამა ამბროსი იცნობდა აფხაზეთში შექმნილ მდგომარეობას, დარწმუნებული იყო ეპისკოპოსი კირიონის მოღვაწეობის მართებულებაში, ამიტომ პასუხობს ბოროტ ძალებს ჟურნალ „Духовный вестник Грузинского экзархоса“ (1906 წ. №9-10).

ვრცელი წერილი გამსჭვალულია აფხაზი ხალხის სიყვარულითა და მისადმი თანაგრძნობით. ამიტომ აფხაზების მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე მოქცევის ეპიზოდებია აღწერილი, ასევე აფხაზური ენის მოვლა-პატრონობის საკითხიცაა დასმული.

წერილი **„სტატიის გამო „ხმა სოხუმიდან“** ნაწილობრივ სასულიერო და ნაწილობრივ საერო მწერლობის პოლემიკურ ჟანრს განეკუთვნება. კრიტიკის ობიექტია, როგორც ეკლესიის იერარქია, ისე სახელმწიფო. ამიტომ მომხიბვლელია როგორც საეკლესიო, ისე საერო-სახელმწიფო შინაარსის მასალები.

არქიმანდრიტი წერილს ამთავრებს შემდეგნაირად.

„ვიმედოვნებთ და დარწმუნებული ვართ, რომ სამღვდელო კირიონი თავისი მოღვაწეობით სოხუმის ეპარქიაში აღადგენს ძმობას და ერთობას ყველა ეროვნებას შორის, ხოლო ამიერკავკასიიდან გაქცეული ანაფორიანების ღვარძლითა და კაცთსიძულვილით სავსე სიტყვები ვერ გამოიღებენ იმ შედეგს, კერძოდ, აფხაზეთში ძმათმძულვარებასა და ძმათამკვლელ სისხლისღვრას, რასაც ლამობენ ისინი“.

არქიმანდრიტი ამბროსი“.

როდესაც არქიმანდრიტი ამბროსი ამ წერილს წერდა, პროფესორი ნიკო მარი ქართველური და კავკასიურ ენების ნათესაობის თეორიას აყალიბებდა.

საინტერესოა ამბროსის წერილები, რომლებიც გაზეთ **„შრომაში“** და ჟურნალ **„ივერიაში“** გამოქვეყნდა (1906 წ. №№7).

1907 წელი სინოდური კანტორის წევრის, არქიმანდრიტი ამბროსისათვის გულდასაწყვეტი მოვლენით დაიწყო. მისი უსამღვდელოესობა სოხუმის ეპისკოპოსი კირიონი მოსწყვიტეს მშობლიურ მიწას, ქართულ საქმს და რუსეთში გადაიყვანეს კოვნოს ეპარქიაში.

არქიმანდრიტი ამბროსი ყველას უამბობდა, რომ ეს გახლდათ დიდი დანაშაული, რაც ჩაიდინეს ქართველი ერის წინაშე, რომ ნიჭიერ, საქმიან რუს ადამიანებს არ აძლევენ ქვეყნისთვის სამსახურის საშუალებას.

ამბროსი მთელს თავისუფალ დროს ახმარს ჭელიშის მონასტერში აღმოჩენილი **„მოქცევაი ქართლისაის“** ხელნაწერის დამუშავებას, მის კვლევას, ადარებს მას სხვა ძველ ხელნაწერებთან და ამზადებს ვრცელ მოხსენებას სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

ამასთან იგი ხვეწს და სოლიდურ ნარკვევად კრავს **„რაჭის მოგზაურობის“** მასალებს. თავს უყრის ძვირფას ისტორიულ მასალას, როგორც მომავალი თაობებისთვის კვლევის და ობიექტური რეალობის დადგენის საფუძველს.

ახალი ეროვნულ ძალთა აღზევებისა და პარტიული მრავალფეროვნების ფონზე, როცა გაიყო შეხედულებები რუსეთის იმპერიის წმინდა ეროვნული ინტერესების დამცველთა შორის, არქიმანდრიტის პოზიცია იმთავითვე გარკვეულია.

იგი წმინდა ეროვნულ პოზიციაზე დგას.

დგას მყარად და შეურყეველად.

ამას მოწმობს მისი ურთიერთობა ყოვლადსამღვდელო ლეონიდესთან, დეკანოზ თალაქვაძესთან, კ. ცინცაძესთან, ს. გიორგაძესა და სხვებთან, რომლებიც ასევე მყარად იცავენ ეკლესიის დამოუკიდებლობის მოთხოვნას.

ასეთ დროს წიწამურში მოხდა შემზარავი ამბავი. 31 აგვისტოს მოკლეს დიდი ილია ჭავჭავაძე.

მთელმა საქართველომ იცოდა, რომ პოეტი და საზოგადო მოღვაწე სულ ერთი წლის წინ პეტერბურგში აირჩიეს სახელმწიფო სათათბიროს წევრად. ეს იყო მხცოვანი მგოსნის დაფასება და აღიარებაც.

პეტერბურგიდან ილია ივლისში დაბრუნდა და უმეტეს დროს საგურამოში ატარებდა თავის ახლო ნათესავთან ზაალ ჭავჭავაძესთან და გერმანელ მწერალთან, არტურ ლაისტთან ერთად.

ილიას მკვლელობის ამბავმა დიდხანს ვერ დააწყნარა არქიმანდრიტი ამბროსი. ილიას იდეის დამცველსა და მის ერთგულ ქომაგს ვერ წარმოედგინა, რომ სახელოვან მწერალს ერის სასიქადულო შვილს ასე მუხანათურად მოუსპობდნენ სიცოცხლეს.

გაზეთები ფართოდ აშუქებდნენ მომხდარ უბედურებას. გაზეთ **„ისკრის“** კორესპონდენტი ვლ. ლორთქიფანიძე წერს: **„მცხეთაში ჩასვლისთანავე საზარელი ამბავი მოგვახალეს – ილია ჭავჭავაძე მოკლესო. არავის სჯეროდა. მაშინათვე საგურამოს გავემგზავრეთ. საგურამოს რომ მივუახლოვდით, წინ შემოგვეყარა ეტლი. ტფილისში მიჰყავდათ თოფის კონდახით ნაცემი და დაბეგვილი მეუღლე ილია ჭავჭავაძისა. მხეცებს მოხუცი დედაკაციც კი არ დაუნდიათ და პირის სახის ძვლები თოფის კონდახით დაუმტვრევიათ. მივედი საგურამოში. ილია ჭავჭავაძის სახლში და მოურავმა მიცვალებულის ოთახში შემიყვანა.**

ჩვენ დროს ადამიანი ყველაფერს შეჩვეულია. სისხლსაც და დასახიჩრებულ გვამსაც, მაგრამ მაინც ვერ გავუძელი საზარელ სურათს და თოფ-ნაკრავივით გარეთ გამოვვარდი.

ილია ჭავჭავაძეს შუბლი ბერდანის ტყვიით (ბერდანის თოფის გილზი ნახეს) არის ჩანგრეული, ის შუბლი, რომლის ნაფიქრსაც არაერთი და ორი თაობისთვის ახალი ფიქრები აღუძრია. ბერდანას ტყვიით არის განგმირული ილია ჭავჭავაძის გული, რომლის ნაგრძნობსაც ქართველთა მრავალი თაობისათვის გული აუბგერებია და თვალთაგან ცრემლი უღვრევინებია. და ამის ჩამდენი საბედისწერო ტყვია ქართველის გამოსრულილია!“ – ამბროსიმ კითხვა შეწყვიტა. თვალება დახუჭა და ოხვრით ამოისუნთქა.

შემდეგ გაზეთი იტყობინება:

„ილიას მოურავი სამი სტრაჟნიკის თანხლებით შემთხვევით მისულა ბოროტმოქმედების ადგილზე – ილიაცა და მისი მხლებლებიც უკვე უსულონი იყვნენ. ილიას მეუღლე კი მტვერში ეგდო და თავს აქეთ-იქით ახლიდა ქვებს. დაჭრილი ქალი გასისხლიანებულ ეტლში ჩაუსვამთ, მოკლულები კი შემთხვევით მიმავალ ურებზე დაუსვენებიათ და ისე წაუღიათ საგურამოში.

მოკლულები სულ გაძარცულები იყვნენ: არა ჩანს ილიას პალტო, პიჯაკი, ჟილეტი, ოქროს საათი, სათვალე და პატარა ბოხჩა, სადაც საბუთის ქაღალდებს ინახავდა ხოლმე, აღარც საფულე ქისა“.

გაზეთი რომ წაიკითხა, აღშფოთებულმა საეგზარქოსოს მიაშურა, ძალიან სურდა სხვათა აზრიც გაეგო და თან დაეზუსტებინა, როდის აპირებდნენ საგურამოში გამგზავრებას.

ქართველ სასულიერო პირებს სახეზე ფერი არ ედოთ, ყველანი ნაღვლობდნენ მომხდარს. ყვებოდნენ გაზეთებში წაკითხულსა და ხალხში გაგონილ ნაუბრებს.

მშვიდად არც რუსი სამღვდელოების წარმომადგენლებს ეჭირათ თავი. ამბობდნენ ეგზარქოსი კაბინეტში ჩაიკეტა და სემინარიის რექტორთან ბაასობსო.

რადგან მოსახლეობას აინტერესებდა, ვრცელდებოდა ყოველგვარი ინფორმაცია. ვერც ამბროსი იქნებოდა გამონაკლისი. მკვლელობიდან ნახევარი საათის შემდეგ შემთხვევის ადგილზე მისულა მოურავი დიმიტრი ჯაში, რომელიღაც საგუშაგოს ურიადნიკი და ორი სტრაჟნიკი, რომელთა მიერ ბოროტმოქმედთა კვალის მისაგნებად გადადგმულ ნაბიჯებს არავითარი შედეგი არ მოუცია.

1 სექტემბერს, ტელეგრაფის საშუალებით პეტერბურგში იმპერატორის კანცელარიაში უკვე იცოდნენ სახელმწიფო საბჭოს წევრის, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ.

საქმეს იძიებდა თბილისის საქალაქო სასამართლოს უმნიშვნელოვანეს საქმეთა გამომძიებელი ილიაშენკო და იმავე დღეს დაკითხეს ილიას ნათესავი 72 წლის ზაალ ჭავჭავაძე. დაიკითხა ილიას მეეტლე თედო ლაბაური, როგორც მკვლელობაში ეჭვმიტანილი. დააპატიმრეს და თბილისში, მეტეხის ციხეში გაგზავნეს.

საქართველოს მოსახლეობა აღშფოთებას ვერ მალავდა. დამკრძალავმა კომისიამ გადაწყვიტა სამხედრო გზის დასაწყისში შეგებებოდა, შემდეგი წყობით:

1. სამღვდელოება, მღვდელმთავართა მეთაურობით.
2. სხვა რჯულის სამღვდელოება.
3. ნათესავნი განსვენებულისა და ქალები.
4. წარმომადგენლები პრესისა: ქართულისა, სომხურისა, რუსულისა და თათრულისა. გაზეთ **„ივერიის“** თანამშრომლები.

ცხედარი სიონის ტაძარში დაასვენეს და პანაშვიდი გადაიხადეს.

8 ენკენისთვეს ილიას პანაშვიდის წინ, დღის ორ საათზე საზოგადოების წინაშე გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა არქიმანდრიტმა ამბროსიმ.

„ვკადნიერდები და ვბედავ მეც ამ დიდებული ცხედრის წინაშე ვთქვა ორიოდ სიტყვა – ბრძანა მან.

დღეს მთელი საქართველო დასტირის დიდებული მამულიშვილის ცხედარს. დღეს საქართველომ დაჰკარგა უდიდესი მგოსანი, საუცხოვო და თავდადებული საზოგადო მოღვაწე, სიამაყე ეროვნული ლიტერატურისა. არა გვყავს ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე – მოჭირნახულე თავის ერის“.

ბორის დავითაია,
სენაკი

(გაგრძელება იქნება)

როცა გაჩუმება სულს ანაგვიანებს, ანუ ვავაშო დაღრა!..

(გაგრძელება მე-8 გვ-დან)

ბატონო გიორგი,

როდესაც ვლაპარაკობთ აფხაზეთში **„ქართული“** პარტოკრატიის მსოფლმხედველობრივი რაობისა და პოლიტიკური კოლაბორაციის შიდაგანაწესზე, უნდა აღინიშნოს მთავარი – ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დედა-სამშობლოდან მოწყვეტა ერთბაშად არ მომხდარა. იგი დაიწყო ამ მიწის მკვიდრი მოსახლეობის განქართველებით (გასხვაალხებითა) და თვით ქართული მიწის **„გასხვაქვეყნებით“**.

ასეთი მხარეთაშორისი შუღლის საფაბრიკაციოდ ეთნოდივერსიის სხვა გამოვლენათა გასწვრივ შესაფერის ოქროს ხანგრძლივობად მიჩნეული იქნა 1992-93 წლები. განსაკუთრებით 1993 წლის სექტემბერ-ოქტომბერი, როდესაც საპროვოკაციო პოლიგონად შეირჩა კოდორის ხეობა და საკენჭუბერის გაბილიკება.

თავსმოხვეულ სამამულო ომს, რომელსაც მიუხედავად მოღალატე რეჟიმის კოლაბორაციისა, ქართველი ხალხი (აფხაზეთის მოსახლეობა) წარმართავდა აგრესიული სეპარატიზმის წინააღმდეგ, სჭირდებოდა მკაფიო თავდაცვითი პროგრამა, სამოქალაქო უსაფრთხოების ქმედუნარიანი კონცეფცია, საჭირო შემთხვევაში მშვიდობიანი მოსახლეობის უხიფათო გარემოში გადმოყვანის ზუსტი გაწერილობა, ამავე დროს წინდახედულება მოითხოვდა უბედურების შემთხვევაში, შესაბამის დონისძიებებზე მოვალეობათა გაპიროვნებას. როგორც აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობას, ასევე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოსა თუ საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს სწორედ ზემოთხსენებულ საკითხებზე მოეთხოვებოდათ უპირველესად პასუხისმგებლობა. ისინი საომარ პირობებში ვალდებული იყვნენ მოსახლეობისა და საკუთარი ამომრჩევლების უსაფრთხოება პირად ყოფით ყოველდღიურობასთან მიერთსხეულებინათ და პასუხი ეგოთ ამაზე.

სამწუხაროდ, ამ საკითხში სრული უპასუხისმგებლობა და დანაშაულებრივი არაკომპეტენტურობა, რიგ შემთხვევაში, ლაჩრობა და დეზერტირობა გამოავლინეს დეპუტატებმა გ. გვაზავამ, ე. ასტემიროვამ, თ. მჟავიამ, თ. ლორთქიფანიძემ, ა. წოწონავამ, რ. ქარაიამ, ნ. მგალობლიშვილმა და სხვებმა. აქვე დაუფარავად უნდა ითქვას, რომ დეპუტატ მ. კვარაცხელიას კისერზეცაა (არ ვამბობ სინდისს, რადგან იგი მას არ გააჩნია) ოჩამჩირის რ-ნის ს. კოჩარის უგუნურად ჩაბარება მოწინააღმდეგისთვის და სოფლის ამოჟლეტა.

იგივე შემიძლია, ვთქვა გალელ დეპუტატ რ. ცატავაზე, რომელიც იმავდროულად ვ. არძინბას მიერ გალის გამგებლად დანიშნა (ამ საორგანიზაციო დასკვნის რევიზირება ე. შევარდნაძეს არ მიუხდენია), დეპუტატ რ. შამუგიაზე და ა. შ. რომელთა დეზერტირობითა და უნიათობის წყალობით მოხდა საეჭვო ოკუპაცია საბედიანოსი, ჩვენ გაგვაჩნია გალის კომპეტენტური წყაროებიდან მოწოდებული სხვა მასალებიც, რომელთა საბოლოო დამუშავებამდე თავს ვიკავებთ მათი გასაჯარისებიდან, მაგრამ წინასწარ შემიძლია განვაცხადო, რომ ყოველივე ამით და იმითაც, რისი თვითმხილველიც მე თვითონა ვარ, ცას მიხეთქებული ცოდვისკითხვა იკვეთება ამ საქმეში.

ამაზე სხვა დროს.

ამ შემთხვევაში ცოტა ვრცლად უნდა შევჩერდე გულრიფშის რაიონზე, რომლის საზღვრებშიც დაიგეგმა მხარეთაშორისი შუღლისა და საუკუნეებს გადაწვდენილი აღმავალი ეთნოდივერსიის განუკითხაობები.

იმხანად გულრიფშის რ-ნის გამგებლად ე. შევარდნაძემ დატოვა დ. გვაძაბია, რომელიც ჯერ კიდევ 1992 წელს ვ. არძინბამ დანიშნა ამ თანამდებობაზე (ისევე, როგორც სოხუმის რ-ნში აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თ. კალანდია და გალის რ-ნის გამგებლად ასევე დეპუტატი რ. ცატავა). ამ დანიშვნებით დ. გვაძაბიამ, რ. ცატავამ და თ. კალანდიამ გაიპიროვნეს აგრესიული სცენარით საქმიანობა, რითაც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში, სადაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ბედი წყდებოდა, ქართული დეპუტაცია სამი ხმით დაზარალდა.

აი, ასეთი ჩაწყობით შეხვდა იმ დროს გულრიფშის რ-ნის გამგებელი დ. გვაძაბია, რომლისთვისაც ეროვნული მიზნების გადაქელვა ცხვირის მოხოცვაზე ადვილი გახლდათ. სხვა რა უნდა დაარქვა იმას, როცა მან, რაიონის თავდაცვის შტაბის უფროსმა მისადმი რწმუნებულ რაიონში თავი ვერ მოუყარა სამასამდე ჯარისკაცს, რომელიც წესრიგს დაიცავდა კოდორის ხეობაში. ეს ეხება დეპუტატსაც კოდორის ხეობიდან, აწგანსვენებულ კაცს და პირადად დეპუტატ ა. გასვიანსაც, ისინი, როგორც ამ ხეობის შვილები, მოვალენი იყვნენ წინ აღდგომოდნენ მათ კუთხეში მეგრელთა ძარცვასა და შეიძლება ითქვას მორალურ თუ ფიზიკურ გენოციდს, რომლის მიზანი იყო ტომობრივი შუღლის დაქსელვა ანუ საქართველოს გახლეჩა. დიახ, აი ამ ადამიანების დანაშაულებრივმა უგულისყურობამ (რბილად რომ ვთქვათ) გამოიწვია კოდორის ხეობაში აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის (ძირითადად მეგრელების) აწიოკება და სულით ხორცამდე გატყავება. 1994 წელს საქინფორმის ფოტოთეკაში მე ნანახი მაქვს ფოტოსურათი, რომელზეც ჯ. იოსელიანი და ა. გასვიანი სვანურ ქუდებ-ში გასცქერიან კოდორის მთებს – **„ისინი გადაარჩენენო ქვეყანას“** – აწერია სურათს. თუ როგორ გადაარჩინეს, იცის ეს ხალხმა: – პირადად ჯ. იოსელიანის მითითებით შეიტყუეს, გაძარცვეს, შეურაცხყვეს, პატივის აყრა მოუნდომეს და განაიარაღეს მეგრელები აქ.

ასეთი არის სინამდვილე.

ამას ვიდაცის ნაამბობს კი არ გიყვებით, ბატონო გიორგი, მე იმხანად ქ. ზუგდიდში გახლდით ზ. გამსახურდიას ხელისუფლებაში აფხაზეთის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე და ამ შემთხვევაში ვეყრდნობი მისი შესაბამისი სამსახურების მასალებს. ეს მასალები დაცულია საიმედოდ.

აქედან გამომდინარე, მე შემიძლია იმ ხეობიდან ერისკაცი სვანების სახელი და გვარიც (იხ. წიგნი **„დღეები ცხედართა უხმო კივილისა“,** 2005 წ.) ჩამოვთვალო, რომელთა ჭერქვეშეთი უსაფრთხო თავშესაფარი გახდა დევნილებისთვის, მათ ბოლო მარაგი უსაგზლეს უბედურებაში მყოფ ხალხს, მაგრამ ასევე ვიცით მძარცველთა სადაურობა და ვინაობა და ისიც, თუ ვის დავალებას თუ მითითებას ასრულებდნენ ისინი **„მოღალატე მეგრელების“** გასაუვნებელსაყოფად. ზოგიერთი მათგანი თქვენს გვერდითაა დღესაც.

ამრიგად, აფხაზეთის ა/რ-ის დევნილი უზენაესი საბჭო, რომლის დღევანდელ პრეზიდიუმში ძირითადად მოღვაწეობენ დანაშაულებრივად არაკომპეტენტური და ოდიოზური მედროვეები, როგორც მორალურად ამორტიზებული ინსტიტუცია, არც და ვერც გამოხატავს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ინტერესებს.

ვიმყოფებით რა დევნილობაში და არაა საშუალება დროებით ოკუპირებულ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში არჩევნების ჩატარების, ამის გათვალისწინების გასწვრივ ყურადსაღები აუცილებლობაა დევნილთა ამჟამინდელი ავ-კარგის გამთავისებელი ინსტიტუციის არჩევაც. ჩემი აზრით ასეთი ინსტიტუცია შეიძლება იყოს სახალხო წარმომადგენლობითი კრება, როგორც აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს შემადგენელი რგოლი (ეს სამსჯელო და სამართლებრივ სიბრტყეში მოსაქცევი საკითხია).

ბატონო გიორგი, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო თავისი შემადგენლობით ძირითადად საბჭოთა პარტოკრატიისა და კოლაბორაციის გადმონაშთია, ამდენად ხოლო ბუნებით ანტიეროვნული თვალსაწიერი გახლავთ, რაც დრომ დაადასტურა.

აქ არა მხოლოდ რაიკომის მდივნების ბიურო თანამოსაქმეობს, სრული შემადგენლობით, არამედ სავსებით ლეგალურად ძირგამომთხრელობს საბჭოთა უშიშროების მთელი საკადრო განაწესი, გენერლიდან დაწყებული – დამთავრებული ლეიტენანტით და ისინი დღემდე **„ხალხის მიერ არჩეული დეპუტატის“** სტატუსში ინიღბებიან.

თუ თქვენ დაუზავდებით პარტოკრატიულ ყავლგასულობას, რომელთაც ჭაობურ დემოკრატიაში თავი გარდამქნელებად მოგაჩვენეს, ისინი საკუთარ კბილანაში ჩაგითრევენ. ამით საბოლოოდ დამარცხდებით, რადგან ვერ იაზროვნებთ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის შინაარსში.

ნუ დაიმშვიდებთ თავს იმით, რომ თქვენამდე საქმე უფრო უარესად იყო, – უარესზე ნაკლებ უარესი არ ნიშნავს კარგს!

სერგი საჯაია

როგორ შეაფასებდით ნაციონალებისა და სააკაშვილის 8-წლიან მოღვაწეობას საქართველოს ხელისუფლებაში?

გაზეთ „საქართველო და მსოფლიო“-ს შეკითხვა გაზეთ „ილორის“ მთავარ რედაქტორს როლანდ ჯალაღანიას

შეკითხვა საკმაოდ რთულია, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ **“ნაციონალთა”** საკმაოდ მასშტაბურ, მაგრამ არც თუ მაღალინტელექტუალურ წიაღსვლებს, მათი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, პასუხი შეიძლება სამ (საკმაოდ მარტივ) ძირითად კატეგორიად დავყოთ, იმ პროგრამების ფონზე, რომლითაც ისინი მოქმედებდნენ არა მხოლოდ ხელსუფლებაში **“გაჯეჯილების”** რვა წლის განმავლობაში, არამედ **“ოპოზიციაში”** ყოფნის პერიოდიდანაც.

პირველი კატეგორია გახლდათ – მარტივი;
მეორე კატეგორია გახლდათ – რთული;
მესამე კატეგორია გახლავთ – ურთულესი;

პირველი და მარტივი – მაშ ასე, **“ნაციონალთა”** (მანამდე კი, ეთნიკური სომხებით უხვად გაჯერებულ, **“მოქკავშირის”**) მიზანდასახული ბრძოლა ყოველგვარი ქართული და მართლმადიდებლური ფენომენის წინააღმდეგ დაიწყო ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის ჟამს, როცა ამ მართლაც მანქურთებმა პირადობის მოწმობებიდან ამოგვიღეს მამის სახელისა და ეროვნების მიმანიშნებელი გრაფა, ქართულ ტრადიციებსა და მართლმადიდებლურ ეკლესიას კი გამოუცხადეს დაუნდობელი ბრძოლა.

ეს გახლდათ ქართული ფენომენის, რელიგიისა და სულიერების წინააღმდეგ სომეხი ჟვანიასა და სომეხი სააკაშვილის პირველი შემოტევა, რაც საკმაოდ მარტივი სქემა გახლდათ და არც ის არის გასაკვირი, რომ ქართველთა დიდი ნაწილი, მაშინ, ვერ ჩასწვდა სომეხთა ამ მზაკვრულ ჩანაფიქრის არსს. ამდენად, ეს გეგმა შეიძლება იმ მარტივ ამოცანად ჩავთვალოთ, რომელიც სომხებმა ჟვანიამ და სააკაშვილმა ყოველგვარი გართულების გარეშე მოახვიეს თავს ედუარდ შევარდნაძის **“მოქკავშირის”** მიერ აღტკინებულ და გამოთაყვანებულ საქართველოს მოსახლეობის ნაწილს.

მეორე და რთული – მამის სახელისა და ეროვნების გრაფის გაუქმებით, თავიანთ არაქართულ ბედს შერიგებული ქართველი ერი იმ **“პლასტელინად”** უნდა ქცეულიყო სააკაშვილისა და მისი სომხური ბანდის ხელში, რომელთაც ქართული ტრადიციის გათახსირება და ლიკვიდაცია დიდად აღარ შეაწუხებდა. საამისოდ საჭირო გახლდათ ჰომოსექსუალიზმისა და ლესბოსელობის აღვირახსნილი პროპაგანდა მათი საკუთარი ტელეარხების (**“რუსთავი-2”, “იმედი”, “საზოგადოებრივი მაუწყებელი”**) მეშვეობით, რაც დღესაც წარმატებით ხორციელდება. მილიონობით სახსრები მოხმარდა საქართველოში ევროამერიკაში დიდი ხნის წინათ **“ჩამოწერილი”** მომდერლების ჩამოყვანას და იაფფასიანი შოუების მოწყობას, რათა ქართველი ახალგაზრდები მოეწყვიტათ თავიანთი ისტორიული ფესვებიდან და მათ მსგავს **“მანქურთებად”** ექციათ ისინი, რასაც, სამწუხაროდ, ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც. ამავე დროს, ნაციონალებმა ფეხქვეშ მოიქციეს ის სახელმწიფო წარმომადგენლობითი სამართალდამცავი ორგანოები და მასმედიის საშუალებები, სადაც რიგით ქართველ ადამიანებს შეეძლოთ დაემტკიცებინათ თავიანთი სიმართლე და კონსტიტუციური უფლებები. გადაიტანეს რა საზოგადოების ყურადღება სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებზე, სააკაშვილი და მისი თანამზრახველები ახდენდნენ საერთო-სახალხო დოვლათის აღვირახსნილ **“პრიხვატიზაციას”**, ითვისებდნენ საბიუჯეტო სახსრებს უხარისხო საფარიანი გზების დაგებით, შადრევნებისა და უფუნქციო ძეგლების აღმართვით, სხვადასხვა უაზრო ხარჯების გაწევით და, რაც მთავარია, შექმნეს ქანცგამცლელი მონოპოლიური სისტემები (თუნდაც საწავა-ენერგეტიკულ სფეროში, რომელსაც სრულად აკონტროლებენ სააკაშვილის ოჯახის წევრები), რომლითაც მდიდრდებიან თავად და კიდევ უფრო აღატაკებენ საქართველოს ისედაც გაღატაკებულ მოსახლეობას.

მესამე და ურთულესი – დასავლეთ საქართველოში დედაქალაქის გადატანა და აღმოსავლეთ საქართველოს **“დიდი სომხეთის”** ნაწილად ქცევა, რაც საკმარისად **“მორიდებით”** დაიწყო, მაგრამ, უკვე გადამწყვეტ ფაზაში შედის და სააკაშვილი საწადელს მიაღწევს კიდეც, თუ ამას ქართულმა მოსახლეობამ წინააღმდეგობა არ გაუწია! ამ სიმუხთლის **“ქართულ ბედნიერებად”** წარმოჩენის მიზნით სააკაშვილმა უკვე დაიწყო ქუთაისში შადრევნის აშენება, რაც მოწამლულ თაფლწასმული **“ბუტერბროდი”** უფროა, ვიდრე საქართველოს სასიკეთოდ გატარებული ღონისძიება. როგორც მგელი ვერ მოიშლის მგლობას, ისე სააკაშვილი ვერ დააღწევს თავს სომხობას, მით უმეტეს, რომ საქართველოს პრეზიდენტად მისი შემოთესლების სომხურ-ამერიკული გეგმა სწორდ საქართველოს დაკნინებას და **“დიდი სომხეთის”** აღორძინებას გულისხმობს, რაშიც, როგორც ცნობილია, ამერიკელმა სომხებმა დიდძალი თანხა გადაუხადეს შევარდნაძეს. სხვა ვარიანტი გამორიცხულია, რადგან ქართველი ხალხი დიდი ხანია დარწმუნდა, რომ **“ვარდების რევოლუცია”** იყო არა ნამდვილი რევოლუცია, არამედ ბინძური გარიგება ედუარდ შევარდნაძეს, რევოლუციური სამეულს (ჟვანია, ბურჯანაძე, სააკაშვილი) და მთელი ამ ფარსის დამფინანსებელ მილიონერ სომხებს შორის.

ამრიგად, **“ნაციონალთა”** და მათი თავკაცის მიხეილ სააკაშვილის 8-წლიანი მოღვაწეობა საქართველოში შემიძლია შევაფასო როგორც გლობალური შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც, ჩვენდა საბედნიეროდ, ილუზორულიც და აუსრულებელიც შეიქმნა არა მხოლოდ სააკაშვილის ბანდის, არამედ შაუმიანის, ხანჯიანის და ახლო თუ შორეულ წარსულში საქართველოს დაშლა-განადგურების მსურველი სხვა არაკაცებისათვის.

მომიტევოს ყველამ, მაგრამ მიხეილ სააკაშვილის **“წარმატება-წარუმატებლობაზე”** სხვა ყოველნაირი მაღალინტელექტუალური განსჯა წყლის ნაყვა და სისულელეა, რადგან, რაც უფრო ამაღლებული, რთული და საზოგადოებისათვის გაუგებარი ფრაზებით შევაფასებთ ამ სომეხ ჩარჩთა **“მოღვაწეობას”,** მით უფრო დავშორდებით ჭეშმარიტებას!

უკვე მიღრძუებული, მაგრამ მაინც საქართველოს გულღვიძლში ხელმოფათურე ედუარდ შევარდნაძის (რომელმაც, 1965 წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნისთანავე, ამ უმნიშვნელოვანესი უწყების აპარატიდან გააძევა ყველა ეთნიკური ქართველი ჩინოვნიკი და ეს მნიშვნელოვანი ორგანო გაავსო სომხებით, ასევე სომეხი მარლენ ულუხანოვის ხელმძღვანელობით) მიერ ამ სომხური ტრიუმვირატის საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოყვანა წინასწარ იყო დაფინანსებული ამერიკაში მცხოვრები სომეხი მილიარდერის კერკ კირკორიანის მიერ, რაც უკვე თავისთავად გულისხმობდა ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესების შებღალვას, მათ გაძევებას ისტორიული საცხოვრისიდან და აღმოსავლეთ საქართველოს **“დიდი სომხეთის”** ეთნიკურ ნაწილად ქცევას.

სამწუხარო და თავშისაცემი მხოლოდ ის არის, რომ ამ პროცესებს ხელს უწყობდნენ და დღესაც ეხმარებიან ჭეშმარიტად ეთნიკური ქართველები: ხერხეულიძეები, წიკლაურები, ოჩიაურები, ცისკარიშვილები, თორთლაძეები, დავითაიები, ბალავაძეები და სომეხთა ხელში ტიკინებად ქცეული ის ორფეხა ინდაურები, რომლებიც დღესაც კი ქართველ პარლამენტარებად იწოდებიან!

რაც შეეხება სააკაშვილს, მას გასაქცევი არსად აქვს, რადგან ქართველი ხალხის რისხვა მის ჯანმრთელობას ბევრად ნაკლებ ზიანს მიაყენებს, ვიდრე იმ სომეხი შემკვეთებისა, ვინც მას და მის **“სულიერ მოძღვარს”** შევარდნაძეს დიდძალი თანხა გადაუხადეს საქართველოს დაშლა-დანაწევრებისათვის.

აი, აქ, კი, ნამდვილად ჩაუვარდათ კოვზი სააკაშვილსაც და მის შემკვეთებსაც!

როლანდ ჯალაღანია,
“ფაზისის” აკადემიის ნამდვილი წევრი

კოლხეთი სამი ათასი წლის წინათ, აიეტის მეფობის ქამს

ცნობილია, რომ ეგეოსის ზღვის კუნძულებს: ევბეას, ქიოსს და სქერიას მაკრისი ერქვა. ფიქრობენ, რომ ევბეას სახელი მაკრისი, წარმოქმნილი და დაკავშირებულია მის ფიზიკურ ფორმაზე – სიგრძესთან, რადგან ევბეა გრძელი და დიდი კუნძულია, ამიტომ ეწოდა მაკრისი, მაგრამ თვით ძველი ბერძნები საეჭვოდ მიიჩნევდნენ ამ სახელის სიგრძესთან დაკავშირებას და ამბობდნენ: **"ევბეა მართლაც გრძელი და დიდი კუნძულია, მაგრამ სხვა კუნძულებიც ქიოსი და სქერია, რომელთაც იგივე სახელი მაკრისი სრულიადაც არ არიან გრძელი და დიდიო".** ამ ცნობის წყალობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კუნძულებს ქიოსს და სქერიას, სახელი მაკრისი ეწოდა და ალბათ იმიტომ, რომ მაკრონები არა მარტო კუნძულ ევბეაზე ცხოვრობდნენ, არამედ შესაძლოა ცხოვრობდნენ ამ პატარა კუნძულებზე ქიოსსა და სქერიაზე, რის გამოც შეერქვა სახელი მაკრისი.

კუნძული ევბეა პლანეტა მიწის ერთ-ერთი მცირე გეოგრაფიული წერტილია. იგი სხვადასხვა დროს განმასხვავებელი სახელით ყოფილა სახელდებული. ეს სახელებია: ევბეა, მაკრისი, ნეგრეპონტი, ევია და ეგრიბოსი. (ვ.ა. ურუშაძე, **ძველი კოლხეთი არგონავტთა თქმულებაში**. ვ. 139).

ამ კუნძულის სახელები კი მასზე მცხოვრები ადამიანებისათვის სადაურობის მაჩვენებელია. მაკრონების სადაურობის მაჩვენებელი სახელია კუნძული მაკრისი, იგივე ევბეა, იგივე ეგრიბოსი. ამ კუნძულზე მცხოვრებ ტომებს დასაბამიდან თურმე ეგრისელებს უწოდებდნენ. განვიხილოთ ეგრისის წარმომავლობის საკითხი, რომელიც გვიჩვენებს მაკრონების თავდაპირველი საცხოვრისის გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას. ამის დასადგენად ვეძიოთ ეგრისის ფუძის, ეგრის წარმოქმნის ფაქტორი. კუნძულ ეგრიბოსს და ეგრისს აქვს საერთო ფუძე ეგრი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეგრისი წარმოქმნილია ეგრიბოსის ფუძიდან. ამ მიზეზის გამო კუნძული ევბეა, იგივე ეგრიოსი კოლხური ტომების – მეგრელებისა და ჭანების (ლაზები) სადაურობის მაჩვენებელია და ამიტომ კოლხები, როგორც ეგრიბოსის მცხოვრებნი ეგრისელებად იწოდებოდნენ თავიდან და ასე იწოდებიან დღესაც.

კოლხებმა დაიკავეს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო, ტრაპიზონიდან ბიჭვინთამდე და მას თავიანთი თავდაპირველი სამშობლოს სახელი – ეგრისი შეარქვეს.

ჭანების (ლაზების) შესახებ ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე შემდეგ ცნობებს გვაწვდის: **"ჯერ კიდევ ჰეროდოტეს და სტრაბონის დროს ლაზები დასახლებულნი იყვნენ შორს დასავლეთით, ტრაპიზონიდან მდინარე ღალისამდე, ანუ ახლანდელი ყიზილ-ერმაკამდე. ქსენოფონტეს ტრაპიზონი მდებარეობდა კოლხეთის ლაზთა ქვეყანაში. თავის მხრივ, ქართველი მემატიანეები ქრ.შობის პირველ საუკუნეში, მას, ესე იგი ტრაპიზონს, უწოდებდნენ ეგრისის სოფელს".**

აჭარაში ოსმალების ბატონობის დროს ბათუმის ფაშასთან არსებული მეჯლისის უხუცესი წევრი ჰასან-აღას ნაამბობს, ბაქრაძე, როგორც თვითონ აღნიშნავს, გადმოგვცემს სიტყვა-სიტყვით. აი, რას ამბობს ლაზი ჰასან-აღა: **"საერთოდ, ჩვენებური თქმულებით, ჩვენი ლაზები მეგრელებთან ერთად ერთ ტომს შევადგენდით, ამბობენ, რომ ამ ტომს ოდესღაც შავი ზღვის მთელი სანაპირო (მიჯრით) ეკავა, ქემირიდან ბიჭვინთამდე და რომ რომელიღაც ქართველი მეფე ჯარით თავს დასხმია ლაზებს, გაყო ისინი და შუაში ქართველები ჩაუსახლაო".** (დ. ბაქრაძე, **არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში**. გვ. 31).

ისტორიკოსი ბატონი დ. ბაქრაძე ეთანხმება ჰასან-აღას იმაში, რომ **"ლაზთა ტომს მეგრელებთან ერთად მიჯრით ეკავა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის მეტი ნაწილი. ეთანხმება იმაშიც, რომ ქართველები ძალად შეიჭრნენ სოლივით მათ მხარეში და ერთმანეთისაგან განაცალკევეს ისინი, მაგრამ როდის, რა ვითარებაში, აი, რა არის ფარული განუჭვრეტელი წყვდიადით"**-ო.

ლაზების დედაქალაქი ტრაპიზონი ოსმალებმა დაიპყრეს 1461 წელს. ამ დროიდან იწყება ჭანების (ლაზების) მასობრივი გამუსულმანების ცდა. ამას აშკარად ხელი შეუწყო ქართველი მეფის მიერ, ჭანებსა და მეგრელებს შორის ქართველთა ძალით ჩასახლებამ. თავის მონათესავე ტომს ჩამოცილებული ჭანები (ლაზები) ოსმალეთის აშკარა გავლენის ქვეშ მოექცნენ. ქართველთა ეს უძველესი ტომი ჭანები, დასაბამიდან დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის მებრძოლი ტომი, ბოლოს მაინც დამპყრობთა მსხვერპლი გახდა და ოსმალების ბატონობის ქვეშ მოექცა. თითქმის დაკარგა ენა, სარწმუნოება, თავისი ეროვნული კულტურა და აღმოჩნდა დაღუპვის გზაზე უმწეოდ მდგომი.

ძველი კოლხური ტომების მეგრელებისა და ჭანების (ლაზების) ქალაქი-სახელმწიფო ეგეოსის ზღვის კუნძულ ევბეაზე

კუნძულ ევბეაზე მცხოვრებ კოლხურ ტომებს არ შეიძლებოდა არ განეცადათ ძველი ახლო აღმოსავლეთის ხელოვნებისა და კულტურის გავლენა.

ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე ათასწლეულის ბოლოს და მესამის დასაწყისში დაწინაურდა მესოპოტამია (ვ. აფანასიევი, ვ. ლუკონინი, ნ. პომერანცევა. ხელოვნების მცირე ისტორია. გვ. 50, 51, 52, 53). ამ პერიოდში ჩნდება ხელოვნების სხვადასხვა დარგები, რაც მთავარია – დამწერლობა, ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე და მესამე ათასწლეულის მიჯნაზე მესოპოტამიაში აღმოჩნდა პირველი წერილობითი ცნობები, ძირითადად სამეურნეო ხასიათის ჩანაწერები. წერდნენ თიხაზე ლერწმის ჩხირით, რომელიც სოლისებური ან ლურსმული დამწერლობის სახელით არის ცნობილი.

მეცნიერებმა დამაჯერებლად დაადასტურეს, რომ დამწერლობის სოლისებური სახეობა შუმერების მიერაა გამოგონილი. მათი არსებობა მესოპოტამიაში ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის ბოლომდე დასტურდება. შემდეგ სად გაქრა ეს ხალხი, ცნობილი არ არის.

შუმერებმა ტიგროსისა და ევფრატის სამხრეთ ნაპირზე ამოაშრეს ჭაობები. შექმნეს რთული საირიგაციო სისტემა და უხვ მოსავალს იღებდნენ, მიუხედავად ცუდი ბუნებრივი პირობებისა, თემური, საირიგაციო სისტემაზე დაფუძნებული სოფლის მეურნეობების პირობებში, სამხრეთ მესოპოტამიაში კლასობრივი საზოგადოება ყალიბდება. ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის პირველ ნახევარში მესოპოტამიაში უკვე ჩანს მრავალი წვრილი ქალაქი-სახელმწიფო. თითოეული ეს ქალაქ-სახელმწიფო წარმოადგენდა ციხე-სიმაგრეს, ციხე-ქალაქს ირგვლივ გალავნით შემოზღუდულს.

ქალაქი-სახელმწიფო, ანუ პოლისი (საბჭოთა დიდი ენციკლოპედია. ტომი 2. გვ. 212) განსაკუთრებული ფორმა იყო საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური ცხოვრებისა და ტიპიურია არა მარტო მესოპოტამიისათვის, არამედ ევროპის და აზიის მრავალი ქვეყნისათვის.

პოლისი წარმოიშვა თემური წყობილების გადმონაშთებთან ბრძოლის პროცესში. იგი შედგებოდა საქალაქო და მის ირგვლივ მდებარე მიწის დიდი ტერიტორიისაგან. მის ძირითად დანიშნულებას შეადგენდა მტრის თავდასხმის დროს მიეცა მოსახლეობისათვის საშუალება შეეფარებინა თავი ციხე-ქალაქის გალავნის შიგნით. ესე იგი, ციხე-ქალაქი, ანუ პოლისი იყო თავშესაფარი მოსახლეობის ყველა ფენისათვის მტრის თავდასხმის შემთხვევაში. პოლისი მისთვის მიღებული წესის თანახმად წარმოადგენდა მიწის სარგებლობის ანტიკურ ფორმას. ამ ფორმით მიწაზე ორი საკუთრება არსებობდა: სახელმწიფოებრივი, ესე იგი საზოგადოებრივი და კერძო ინდივიდუალური საკუთრება. მიწის კერძო საკუთრების უფლება ჰქონდათ პოლისის სრულუფლებიან მოქალაქეებს. ასეთს კი შეადგენდნენ მადალი წოდების ადამიანები. პოლისის ტერიტორიაზე დასახლებული იყვნენ აგრეთვე თავისუფალნი, მაგრამ არა სრულუფლებიანი მოქალაქენი. ისინი მისდევდნენ ხელოსნობას და ვაჭრობას. მრავლად იყო აგრეთვე ყოველგვარ უფლებას მოკლებული არაფრის მქონე ადამიანები, რომლეიც მონებად ითვლებოდნენ. ასეთ პირობებში გაჩნდნენ შუმერების ქალაქ-სახელმწიფოები მესოპოტამიაში, რომელთაც ჰყავდათ სახელმწიფოს მმართველი მეფე-გამგებელი.

მესოპოტამიის ძირეული მცხოვრებლები – შუმერები, თავიანთ კულტურის კერად თულმინის კუნძულებს (ახლანდელ ბაჰრეინის კუნძულებს სპარსეთის ყურეში) და ერეხეთს მიიჩნევდნენ უძველეს ქალაქად.

მდინარე ევფრატის ზემო წელზე მდებარეობდა მეორე მსხვილი ცენტრი – ქალაქი ური, სადაც თაყვანს სცემდნენ მთვარის ღვთაებას **"ნანა"**-ს.

ამბროსი კილასონია

(გაგრძელება იქნება)

ბრიჯიტ ბარდოს ღია წერილი გიგი უგულავას

როგორც საქინფორმს საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოებიდან აცნობეს, ცნობილმა ფრანგმა მსახიობმა და მომღერალმა ბრიჯიტ ბარდომ თბილისის მერ გიგი უგულავას ღია წერილით მიმართა, რომელშიც ბრიჯიტ ბარდო თბილისში ცხოველთა დაცვის კუთხით არსებულ მძიმე მდგომარეობასთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოთქვამს და უგულავას რამდენიმე რეკომენდაციას აძლევს.

„მსურს, გამოვხატო ჩემი ღრმა შეშფოთება საქართველოში, განსაკუთრებით კი, დედაქალაქ თბილისში, მოხეტიალე ცხოველებთან დაკავშირებული მდგომარეობის შესახებ. თბილისში ყოველწლიურად ათასობით ცხოველი იხოცება საშინელ პირობებში... მოხეტიალე ცხოველების ეს მასობრივი ხოცვა, რომელიც სახელმწიფო სახსრებით ფინანსდება, მხოლოდ ცხოველთა ზედმეტი პოპულაციის პრობლემის ეფექტს შეეხება ისე, რომ მის გამომწვევ მიზეზებს არ ებრძვის. ასე რომ, იგი უშედეგოა და არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს ცხოველთა პოპულაციის მართვის საშუალებას, როგორც ეს დადასტურდა მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. ეს არაადამიანური მეთოდები პირიქით – იწვევს ცხოველთა პოპულაციის დესტაბილიზაციას, მოხეტიალე ცხოველების რიცხვის ხელოვნურ ზრდას და ამ ცხოველების ნებისმიერ სანიტარიულ კონტროლს შეუძლებელს ხდის.

მტკიცედ ვგმობ ამ სასტიკ და, ამავე დროს, არაეფექტიან პრაქტიკას და მოგმართავთ თხოვნით, დაიწყოთ დიალოგი თქვენი ქვეყნის ასოციაციებსა და პროფესიონალებთან, რათა მაქსიმალურად სწრაფად განისაზღვროს თბილისში მოხეტიალე ცხოველების მართვის ცივილიზებული და მდგრადი პროგრამა“, – ნათქვამია წერილში.

ბრიჯიტ ბარდო თბილისის მერს რამდენიმე რეკომენდაციასაც აძლევს. კერძოდ, დაუყოვნებლივ შეწყდეს მოხეტიალე ცხოველების ხოცვა; ჩამოყალიბდეს ცხოველებთან მუშაობის სპეციალური ჯგუფი; გაიხსნას ცხოველთა თავშესაფარი, რომლის მართვაც არასამთავრობო ორგანიზაციებს დაევალება; დაინერგოს ვაქცინაციის, სტერილიზაცია-კასტრაციისა და დაჭერილი ცხოველების იდენტიფიცირების პროგრამა და საზოგადოების მგრძნობელობის ასამაღლებლად შემუშავდეს გარკვეული პროგრამები, რათა იდენტიფიცირებული ცხოველების შვილება ან თავისუფლებაში გაშვება გაადვილდეს.

„დიდი იმედი მაქვს, რომ თბილისის მუნიციპალიტეტი შეძლებს, განახორციელოს ქალაქში მოხეტიალე ცხოველების პოპულაციის ეთიკური მართვა ადგილობრივ და საერთაშორისო ასოციაციებთან თანამშრომლობით და ცხოველთა დაცვის შესახებ საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად“, – აღნიშნავს ბრიჯიტ ბარდო.

P.S. ალბათ არ იცის ქალბატონმა ბრიჯიტ ბარდომ, თუ რა აუტანელ პირობებში იმყოფება საქართველოს მოსახლეობა, რომელიც ცხოველების ბედსაც კი შენატრის, თორემ მოწანწალე კატებისა და ძაღლებისათვის ნამდვილად ვერ მოიცლიდა.

შლოპანცები პრეზიდენტის კვერცხებზე - ბათუმის ცენტრში ახალი სკულპტურა დადგეს



ბათუმში ჩასულ ტურისტებს ამიერიდან თანამედროვე ხელოვნების მორიგი შედევრი გააოცებთ. ზღვისპირა ქალაქის ცენტრში, სასტუმრო რედისონის წინ, არც მეტი არც ნაკლები, კვერცხებზე შემდგარი წყვილი **„შლოპანცი“** დგას.

გიგანტური **„შლოპანცები“** 12 კვერცხზეა დამაგრებული, თითოეული კვერცხი 1,6 მ. სიმაღლისაა, მთლიანად მონუმენტის სიმაღლე კი 5,5 მეტრს აღწევს. სკულპტურას **„სახიფათოდ თქვენი“** ჰქვია და მისი ავტორი ფრანგი მოქანდაკე ლილი ფანტოცია.

როგორც აღმოჩნდა, ლილი ფანტოცი 2 წლის წინ იმყოფებოდა თბილისში და სწორედ ამ დროს გააცნო ქანდაკების მოდელი თბილისის მერიას. მოდელმა იმდენად დიდი მოწონება დაიმსახურა, რომ ის თურმე დღემდე გიგი უგულავას კაბინეტში დგას.

მოკლედ, რამდენი ტვინშებრუნებული **„შემოქმედი“** ჩამოვიდა საქართველოში, იმდენი თავისი **„უკვდავი ქმნილება“** დაგვიტოვა – დაწყებული თბილისის გმირთა მოედანზე აღმართული **„ჰელიოგაბალის ფალოსით“** და დამთავრებული პირუკუღმაშეტრიალებული ველოსიპედით. ჯერჯერობით, ამ სისულელეთა კასკადით პირველი ადგილი უკავიათ **„ბენდუქიძის ოყნად“** ცნობილ შადრევანს, რომელსაც ქალაქის მესვეურები დღემდე დაარბენინებენ ზევით-ქვევით და ძველი თბილისის შუაგულში წამოყანთრულ **„ოლვეის ულტრად“** მონათლულ სრულიად გამოუსადეგარ ხიდს. ამ საპრეზიდენტო სისულელეებს დაემატა ე.წ. **„ვარდების მოედანზე“** ახლახან დადგმული ველოსიპედად წოდებული საშინელება რომელმაც ნამდვილ სიმახინჯის რეკორდს დაამყარა **„მსოფლიო კლასიკად“** აღიარებულ სისულელეებში. მე კი მას დავარქმევდი **„გზა არსაით“**, სადაც დღეს **„ნაციონალთა“** წყალობით იმყოფება საქართველო

სომეხ ააკაშვილს, როგორც ჩანს, თავისი რევოლუციონერი ეთნიკური წინაპარის კამო ტერ-პეტროსიანის მსგავსად ძალიან უყვარს ველოსიპედი, მაგრამ, მან ისიც კარგად უნდა გაისიგრძეგანოს, რომ კამო სწორედ ველოსიპედმა იმსხვერპლა.

ყველაფერს აკეთებენ **„ნაციონალები“**, რომ ხალხს მოთმინება დააკარგვინონ და ქუჩაში გამოიყვანონ, მაგრამ ვერ ეღირსებიან, რადგან ქართველმა ხალხმა უკვე გაშიფრა დასამარცხებლად განწირული ნაციონალებისა და ააკაშვილის მზაკვრული ჩანაფიქრი. იქნებ სწორედ ამიტომაც ესიყვარულებიან ისინი ოცმეტრიან ველოსიპედს, რათა შემოახტნენ და დროულად დაიხსნან თავი ხალხის რისხვისაგან.

ახლა, რაც შეეხება **„კვერცხებს“**, მისი ავტორის ფანტოცის იდეის თანახმად, კვერცხებზე თავდაპირველად სპორტული კედები იყო აღმართული და ის საქართველოს მიერ განვლილ საშიშ გზას განასახიერებდა. მოგვიანებით, როცა ქანდაკების დადგმა ბათუმში გადაწყდა, კედები საზღვაო ქალაქისთვის უფრო შესაფერისმა აქსესუარმა, **„შლოპანცებმა“** შეცვალა.

ქანდაკებას ღამის განათების სისტემა მოჰყვება, რომელიც 3-წლიან გარანტიას იძლევა, თუმცა რა დაუჯდა ქართულ მხარეს ამ არქიტექტურული საოცრების შეძენა, ჯერჯერობით უცნობია.

მოკლედ, როგორც იქნა, თავიანთი ნამდვილი **“კვერცხული“** სახე წარმოგვიდგინეს ააკაშვილმა, მის **“კვერცხებად“** ქცეულმა ნაციონალებმა და ამ კვერცხებთან მოლოლიავე ქართველმა თუ **“ნაციონალ-არქიტექტორებმა“**.

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

გოგიტა გოგუა ინციდენტის დეტალებზე პირველად საუბრობს

გოგიტა გოგუასა და თემურ ქცებაიას შორის კონფლიქტი **„ხორვატიასთან“** მოგებული მატჩის მეორე დღეს მოხდა. 26 მარტს ეროვნულმა ნაკრებმა **„ხორვატიას“** შინ 1:0 მოუგო, 27 მარტს კი მოულოდნელად ვარჯიშიდან ნაკრების თავკაცმა გოგუა დაითხოვა. როგორც შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, მწვრთნელმა ფეხბურთელს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. მიზეზებზე აშკარად არავინ საუბრობდა. იყო მხოლოდ ქცებაიას ცალმხრივი კომენტარები ტელევიზიით, სადაც გოგუას მისამართით არცთუ სასიამოვნო ფრაზები ისმოდა. გოგიტა გოგუამ ნახევარი წლის შემდეგ დუმილი დაარღვია და გადაწყვიტა, სიმართლე ეთქვა.

საქინფორმი გთავაზობთ ინტერვიუს ფეხბურთელ გოგიტა გოგუასთან.

– ამ ხნის განმავლობაში ჩემთან ბევრმა ჟურნალისტმა დარეკა, მაგრამ არაფრის თქმა არ მინდოდა. თვალს ვადევნებ ქცებაიას სატელევიზიო გამოსვლებს და გული მწყდება, როგორ ამბობს ჩემზე – ფეხბურთელი არ არისო. ნაკრებში ცუდად არცერთი შეხვედრა არ მითამაშია. ყოველ შემთხვევაში, ბოლომდე დავხარჯულვარ. ამას კარგად ხედავს გულშემატკივარი და მთელი საქართველო. სამწუხაროა, მარტო ქცებაიამ რომ ვერ დაინახა ეს.

– საიდან დაიწყო ეს ყველაფერი?

– **„ხორვატიას“** მოვუგეთ წინა დღეს. ნაცვლად იმისა, რომ კარგ გუნებაზე ყოფილიყო, ფეხბურთელებს სხვაგვარად მოქცეოდა, პირიქით – შეურაცხყოფაზე გადავიდა. ვარჯიშისას ბურთი დავკარგე თუ რაღაც მსგავსი და – როგორ თუ შენ ბურთი დაკარგეო. როგორ, თვითონ ბურთი არ დაუკარგავს?

– კულუარებში ხშირად ისმოდა – კონკრეტული ვარჯიშის შესრულებაზე განაცხადა უარი გოგუამო. რატომ არ შეასრულეთ მწვრთნელის მითითება?

– იმასაც ამბობდნენ, რომ თურმე **„ხორვატიასთან“** თამაში არ მინდოდა. არის პოზიციები, სადაც ვერ ვითამაშებ. კი, ნაკრებს სადაც ვჭირდები, იქ უნდა დავდგე, მაგრამ როცა ეთამაშები ძლიერ გუნდებს და დგახარ რომელიმე ადგილას კარგად და სათანადოდ მომზადებული, იქ უნდა მათამაშონ. ახლა რომ მითხრას – კარში ჩადექიო, როგორ ჩავდგები, თუ არ ვიცი ეს?! მწვრთნელმა პოზიციები უკეთ უნდა იცოდეს – ვინ სად თამაშობს. მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის უთანხმოება ხდება, მაგრამ ეს ყველას გასარჩევი არაა და ისევ მწვრთნელმა უნდა გაანეიტრალოს. ჩემზე კი იმას ამბობს – **„ხორვატიის“** მერე არ მოუგიაო, ფეხბურთელებში ეძებს სულ დამნაშავეს. ერთხელ თავის თავსაც ჰკითხოს – იქნებ თვითონაა დამნაშავე? **„ხორვატიის“** შემდეგ სხვა მწვრთნელი რომ ჰყოლოდა ნაკრებს, შესაძლოა, დღეს ევროპის ჩემპიონატზეც გვეთამაშა...

– თავად წამოხვედით ნაკრებიდან თუ ქცებაიამ გამოგიშვათ?

– როგორც თვითონ ამბობს, გამომაგდო, მაგრამ მე წამოვედი. თუ იმას ამბობს, რომ თავად გამომიშვა ნაკრებიდან მოგებული თამაშის შემდეგ, მაშინ ისიც თქვას – რატომ... **„რუსთავი 2“**-ზე გამოვიდა – რა გააკეთა, როცა ვიგებდითო. მეც ვმონაწილეობდი იმ თამაშებში. თუ მე ფეხბურთელი არ ვარ, აბა, 10 კაცით როგორ იგებს თამაშებს?

– ქცებაიას სიტყვიერ შეურაცხყოფაზე სხვა ფხბურთელები რატომ არ იღებენ ხმას?

– ქცებაიაა და იმიტომ! მის მოსვლამდე მოგება არ გვქონდა, დავინახეთ, ამდენი მარცხის შემდეგ რაღაც წარმატებას მივაღწიეთ და უცებ ქცებაიას ხატი შეიქმნა. **„ძაან“** ქცებაია გახდა.

– სწორად მიგაჩნიათ შეკრებიდან წამოსვლა?

– ეს ჩემი შეცდომა იყო. იმ დონეზე ვიყავი შეურაცხყოფილი, თვალი ვერ დავხუჭე. შესაძლოა, თავი დამეხარა, მაგრამ ნაკრები საქართველოსია და არა – ქცებაიასი.

– ამ გადასახედიდან როგორ თვლით – ხომ არ იჩქარეთ გადაწყვეტილების მიღება?

– მსგავსი რომ განმეორდეს, შესაძლოა, იგივე ნაბიჯი გადავდგა. ძნელი მოსასმენია ის სიტყვები, რაც ქცებაიასგან მაშინ მოვისმინე.

– არავინ გამოგესარჩლათ?

– არ მინდა, კონკრეტული გვარ-სახელები დავასახელო. ქცებაიას ხასიათი ყველამ იცის. ბიჭები მაწყნარებდნენ – ხომ იცი, ემოციური კაციაო. მისი ემოციურობის შესახებ მეც ვიცოდი, მაგრამ დარჩენისა და თვალის დახუჭვის შემთხვევაში შესაძლოა, იგივე განმეორებულიყო, იმ დღეს თუ არა – მომავალში მაინც.

ყველაზე მეტად გულს მისი სიტყვები მტკენს – ფეხბურთელი არ არისო. არ ყოფილა თამაში, გოგიტა გოგუა გასულიყოს მოედანზე და თამაშისთვის რაიმე დაეკლო.

– ნაკრების თავკაცმა განაცხადა, რომ თავად გაქვს მძიმე ხასიათი და ყველასთან პრობლემა ამიტომ გექმნება...

– საკმაოდ მძიმე ხასიათი მაქვს. ტოპმოლერის თავკაცობის დროს 92-ე წუთზე გავუშვით შოტლანდიასთან გოლი. შუაში ვიდექი და მე დამაბრალა. თავდასხმაში ვარ – მაინც მე მბრალდება. იქ ის მომენტი იყო, არ იცოდა – ვისთვის რა ეთქვა. პირველი მე შევეფეთე. მქონდა ამაზე მასთან საუბარი და მითხრა – უფრო კარგად შეგეძლო თამაშიო, თითქოს რაკი თურქეთთან წინა შეხვედრაზე შეცვლაზე შემიყვანა, ამიტომ არ ვითამაშე კარგად.

– იმასაც ამბობდნენ, ქცებაიაზე განაწყენება გამოიწვია, ძირითად შემადგენლობაში რომ არ დაგაყენათ „ხორვატიასთან“...

– სათადარიგოზე ჯდომა თუ ვინმეს სიამოვნებს, ის ფეხბურთელი არაა. მე რატომ უნდა მომწონდეს, ჩამოსვლა და სკამზე ჯდომა? მაგრამ თუკი ვზივარ და შევდივარ შემდეგ, და კარგადაც, ამაში რა პრობლემაა?!

– თემურ ქცებაიას მოსვლას ნაკრებში რაიმე დადებითი მოჰყვა?

– ერთადერთი – ჟინი მოიტანა.

– დისციპლინა არ დამყარდა?

– კი. დისციპლინა დამყარდა. ფეხბურთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს ორი ფაქტორი, რაც მისი მოსვლისთანავე იგრძნობოდა გუნდში. სწორედ ამ დისციპლინის გარეშე არ მიიღწეოდა ის შედეგი, მაგრამ რაც ხდება დღეს ნაკრებში, მისი ბრალია. მარტო ფეხბურთელებს რომ აბრალებს, არც ასეა საქმე.

– ინციდენტის შემდეგ თუ დაეკონტაქტეთ?

– არა, არავითარი კავშირი!

– დღევანდელი შემადგენლობა ოპტიმალურია?

– არიან ფეხბურთელები, რომლებიც იმსახურებენ თამაშს. როცა თავდასხმაში პრობლემები გაქვს, როგორ შეიძლება სირაძე არ გამოიძახო ნაკრებში, თუ ვინმეს გააქვს, ეს **„სირაა“**. ვუყურებ თამაშებს და ამდენი ხანია, კარში არ დაგვირტყამს. ან მუჯირისნაირი ფეხბურთელი ნაკრებში არ უნდა იყოს? ხალხი ხედავს ამ ყველაფერს. ქცებაიას კი ჰგონია, მხოლოდ მას ესმის ფეხბურთი. 20-25 წელია, ეს ბიჭები ერთად ვართ და ფეხბურთს ვთამაშობთ. ყველას გვესმის და არიან მწვრთნელები, რომლებსაც, ასევე, ბევრი ესმით. ერთი თავდამსხმელი თამაშს ვერ მოიგებს.

– თაობის შეცვლით პროგრესი იქნება?

– ფეხბურთელების შეცვლაზე რომ ვლაპარაკობთ, იქნებ მწვრთნელი შევცვალოთ? – ამაზე არ გიფიქრიათ? ესენი რომ წავიდნენ, ვინ ჰყავს ნაკრებს ამაზე უკეთესი?

– წაგებული თამაშების შემდეგ მუდამ გვესმის, რომ ფეხბურთელების დეფიციტია და ქცებაია მესის ან პელეს ვერ გააჩენს...

– გუნდი როცა აგებს, ყველას უნდა დაბრალდეს. ჩვენთან ჯოხი მარტო ფეხბურთელებზე ტყდება. არ დაფიქრებულა ვინმე, რომ მოთამაშეებთან მიდგომა უნდა შეიცვალოს? მესი შეიძლება არ ჰყავს, მაგრამ კარგი ფეხბურთელები კი ჰყავს.

– ანუ ნაკრებში კადრების დეფიციტი არაა?

– მეკარე გვყავს, რევიშვილი თუ ლორია, მშვენივრად დგას. შეცდომა ვის არ მოსვლია. მცველებიც გვყავს. თავდასხმაში გვიჭირს, მაგრამ მარტო დვალიშვილმა რა უნდა ჰქნას ან სირაძემ?! ფეხბურთელებს რომ აბრალებ წარუმატებლობას, ტაქტიკა ხომ უნდა არსებობდეს?

– ნაკრებში დაბრუნების პერსპექტივა თუა?

– ამ ინტერვიუს რომ წაიკითხავს ქცებაია, როგორ ფიქრობთ – ნაკრებში დაბრუნების შანსი მაქვს? თუ მას არ ვჭირდები – მოვა ვიღაც, ვისაც დავჭირდები.

მე კი დღესაც ვამბობ: ყოველთვის მზად ვარ, საქართველოს ნაკრებში ვითამაშო, გულით და სულით. შეიძლება თამაში არ გამომივიდეს, მაგრამ როდესაც მითამაშია, არავის უთქვამს ზედმეტი ჩემთვის. ყოფილა შემთხვევები, როცა ცუდად ვყოფილვარ, მაგრამ ნაკრებში რომ ჩამოვსულვარ, იმდენი თავდაჯერება მოუციათ ჩემთვის, ძალა მიორმაგდებოდა, უკეთესად ვთამაშობდი.

– „ვოლგაში“ რა ხდება, რა მიზეზით გაგრიყეს?

– **„ტერეკთან“** გვქონდა თამაში. მე და გოჩა ხოჯავამ გავიტანეთ. მეორე დღეს მოვიდა მწვრთნელი და გვითხრა, რომ არ ვჭირდებოდით. ხელმძღვანელობა შეიცვალა და მწვრთნელის გემოვნებაში „არ ვჯდებით“. ესაა და ეს.

– თბილისის „დინამოში“ ხომ არ გიხილავთ მალე?

– სურვილი მაქვს, მაგრამ რამდენად რეალური იქნება, არავინ იცის.

ესაუბრა მაგდა კლდიაშვილი
საქინფორმი

იუმორი

* * *

მიხო მეზობლი ჭიდან წყალს იღებს და თავისაში ასხამს.

– რას აკეთებ, ჯო? – გაოცდა მეზობელი.

– ჭაში სიდედრი ჩამივარდა და წყალი ყელამდე სწვდება! – აუხსნა მიხომ.

* * *

სვანმა მეზობელს სთხოვა, ბავშვი მომინათლეო.

– მე რა უნდა მოგინათლო, ჩემიც სხვას მოვანათვლინე!

* * *

– სულ აირია ქვეყანა, უამრავი ლამაზი გოგო დადის, რომელსაც გათხოვება არ უნდა!

– რა იცი?

– თავად შევთავაზე!

* * *

– იგი უდროოდ წავიდა ჩვენგან და დატოვა 24 წლის ქვრივი ქალი! – წარმოთქვა მიცვალებულის დასაფლავების დროს მისმა მეგობარმა.

– ოცდასამის, – ამოისლუკუნა ახალგაზრდა ქვრივმა.

* * *

უფროსის დავალებით მდივანი მის ცოლს ურეკავს:

– თქვენმა მეუღლემ მთხოვა, თქვენთვის გადმომეცა, დღეს თათბირი მაქვს და შემაგვიანდებაო!

– ასპროცენტიან გარანტიას მაძლევ, თინიკო?

2012 წელს საქართველო ავღანეთში კიდევ ერთ ბატალიონს გააგზავნის

ამის შესახებ განცხადება საქართველოს თავდაცვის მინისტრმა **ბაჩო ახალაიამ** ვაზიანის სამხედრო ბაზაზე გააკეთა, სადაც ნატოს გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენთან ერთად ავღანეთიდან დაბრუნებული ქართული შენაერთის დახვედრის ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა.

33-ე ბატალიონის მოწინავე ჯგუფი, რომელშიც 119 სამხედრო მოსამსახურე შედის, ავღანეთიდან ნოემბერში დაბრუნდა. 33-ე ბატალიონი სამი თვის განმავლობაში ასრულებდა სამშვიდობო მისიას ავღანეთში. ამ ბატალიონს ორი კვირის განმავლობაში 31-ე ბატალიონი ჩაანაცვლებს, რომელიც ISAF-ის ფარგლებში ავღანეთში უკვე მეორედ მიემგზავრება.

ამჟამად ავღანეთში 950 ქართველი ჯარისკაცი მსახურობს, ნატოს არაერთ სახელმწიფოებს შორის კი აქ ყველაზე მეტი ჯარისკაცი (1.550) ავსტრალიას ჰყავს.

ალასანია სადეპუტატო მანდატების ზრდის წინააღმდეგ

ხელისუფლების გადაწყვეტილება – დეპუტატების რაოდენობა არსებული 150-დან 190-მდე გაზარდოს, **„ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ“ არის მიმართული და „ჩვენ ყველანი ერთად უნდა დავუპირისპირდეთ ამას“,** – განაცხადა **„ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატების“** ლიდერმა ირაკლი ალასანიამ.

პარლამენტში გასულ კვირას ინიცირებულ იქნა საკონსტიტუციო ცვლილება, რომელიც 2012 წელს არჩეულ პარლამენტში სადეპუტატო მანდატების ზრდას ითვალისწინებს.

ეს ინიციატივა საარჩევნო სისტემის რეფორმაზე მიღწეული შეთანხმების ერთ-ერთი მთავარი ნაწილია, რომელსაც მმართველმა პარტიამ და რამდენიმე სხვა პარტიამ 27 ივნისს მოაწერეს ხელი. ამ შეთანხმებას რამდენიმე ოპოზიციური პარტია, მათ შორის, **„თავისუფალი დემოკრატები“** არ შეუერთდნენ.

„ეს არის გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს არ სჭირდება... ეს არის გადაწყვეტილება, რომელსაც ყველანი ერთად უნდა დავუპირისპირდეთ. ჩვენ ვეწინააღმდეგებით გადაწყვეტილებას, რომელიც მიდის ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ. რეფერენდუმმა მიიღო 2003 წელს გადაწყვეტილება და შეამცირა 150 დეპუტატამდე“, – განაცხადა ალასანიამ.

„ეს გადაწყვეტილება ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგება“, – განაცხადა მან პარლამენტის შენობის წინ.

მან, ასევე, აღნიშნა, რომ დეპუტატების რაოდენობის ზრდა დამატებით **„ათეულობით მილიონი ლარი“** დაჯდება და, მისი თქმით, ჯობდა, ეს თანხა რეგიონებში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დახარჯულიყო.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა გამოიანგარიშა, რომ პარლამენტის წევრთა 40-ით გაზრდის შემთხვევაში დეპუტატებისთვის გამოყოფილი დაფინანსება დაახლოებით 2.5 მილიონი ლარით გაიზრდება ყოველწლიურად.

სექტემბერში კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრების (**CRRC**) მიერ **აშშ**-ის ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტისთვის ჩატარებული კვლევის თანახმად, რესპონდენტთა 60 პროცენტი პარლამენტში ადგილების ზრდის წინააღმდეგ იყო და მხოლოდ 8 პროცენტი მიემხრო ამ იდეას.

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, თემურ ქორიძე, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge